გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 140 (12819) 17 ივნისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი



# დინამომ მთავარი მწვრთნელი დაამტკიცა

>> გვერდი 3

# გაბელია, სვანაძე ან ტყებუჩავა

## ფეხბურთის ფედერაცია ახალგაზრდულ ნაკრებს თავს დღეს დაადგამს


ზაურ სვანაძე


ოთარ გაბელია

>> გვერდი 2



მალხაზ ასათიანი

# მე არავის ვემდური, თავად ჰქონიათ პრეტენზიები...

>> გვერდი 4 ინტერვიუ



# აქაც შვედეთი, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი...

>> გვერდი 14 ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან



# ასე რომ მოხდეს, არ გაგიკვირდეთ...

>> გვერდი 3 აქტუალურ თემაზე

ქართული ფეხბურთი

U 21



ოთარ გაბელია



ზაურ სვანაძე



გოჩა ტყებუჩავა

# გაბელია, სვანაძე ან ტყებუჩავა

## ფედერაცია ახალგაზრდულ ნაკრებს თავს დღეს დაადგამს

დღეს გაირკვევა, ვინ გახდება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი. ბაქოს „ინტერში" **კახა ცხადაძის** წასვლის შემდეგ ჩვენი 21-წლამდელები უთავკაცოდ დარჩნენ და ფეხბურთის ფედერაციაც იძულებული შეიქნა, მის შემცვლელზე დროულად მიიღოს გადაწყვეტილება.

დღეს ჯერ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის (მალალჩინოსნების თავყრილობა) გაიმართება და მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი კანდიდატი წარუდგინოს აღმასკომს დასამტკიცებლად. ამის შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდებიან აღმასკომის წევრებს და ფედერაციის უმაღლესი ორგანო ასე მიიღებს გადაწყვეტილებას.

რა თქმა უნდა, დავინტერესდით, რომელ კანდიდატებს განიხილავს ფედერაციის ხელმძღვანელობა. ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** მხოლოდ ის გვითხრა, რომ კანდიდატი სამია, დაკონკრეტებისგან კი თავი შეიკავა, ეს უკვე კონფიდენციალური ინფორმაციააო.

რამდენიმე დღის წინათ ფედერაციაში გაიგონებდით, რომ ცხადაძის ერთ-ერთ შემცვლელად **ოთარ გაბელია** მოიაზრებოდა. შევიტყვეთ, რომ ის მართლაც რეალური კანდიდატია ამ თანამდებობისთვის და ფედერაციის დღევანდელი თავყრილობისას გაბელიაზე აუცილებლად იმსჯელებენ. თბილისის „დინამოს" ყოფილ მეკარეს, ვისაც საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც უთამაშია, სამწვრთნელო გამოცდილებაც უმაგრებს ზურგს. მას არაერთი ქართული გუნდი გაუწვრთნია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში წლების განმავლობაში იყო მეკარეების დამრიგებელი, ცხადაძის მიერ გაწვრთნილ ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოძღვრავდა გოლკიპერებს... გაბელია შეუპოვარი, ჟინიანი დამრიგებელია, გუნდის არჩევის დროს არასდროს ყოფილა პრეტენზიული, რამეთუ მისთვის ყოველთვის ის იყო მთავარი, რომ ემუშავა, მწვრთნელური ჟინი დაეკმაყოფილებინა. გაბელიას შანსი, გახდეს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, საკმაოდ მაღალია. ის, ფაქტობრივად, ნეიტრალური კანდიდატურაა, ასე ვთქვათ, არც ერთ ბანაკს არ ეკუთვნის, ყველაგან მიღებული და პატივსაცემი კაცია. აქვს ფიცხი ხასიათი, მაგრამ არა გვგონია, ეს მნიშვნელოვან ნაკლად ეთვლებოდეს. ყოფილი მეკარე ბურთივით კარგად იჭერს მომენტს, კონკრეტულ სიტუაციაში რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. რაც ერთობ მნიშვნელოვანია, ის მოწოდებით მწვრთნელია. ისიც უნდა ითქვას, რომ არ აქვს ასაკობრივი ნაკრების დამოუკიდებლად გაწვრთნის გამოცდილება.

კანდიდატებში მოიაზრება **გოჩა ტყებუჩავაც**. ის 2000/01 წლების სეზონის მეორე ეტაპზე თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გახლდათ და გუნდი მისი ხელმძღვანელობით მესამე ადგილზე გავიდა. შედეგი წარმატებულად ჩაითვალა, რამეთუ მაშინ „დინამოში" არცთუ ცოტა ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელი თამაშობდა. ტყებუჩავა ძალიან ცოტა ხნით „ვიტ ჯორჯიასაც" თავკაცობდა, იყო „თბილისის" მთავარი მწვრთნელიც. მას უყვარს ზედმიწევნით ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელები და შესაბამისი გუნდის ჩამოყალიბება, ფეხბურთელებთან არის მეგობრული და მკაცრიც. ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც - ტყებუჩავას ახალგაზრდული ნაკრები უკვე გაუწვრთნია, თუმცა ერთი ციკლის ჩამთავრება არ დასცალდა - 2005 წელს, როცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** გახდა, ტყებუჩავა ახალგაზრდული ნაკრებიდან დაითხოვეს. ეს ჩავლილი ამბავი კია, მაგრამ ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდულ ნაკრებში მისი ხელახალი გამწვრთნელება, ამ ეტაპზე, ალბათ ძალიან სათუოა.

...და **ზაურ სვანაძე**? რითია ის სხვაზე ნაკლები? - წინა შესარჩევში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს თავკაცობდა, ბოლოს კი ცხადაძის თანაშემწე გახლდათ ახალგაზრდულ ნაკრებში. იყო თბილისის „ლოკომოტივის" თავკაცი, მწვრთნელად შვედეთის ქვედა ლიგებშიც უმუშავია. გაწონასწორებული სპეციალისტია, იცის ადამიანებთან ურთიერთობა, არ არის კონფლიქტური. თუ ახალგაზრდულ ნაკრებს მას ჩააბარებენ, ვერავინ იტყვის, რომ ეს არალოგიკური გადაწყვეტილება იქნება.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სამი კანდიდატურა ფედერაციის ხელმძღვანელობის თვალთახედვის არეშია, მაგრამ თეორიულად, არ არის გამორიცხული, დღეს ფედერაციამ სულ სხვა მწვრთნელს გადაულოცოს ახალგაზრდული ნაკრების საჭე, თუმცა ამის ალბათობა დიდი ნამდვილად არ არის.

**დავით თავართქილაძე**

U 17

# დევდარიანი ჭაბუკებს შვიდ კვირაში გაცხრილავს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ევროშესარჩევის მატჩები შემოდგომაზე ელის, მანამდე კი ამ ტურნირისთვის გეგმის მიხედვით ემზადება. ერთი შეკრება უკვე იყო - ჭაბუკები დაახლოებით ერთი კვირით იყვნენ ჰოლანდიაში, სადაც ორი ამხანაგური შეხვედრაც ჩაატარეს, მათ შორის, „აიაქსის" თანატოლებთანაც. დღეიდან კი **გიორგი დევდარიანი** სამწყსოს ახალ შეკრებას იწყებს.

ჩვენი 17-წლამდელები ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" დაბინავდებიან, სავარჯიშოდ კი საგურამოს ბაზის მოედანზე ივლიან. ფიზიკური და თეორიული მომზადება, ბურთით ვარჯიში - დევდარიანი ჭაბუკებს კომპლექსური პროგრამით დატვირთავს. წესით, შეკრება საკმაოდ ნაყოფიერი უნდა გამოვიდეს. 17-წლამდელები „ბასაში" ხომ 7 კვირით დარჩებიან.

დევდარიანმა შეკრებაზე 25 ფეხბურთელი მიიწვია, თუმცა არ არის გამორიცხული, სია ცვალებადი გახდეს - მწვრთნელის განკარგულებაშია 14-15-კაციანი ბირთვი, დანარჩენები კი, ფაქტობრივად, გასინჯვაზე იქნებიან. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული, დევდარიანმა თავად „ბირთვშიც" შეიტანოს კორექტივები. ის „ბასაზე" ამ ყმაწვილებს ელის:

მეკარეები - **ლეგაშვილი, ცინცაბაძე** (ორივე ნორჩი დინამოელი);

მცველები - **ხარაბაძე** (ტორპედო), **მაჭავარიანი, დოლიძე** (ორივე საბურთალო), **დრიაევი** (გორი), **გაგნიძე** (ნორჩი დინამოელი), **ივანიაძე** (ბათუმი), **ამისულაშვილი** (კახეთი), **ჩხეიძე** (რენი, საფრანგეთი), **ესებუა** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **არველაძე** (დნიპრო, უკრაინა);

ნახევარმცველები - **ყაზაიშვილი, ფარუნაშვილი, რეხვიაშვილი, ხოჭოლავა** (ყველა საბურთალო), **მოგელაძე, ხუციშვილი** (ორივე დინამოს აკადემია), **ხუბუა** (ზუგდიდი), **ზარნაძე** (ოლიმპიკი);

თავდამსხმელები - **კოშაძე** (ამერი), **სამუშია** (ბაია), **ხარლამოვი** (ოლიმპი), **ხოჯაშვილი** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ჭანტურია** (ბარსელონა).

როგორც ხედავთ, დევდარიანის სიაში არაერთი ლეგიონერია, მათ შორის ისეთებიც, ნაკრების მწვრთნელს ჯერ საქმეში რომ არ უნახავს. უცხოეთში მოთამაშე ჭაბუკები დღეს დაწყებულ შეკრებას მოგვიანებით შეუერთდებიან.

**დავით თავართქილაძე**

ავტოავარიის შემდეგ

# დნიპროს ექიმი: ელენთა პრობლემა არ არის, გოცირიძე ითამაშებს!

**ბექა გოცირიძის** ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. უმძიმეს ავარიაში მოყოლილი საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" თავდამსხმელი ბეწვზე გადარჩა. ბექას ელენთა ამოაჭრეს, მინის ნამსხვრევებმა თავი და ყური დაუზიანა, მაგრამ საბედნიეროდ, მოტეხილობები არ აქვს. უმძიმესი ავარიის შემდეგ კიდევ ერთი საოცრება ის არის, რომ დაზარალებულს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაყვანა არ დასჭირდა და კლინიკიდან მაქსიმუმ ორ კვირაში გამოწერენ.

ბექას წოლით რეჟიმთან შეგუება უჭირს. გონზე მოსულმა პირველად ეს იკითხა - ფეხბურთის თამაშს თუ შევძლებო? გულშემატკივრები და სპეციალისტებიც სწორედ ამას კითხულობენ, ელენთაამოჭრილი როგორღა გააგრძელებს კარიერასო?

როგორც გავიგეთ, გოცირიძეების ოჯახს „დნიპროს" ექიმი დაუკავშირდა. მან დეტალურად გამოიკითხა ბექას მდგომარეობა და ბოლოს დარწმუნებით თქვა, ელენთა პრობლემა არ არის, მოედანს აუცილებლად დაუბრუნდებაო.

იმავეს ამბობენ ლუდუშაურის კლინიკის ექიმებიც. ისინი აიმედებენ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს, რომ ფეხბურთს კიდევ ითამაშებს, მაგრამ ფაქტია, მკურნალობას საკმაო დრო დასჭირდება. თუმცა სასწაულებრივად გადარჩენის შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში მოცდა და მოთმინება 21 წლის ფეხბურთელისთვის პრობლემა არ უნდა იყოს.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ზურა და გალა სამწლიანი კონტრაქტის მოლოდინში

## რაო? ფენერბაჰჩეცო?



მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ბლექბერნის" მცველ **ზურაბ ხიზანიშვილის** გადაბირება თურქულ გრანდ „გალათასარაის" სურს. ხიზანიშვილს „ვარდებთან" კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება. ალბიონელები ჩვენებურს გარკვეული საფასურის გარეშე რომ არ გაუშვებდნენ, ცხადი იყო. გასულ კვირაში გაირკვა, რომ ინგლისელები ქართველი მცველის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს ითხოვდნენ. გუშინ კი ზურას მომავალი ტრანსფერის შესახებ მასთან დაახლოებული წყაროსგან სხვა ამბებიც გავიგეთ.

ამ დროისთვის ხიზანიშვილი, **ალექსანდრე იაშვილი** და **ლევან კობიაშვილი** ოჯახებით თურქულ კურორტ ბოდრუმში ისვენებენ. ნაკრების წევრები იქ ალბანეთიდან ჩავიდნენ. ისინი სამშობლოში ერთ კვირაში დაბრუნდებიან. ბოდრუმული დასვენების შემდეგ კობიაშვილი და იაშვილი თავიანთ ძველ კლუბებს მიაშურებენ, ხიზანიშვილს კი... ახალი თავგადასავალი ეწყება - არდადეგების დასრულების შემდეგ ის ახალ კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს.

როგორც გვითხრეს, ხიზანიშვილის ტრანსფერთან დაკავშირებით „გალათასარაის" წარმომადგენელთა ინგლისური ვოიაჟი შედეგიანი აღმოჩნდა. თუკი ადრე „ბლექბერნი" ქართველი მცველის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს ითხოვდა, ახლა ბრიტანელები 2.5 მილიონზე არიან თანახმა. რაც შეეხება კონტრაქტს, მომავალ კვირაში ზურა სტამბოლურ კლუბთან 3-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

დაბოლოს, ასევე სარწმუნო წყაროს ცნობით, ხიზანიშვილის გადაბირება სტამბოლის კიდევ ერთ გრანდს, „ფენერბაჰჩესაც" სდომებია. თუმცა „გალასთან" გარიგება უკვე მიღწეულია და ძნელი დასაჯერებელია, რომ „ფენერის" ინტერესმა რამე შეცვალოს.

**დავით ცაბაძე**


ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



დინამო

# ძველ-ახალი მწვრთნელები

## კაჭარავა დამტკიცებულია

უკვე ერთი კვირაა, თბილისის „დინამომ" ახალი სეზონისათვის მზადება დაიწყო. გუნდი 8 ივნისს შეიკრიბა, თუმცა - არასრული შემადგენლობით; აი, გუშინ კი „დინამოს" ის ფეხბურთელებიც შეუერთდნენ, საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში რომ იყვნენ გამოძახებულნი (მოლდოვასთან და ალბანეთთან შეხვედრებისთვის). სატრანსფერო სიახლეებს რაც შეეხება, შეგახსენებთ, რომ „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა ჩერნოგორიელ **დანილო ტომიჩს** და კლუბმა კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა. ისიც ცნობილია, რომ **დიდიე ოვონო** ამიერიდან ფრანგული „ლე მანის" ღირსებას დაიცავს, ხოლო ახალწვეულებიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ **გიორგი სომხიშვილი** შეიძლება ჩათვალოთ „დინამოს" სრულუფლებიან წევრად. სომხიშვილი საკმაოდ გამოცდილი მეკარეა - წლების განმავლობაში არაერთ ქართულ გუნდში უასპარეზია და, წესითა და რიგით, **გიორგი ლორიასთან** სერიოზული კონკურენციაც ექნება. „დინამო" დილმის საწვრთნელ ბაზაზე 26 ივნისამდე მოემზადება, მეორე დღეს კი გერმანიაში გაემგზავრება და შეკრებას იქ გააგრძელებს. რაღა თქმა უნდა, სპარინგ-მატჩებსაც ჩაატარებს და ერთი კონკრეტული მეტოქის ვინაობა უკვე წინასწარაა ცნობილი - იენის „კარლ ცაისი", ყველა ქართველისათვის ნაცნობი კლუბი, ამჟამად მესამე ბუნდესლიგაში რომ ასპარეზობს. დანარჩენი სამი მეტოქის ვინაობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა ამ ეტაპზე მთავარი ეგ არ არის - სწორედ გერმანიაში უნდა ველოდოთ „დინამოს" შემადგენლობაში რამდენიმე პოტენციური ახალწვეულის გამოჩენას. ანუ, ფაქტობრივად, იქ დასრულდება კიდეც გუნდის დაკომპლექტება.

მანამდე კი სამი სიახლე „დინამოს" ბანაკიდან: გუნდთან ერთად ვარჯიშობს 24 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი **ვანდერ ფერეირა**, რომელიც სამშობლოში მინეიროს შტატის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის კლუბ „არაშას" მოთამაშე გახლდათ.

უკვე რამდენი წელიწადია, ჩვენ ყველაზე ტიტულოვან კლუბს ფიზმომზადების მწვრთნელი არ ჰყოლია; და აი, როგორც ნებისმიერ სოლიდურ ევროპულ გუნდს შეეფერება, ამიერიდან „დინამოსაც" ეყოლება ფიზმომზადების მწვრთნელი - **ივო კატუშიჩი!** 30 წლის ხორვატი სპეციალისტი ჯერ სამშობლოში, სპლიტის „ჰაიდუკში" მოღვაწეობდა, საქართველოში ჩამოსვლამდე კი მეზობელ აზერბაიჯანში, კერძოდ, ბაქოს „ოლიმპიკში" მუშაობდა. კატუშიჩმა ახალი გუნდი გუშინ გაიცნო და დღეიდან უკვე „დინამოს" მთავარ მწვრთნელთან ერთად ფეხბურთელების ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებაზე იზრუნებს.

აი, მთავარი მწვრთნელის საკითხი კი, ბოლოს და ბოლოს, გაირკვა; უფრო ზუსტად, კლუბის ხელმძღვანელებმა მოსალოდნელი და, ამასთან, სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს: **კახა კაჭარავა** ოფიციალურად გახდა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი! შეგახსენებთ, რომ **რაინერ ცობელის** გათავისუფლების მერე კაჭარავამ ჩაამთავრებინა სეზონი „დინამოს"; ახალგაზრდა სპეციალისტმა, ალბათ, შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინა და ჩემპიონობას თუ ვერ შესწვდა (სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო), საქართველოს თასი მოაგებინა „დინამოს".

მოკლედ, თუ სადმე ლოგიკა იყო, „დინამოს" ხელმძღვანელებს სხვა მწვრთნელის ძებნა არ უნდა დაეწყოთ. საბედნიეროდ, ასეც მოხდა და სწორედ კახა კაჭარავა მოამზადებს „დინამოს" ევროპის ლიგის და საქართველოს ოცდამეერთე ჩემპიონატის მატჩებისათვის.



კახა კაჭარავა

აქტუალური თემა



# არაფერი გაგიკვირდეთ...

ქართული ფეხბურთის სახე: ცარიელი ტრიბუნები

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩვენ კი, მართლაც, დიდი იმედით ველოდით საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატს; სამწუხაროდ, თავიდანვე „უცნაურობა" დაებედა: ჯერ „ამერმა" თქვა ნებაყოფლობით უარი უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე და... კენტგუნდიანი ჩემპიონატიც მივიღეთ! მერე, აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების გამო, ჩემპიონატი გვიან დაიწყო და სამწრიანი პირველობა დროულად რომ დაგვესრულებინა, დეკემბრის ბოლომდე მიმდინარეობდა თამაშები; თუმცა, საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატის „საფირმო ნიშანი" მაინც სხვა რამ იყო - აპრილ-მაისში (ანუ, სეზონის ფინიშისკენ) მომრავლებული საეჭვო მატჩები. ვნახოთ, ვინმე თუ დაისჯება იმ დაუფარავი „ალებ-მიცემობის" გამო; ყოველ შემთხვევაში, იმ საეჭვო მატჩებისა თუ იქ მონაწილე მწვრთნელ-ფეხბურთელების გამოსააშკარავებლად სპეციალური კომისიაც შეიქმნა. მაგრამ, ყველაფერი ეს, უკვე წარსულია - ავად თუ კარგად, საიუბილეო და სკანდალური ჩემპიონატი დავასრულეთ; ერთი შეხედვით, ყველაფერი გაირკვა: პრიზიორებიც და უიღბლონიც, დებულების თანახმად პირველ ლიგაში რომ უნდა დაქვეითებულიყვნენ. თუმცა, ლამის თვეა გასული ჩემპიონატის ფინიშიდან და ზუსტად ვერავინ გეტყვით, თუ რამდენი გუნდი იასპარეზებს მომდევნო, ოცდამეერთე ჩემპიონატში. ჰო, ყველა ვიცით, რომ უმაღლესი ლიგა „გაგრამ", „სპარტაკმა" და „ბორჯომმა" დატოვეს, ხოლო „მესხეთმა" დარჩენა შეძლო. წმინდა სპორტული პრინციპებით, პირველი ლიგიდან „ამერი" და „სამტრედია" უნდა გადმოსულიყვნენ უმაღლესში, მაგრამ პირველმა კვლავ... ნებაყოფლობით თქვა, უარი, მეორეს კი... ლიცენზირებისათვის საჭირო და აუცილებელი საბუთები ბოლომდე წესრიგში არა ჰქონია. სამაგიეროდ, „გაგრა" და „სპარტაკი" ამ მხრივ მომგებიან პოზიციაში რჩებიან - ლიცენზირების პრობლემა არ გვაწუხებს და უმაღლეს ლიგაშიც უნდა დაგვტოვოთო, ასეთია ამ კლუბების ხელმძღვანელთა პოზიცია. ვერაფერს ვიტყვით - მართლაც, ჩახლართული სიტუაციაა და წინა კვირაში ჩატარებულმა აღმასკომის სხდომამაც ვერ შესძლო ამ საქმისთვის ნათელი მოეფინა. ეგ კი არა, უკვე ახალი მოთხოვნებიც წამოვიდა: უეფას კანონმდებლობა კრძალავს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი გუნდების არსებობას. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ჩემპიონატში ერთი მფლობელის ორი გუნდი არ უნდა მონაწილეობდეს. საბოლოო ვადაც მისცეს გუნდებს - 1-ელ ივლისამდე მფლობელობის საკითხიც უნდა გაარკვიონ და ლიცენზირების პრობლემაც მოაგვარონ. მაგრამ, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა კომენტარებს გავეცნობით, აღმოვაჩენთ, რომ ნამეტნავად „ცხელი საფეხბურთო ზაფხული" გვექნება. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ... გუნდების რაოდენობა გაიზარდოს - ვინღა დაგიდევთ სპორტულ პრინციპს, მთავარია, რომ კლუბი კერძო სტრუქტურის მფლობელობაში გადავიდეს და ამასთან, ლიცენზირებაც გავლილი ჰქონდეს. ანუ, იმავე „გაგრას" და „სპარტაკს" უმაღლესში დარჩენის უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე... „სამტრედიას", პირველი ლიგის ურთულეს და მარათონულ ტურნირში რომ გაიმარჯვა;

თანაც ისე, თავისზე ბევრად შეძლებულ „ბაიასა" და „მერანს" რომ გაუსწრო. არადა, ნურც ამ ორი გუნდის... უმაღლესში გადმოსვლა უნდა გაგვიკვირდეს. მოკლედ, სხვა გზა არ არის, ივლისამდე მოცდა მოგვიწევს. საერთოდ კი, ალბათ, დროა, რომ პირველი ლიგის გათამაშების ფორმატი შეიცვალოს და ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ვეთანხმებით ზუგდიდის „მგლების" მთავარ მწვრთნელს **ბესიკ შეროზიას**. საქმე კი იმაშია, რომ აღმოსავლეთ ზონაში გუნდების უმეტესობა ფარმ-კლუბებია (უმაღლესში გადასვლა რომ აკრძალული აქვთ), მაშინ, როცა დასავლეთში ბევრად კონკურენტუნარიანი გარემოა შექმნილი. ანუ, სასურველი იქნებოდა, თუ პირველი ლიგა ტერიტორიული პრინციპით არ იქნებოდა დაყოფილი; ამას გარდა, „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის, **გია გეგუჩაძის** იდეაც დასაფიქრებელ-განსახილველია. საქმე კი „დუბლების ჩემპიონატს" ეხება - თითქმის ყველა გუნდს ფარმ-კლუბი ჰყავს და უახლოესი რეზერვის დასაოსტატებლად ცალკე პირველობის ჩატარება, მართლაც, უპრიანი იქნებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც და პირველი ლიგის ერთ ზონად გადაქცევაშიც... ფინანსების თემა წამოიჭრება! აღარაფერს ვამბობთ საფეხბურთო მოედნებზე - ერთი-ორი სტადიონის გარდა, ბურთის გაგორებაც რომ შეუძლებელია...

და მაინც: ყველაფრის მიუხედავად, სპორტული პრინციპების და, უფრო მეტის - დებულების დარღვევა არ უნდა დავუშვათ. ანუ, თუ ითქვა, რომ 2009-10 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში ათმა გუნდმა უნდა იასპარეზოს, ასეც უნდა დარჩეს. თორემ, უკვე „დავეჩვიეთ" პოლიტიკური თუ სხვა გადაწყვეტილებებით დებულების ხშირ დარღვევას. ახლა კი ისტორიული ექსკურსი მოვაწყოთ და პირველიდან დღემდე ჩატარებული ყველა ჩემპიონატი გავიხსენოთ. უფრო ზუსტად, რამდენგუნდიანი ჩემპიონატი გვქონდა და როდის... ირღვეოდა დებულება!..

...პირველ ჩემპიონატში 18 გუნდი მონაწილეობდა და დებულების თანახმად, ბოლო ორი პირველ ლიგაში ვარდებოდა. სამწუხაროდ, დებულება პირველად მაშინ დაირღვა, თუმცა ამას გარკვეული ობიექტური მიზეზი ჰქონდა: ცხინვალის „ლიახვმა" ჩემპიონატი „შუა გზაზე" მიატოვა და ბოლოსწინა ადგილზე გასული ოჩამჩირის „ამირანიც"... აღარ გააგდეს. სამაგიეროდ, პირველი ლიგიდან სამი გამარჯვებული შემოვიდა. მომდევნო, ერთწრიანი ჩემპიონატი რომ ჩავატარეთ, უკვე ოცგუნდიანი იყო. მესამე ჩემპიონატშიც ოცი გუნდი მონაწილეობდა და ბოლო ორ ადგილზე გასულ გუნდს პირველი ლიგის ორი გამარჯვებული ცვლიდა. აი, მეოთხე ჩემპიონატში (1992-93 წლები) კი სიტუაცია შეიცვალა: არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის, ეკონომიკური კრიზისისა და აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, გათამაშებას სამი გუნდი („ამირანი", გალის „მზიური", ხობის „კოლხეთი") გამოაკლდა. სოხუმის „ცხუმმა" ჩემპიონატი კი გააგრძელა, მაგრამ საშინაო მატჩებს, რაღა თქმა უნდა, ნეიტრალურ მოედნებზე ატარებდა. მოკლედ, იმ სეზონში არც ერთი გუნდი არ დაქვეითებულა, პირიქით - იმ სამს ადგილი „შეუნახეს" და პირველი ლიგიდან სამი გამარჯვებული დაემატა. თუმცა, ხობის „კოლხეთმა" მაინც ვერ მოახერხა ასპარეზობა და მეხუთე ჩემპიონატშიც გუნდების სარეკორდო რაოდენობა - 22 მივიღეთ! ტერიტორიული პრინციპით 22 გუნდი ორ ქვეჯგუფში გადანაწილდა, მაგრამ აფხაზეთის სამივე გუნდი („ცხუმი", „ამირანი", „მზიური") მალე გამოეთიშა პირველობას და დასავლეთში რვა გუნდიღა დარჩა. სხვათა შორის, იმ სეზონის ბოლოს უმაღლესიდან ოთხი გუნდი გავარდა და მხოლოდ ერთი შემოვიდა, ანუ, საბოლოოდ მივიღეთ თითქმის ყველაზე ოპტიმალური რაოდენობის (16) ჩემპიონატი და ასე გრძელდებოდა ექვსი სეზონი. თუმცა, იცვლებოდა ტურნირის რეგლამენტი: ჯერ ორი ვარდებოდა და ქვემოდან ორი შემოდიოდა. მერე - სამი ვარდებოდა და სამი შემოდიოდა; მეცხრე და მეათე ჩემპიონატებში კი, უფრო მეტი ინტრიგა რომ ყოფილიყო, XIII და XIV ადგილებიც „სახიფათო" გახდა: ამ ადგილებზე გასულ გუნდებს შორის დამატებითი მატჩი იმართებოდა. გამარჯვებული უმაღლესში ადგილს ინარჩუნებდა, ხოლო დამარცხებულს კიდევ ერთი შანსი ეძლეოდა, ამჯერად პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან.

აი, მეთერთმეტე ჩემპიონატი (1999-2000 წლების სეზონი) ახლებურად ჩატარდა: 16 გუნდი ორ რვა-რვაგუნდიან ზონაში განაწილდა. პირველ-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები მედლებისათვის აგრძელებდნენ ბრძოლას, მეხუთე-მერვეზე გასულები კი - ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. იმასაც შეგახსენებთ, რომ გუნდებს მეორე ეტაპზე პირველზე მოგროვილი ქულების ნახევარი გადაჰყვებოდათ. თუმცა, უმთავრესი მაინც ის იყო, რომ უმაღლესი ლიგიდან ოთხი გუნდი უნდა გავარდნილიყო და... სანაცვლოდ არც ერთი შემოსულიყო. მოკლედ, უმაღლეს ლიგაში შემცირების ტენდენცია დაიწყო და მივიღეთ 12-გუნდიანი ჩემპიონატი, ზედიზედ ოთხ წელიწადს რომ ვატარებდით. აქაც ორეტაპიანი პირველობა იყო - პირველი ეტაპის მერე ზედა ექვსეული მედლებისთვის აგრძელებდა ბრძოლას, ქვედა - ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. ბოლო ორი გუნდი ავტომატურად ვარდებოდა, ხოლო ბოლოდან მესამე პლეიოფში ეთამაშებოდა პირველი ლიგის მესამეადგილოსანს.

2003-04 წლების სეზონში, ინტრიგის მომატების მიზნით, მეცხრე და მეათეადგილოსნებსაც არ ჰქონდათ „მშვიდად ყოფნის" უფლება - პლეიოფში უნდა ეთამაშათ პირველი ლიგის მესამე და მეოთხეადგილოსნებთან. თუმცა, ჩვენთან უკვე დაწყებული იყო „სხვა" პროცესი - წინა წელს ზუგდიდის „ლაზიკას" ადგილი თბილისის „სპარტაკმა" დაიკავა, 2004-ში კი წყალტუბოს „სამგურალი" „ზესტაფონთან"... „გაერთიანდა". ამას გარდა, საქართველოს პროფესიულმა ფეხბურთის ლიგამ თავისი „ძალაუფლება" სწორედ მაშინ გამოამჟღავნა და „რუსთავს" და „ქობულეთს" უმაღლეს ლიგაში მონაწილეობაზე უარი უთხრა. მიზეზი მარტივი იყო - ამ ორმა გუნდმა შესაბამისი ფინანსური გარანტიები ვერ წარმოადგინა!..

მომდევნო, 2004-05 წლების ჩემპიონატში სარეკორდოდ ნაკლები, ათი გუნდი მონაწილეობდა და ამიტომაც ჩატარდა ოთხ წრედ. თუმცა, მთავარი მაინც წინ გველოდა - არც არავინ გავარდა და პირიქით - ერთდროულად ექვსი გუნდი დაემატა! „ამერმა" და „ბორჯომმა" პირველ ლიგაში პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს და სპორტული პრინციპით დაიმსახურეს უმაღლესში თამაში; ეგ კი არა, მესამე და მეოთხეადგილოსნებსაც არ დასწყვიტეს გული (აქაოდა, კახეთის რეგიონი უფეხბურთოდ როგორ უნდა დარჩესო) და თელავის „კახეთთან" ერთად თბილისის „სპარტაკიც" აღაზევეს; თუმცა, მთავარი მაინც პოლიტიკური ნიშნით მიღებული გადაწყვეტილება იყო - უმაღლეს ლიგაში სოხუმის „დინამო" და „ცხინვალი" დაუშვეს! აი, ასე დავუბრუნდით 2005-06 წლების სეზონში 16-გუნდიან ჩემპიონატს. თუმცა, მომდევნო გათამაშებაში ისევ გუნდების შემცირების ტენდენცია დაიწყო: ისევ და ისევ, ფინანსური პრობლემების გამო „ცხინვალი" და ფოთის „კოლხეთი" უმაღლესში საასპარეზოდ არ დაუშვეს; მოკლედ, 14-გუნდიანი ჩემპიონატი დაგვრჩა და ორი სეზონიც ასე ვთამაშობდით, თუმცა, 2007-08 წლების სეზონის დაწყების წინაც „ბევრი რამ შეიცვალა": ახლა უკვე საჩხერის „ჩიხურას" და ქუთაისის „ტორპედოს" შეექმნათ ფინანსური პრობლემები და ორივე გუნდი დააქვეითეს. ამას გარდა, პლეიოფში გამარჯვებულმა ჭიათურის „მაღაროელმაც" ტყუილად იწვალა - ლიცენზია არ აღმოაჩნდა...

აი, ასეა - ჩვენთან ყველაფერი ხდება და, წესითა და რიგით, არაფერი უნდა გაგვიკვირდეს. არა უშავს, პირველ ივლისამდეც მოვიცდით: ბოლოს და ბოლოს, საშველი ხომ უნდა დაადგეს ამ გაურკვევლობას?..

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

მგლები

# სომხიშვილი წავიდა, ქედიაც?

## დათუნაიშვილი ბალტიისპირეთში ითამაშებსო...

„მგლებმა" უმაღლეს ლიგაში მეორე სეზონი ჩაამთავრა. **ბესიკ შეროზიას** გუნდმა 36 ქულა დააგროვა და მე-7 ადგილზე გავიდა. საინტერესოა, რა სიახლეებია მოსალოდნელი გუნდში მომავალი სეზონისთვის და შეროზიას ჯერ ამაზე ვკითხეთ:

*„ყველამ იცის, რომ ჩვენმა მეკარე გიორგი სომხიშვილმა თბილისის „დინამოსთან" გააფორმა კონტრაქტი. თავდამსხმელ გიორგი ქედიას გადაბირებაც სურთ კლუბებს. ჯერ „ზესტაფონზე" იყო ლაპარაკი, მერე მითხრეს, ქედია ზაქათალას „სიმურგს" უნდაო. ნახევარმცველმა პაატა დათუნაიშვილმა კლუბიდან გათავისუფლების ფურცელი გვთხოვა. მას კონტრაქტი დაუმთავრდა და მივეცით ეს ფურცელი, თუმცა არ ვიცი, სად გააგრძელებს კარიერას. რამდენადაც გავიგე, შესაძლოა, დათუნაიშვილი ბალტიისპირეთში წავიდეს სათამაშოდ. ჯერჯერობით, სხვა არავინ წასულა. ძალიან გვინდა, ფეხბურთელები შევინარჩუნოთ".*



გიორგი სომხიშვილი

„მგლებს" ახალი სეზონისთვის მზადება ჯერ არ დაუწყია. შეროზიას ამაზეც ვკითხეთ: *„გუნდის მომავალზე ხელმძღვანელობასთან ორ-სამ დღეში გვექნება საუბარი. უნდა გავარკვიოთ, რა რესურსები იქნება ჩვენს ხელთ და რა მიზნებისთვის ვიბრძოლებთ ახალ სეზონში. მანამდე კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენი გუნდი უმაღლეს ლიგაში აუცილებლად იასპარეზებს. რაც შეეხება იმას, თუ როდის შეიძლება დავიწყოთ მზადება მომავალი ჩემპიონატისთვის... ჩვენ გვინდა, რომ ეს იყოს 20 ივნისს. ვნახოთ, როგორი იქნება კლუბის ბიუჯეტი და ამის მერე დავგეგმავთ მომავალს, მაშინ გვეცოდინება, სად მოვაწყობთ მოსამზადებელ შეკრებას. რამდენიმე დღე ზუგდიდში ვივარჯიშებთ, მერე კი შეკრებაზე წავალთ. ახალი ფეხბურთელების დამატებაზეც ვფიქრობთ. თუ ვის და რამდენ მოთამაშეს დავიმატებთ, ამას ხელმძღვანელობასთან შეხვედრის მერე გადავწყვეტთ", - უთხრა „ლელოს" შეროზიამ.*

**დავით ცაბაძე**

გაგრა

# ნიგერიელთა მოლოდინში

წლეულს „გაგრა" უმაღლესი ლიგიდან კი გავარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდია იმის ალბათობა, რომ მომავალი სეზონიც „ელიტაში" გაატაროს. ჰოდა, გუნდიც უკვე ემზადება ახალი სეზონისთვის. „გაგრას" ფეხბურთელები ახლა ფიზმომზადებისთვის ირჯებიან. მუხრანის ბაზა და კუს ტბის მიდამოები - ამ ადგილებში იწრთობიან მოთამაშეები. 20 ივნისს კი „გაგრა" 12-დღიან შეკრებაზე ურეკში გაემგზავრება. ზღვისპირეთში სამი ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი - ერთი მეტოქე ზუგდიდის „მგლები" იქნება, დანარჩენი ორი გუნდი ჯერ არ არის ცნობილი. ურეკის მერე „გაგრა" თბილისში დაბრუნდება და შემდეგ ისევ შეკრებაზე გადავა - „გაგრაში" გვითხრეს, რომ გუნდი უცხოეთში წავა, თუმცა ჯერ არ დაგვიზუსტებია, რომელ ქვეყანაშიო.

რაც შეეხება ტრანსფერებს, „გაგრა" დატოვეს **ბაჩანა ცხადაძემ** და უკრაინელმა **ვლადიმირ კოზლენკომ**, „ბორჯომიდან" მოვიდა **ილია პავლიაშვილი**. „გაგრაში" ვარჯიშობს თბილისის „ლოკომოტივიდან" წასული **გოგა ბარბაქაძეც**. ურეკული შეკრების შემდეგ გუნდში სამი ნიგერიელი ფეხბურთელი უნდა ჩამოვიდეს გასინჯვაზე - ორი შემტევი ნახევარმცველი და ერთიც ცენტრალური მცველი. შეგახსენებთ, რომ „გაგრაში" უკვე თამაშობს ერთი ნიგერიელი - **ოვონიკოკო შეუნი**.

რა თქმა უნდა, „გაგრას" იმედი აქვს, რომ კვლავ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს და უკვე ისიც იცის, თუ რომელ სტადიონზე გამართავს საშინაო შეხვედრებს - „გაგრა" მეტოქეებს ისევ გლდანში, „ამერის" არენაზე უმასპინძლებს.

**დავით თავართქილაძე**



ოვონიკოკო თანამემამულეებს ელოდება

ბორჯომი

# ვინ უპატრონებს უპატრონოს?



იყო დრო, საკურორტო ქალაქში ფეხბურთის ბუმი იდგა. გარდა იმისა, რომ მაშინ „ბორჯომში" ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ჩინებული შემადგენლობა შეიკრიბა, არგენტინელები - **დე პორასი** და **დარიო სებალეც** გამოჩნდნენ. სამხრეთამერიკული დუეტიდან ერთ-ერთი, კერძოდ დე პორასი, მართლაც კარგი მოთამაშე იყო და ბორჯომიდან პორტუგალიურ გუნდსაც მიაშურა. **ვლადიმერ ხაჩიძის** ფორმაციის „ბორჯომი" ფავორიტებისთვის „კერკეტი კაკალი" იყო. ხაჩიძის ბიჭები საპრიზო სამეულისთვისაც იბრძოდნენ და ეს იყო ამ გუნდის პიკი. სხვა ქართული კლუბების დარად, დალმასვლას ვერც „ბორჯომი" ასცდა.

გასული ჩემპიონატი სამცხელთათვის ავადმოსაგონარი იქნება. ზამთარში გაირკვა, რომ კლუბი ფეხბურთელებს დავალიანებას ვერ უსტუმრებდა და მწვრთნელთან ერთად გუნდი ფეხბურთელებმაც დატოვეს, ისევე, როგორც კონსულტანტად დანიშნულმა **ოთარ გაბელიამ**.

„ბორჯომმა" სეზონი ახალგაზრდული შემადგენლობით ჩაატარა. მათგან, უმრავლესობა ის მოთამაშეები იყვნენ, რომლებიც რეგიონულ ლიგაში თამაშობდნენ. სწორედ მათ შორის გამოჩნდა **ილია პავლიაშვილი**, რომელიც ბევრმა, სრულიად დამსახურებულად, გასული ჩემპიონატის აღმოჩენადაც კი შერაცხა. მაგრამ ამავე დროს, სხვა ახალბედების გამოუცდელობამ გუნდს სერიოზული დაღი დაასვა - „ბორჯომმა" მხოლოდ 13 ქულა მოაგროვა და უმაღლესი ლიგიდან გავარდნას ვერ ასცდა.

რა ხდება დღეს „ბორჯომის" ირგვლივ? ამის გასარკვევად კლუბის დირექტორ **ვახტანგ მაისურაძეს** დავუკავშირდით.

*„ჩვენი კლუბის მომავალი კვლავაც ბუნდოვანია. ადგილობრივი გულშემატკივრებიც ხშირად გვიკავშირდებიან და ჩვენს ამბავს კითხულობენ. გვეკითხებიან, საერთოდ გუნდი თუ იარსებებსო. არ გვინდა, ეს რეალობა იყოს, მაგრამ თუ არაფერი შეიცვალა, არ ვიცი, რა გველის"*, - აღნიშნა მაისურაძემ.

ჩვენი ინფორმაციით, გაჩნდა შანსი (თუმცა ჯერჯერობით ეს შანსი მცირეა), რომ კლუბს GGMW-მა („ბორჯომის" მწარმოებელი კომპანია Georgian Glass & Mineral Water) უპატრონოს. ვნახოთ, რამდენია საამისო ალბათობა.

*„ჯერჯერობით, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ზოგადი საუბარი იყო, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ვერსია, ჩანაფიქრია. ყველას იმედი გვაქვს, რომ სიტყვას საქმე მოჰყვება. პირველ ლიგაში კლუბის ფუნქციონირებისათვის იმდენი ფინანსები ნამდვილად არ არის საჭირო, რამდენიც უმაღლესში. იმედი მაქვს, ამ ჩანაფიქრს მოლაპარაკებები მოჰყვება და შედეგიანადაც დასრულდება. წესით, თვის ბოლოს ყველაფერი უნდა გაირკვეს"*, - გვითხრა მაისურაძემ.

საინტერესოა ისიც, თუ ვინ წავიდა და ვინ დარჩა ბორჯომელთა გუნდში: *„უფულო კლუბში ვინ გაჩერდება? თითქმის ყველა ფეხბურთელი წავიდა. პატრონი გამოგვიჩნდეს და, სათანადო კონტინგენტის შეკრება არ გაგვიჭირდება. „ბორჯომის" მწარმოებელი კომპანია თუ გახდა ჩვენი სპონსორი, ისეთ გუნდს შევქმნით, რომ მომავალ სეზონშივე მოვიპოვებთ უმაღლესი ლიგის საგზურს. თვის ბოლოს ბევრი რამ გაირკვევა და იმედი მაქვს, ვითარება „ბორჯომისთვის" სასიკეთოდ შეიცვლება"*, - ამბობს მაისურაძე.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ



მალხაზ ასათიანი

მალხაზ ასათიანი

# არავის ვემდური, თავად ჰქონიათ პრეტენზიები...

## ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ნაკრების მთავარი მწვრთნელიო...

**მალხაზ ასათიანმა ორდღიანი შვებულებით ისარგებლა და თბილისში ჩამოვიდა. მალხაზი კიევის „დინამოდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" დაბრუნდა, მაგრამ სად გააგრძელებდა კარიერას, ბოლომდე გარკვეული არ იყო. მიზეზი - კიეველთა პრეზიდენტ იგორ სურკისის განცხადება გახლდათ, მალხაზი კიევში უნდა დავაბრუნოთო. ჩვენი ინტერვიუც ამ კითხვით დავიწყეთ...**

- კიევში დამბრუნებელი აღარ ვარ. „დინამოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდა, მოსკოვის „ლოკომოტივს" კი კიდევ წელიწად-ნახევარი ვეკუთვნი.

**- რაც მთავარია, „ლოკომოტივს" იური სიომინიც დაუბრუნდა, მწ-ვრთნელი, რომელიც გენდობათ...**

- რა თქმა უნდა, სიომინის დაბრუნება კარგის ნიშანია, მწვრთნელისგან ნდობა დიდი სტიმულია. იმედია, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში „ლოკომოტივი" რუსულ პრემიერლიგაში პოზიციებს დაიბრუნებს და გუნდისთვის, ასევე პირადად ჩემთვის, ყველაფერი კარგად იქნება.

**- „ლოკომოტივში" უკვე ვარჯიშობთ, მაგრამ არ თამაშობთ. რატომ?**

- პირველ წრეში განაცხადში არ ვყოფილვარ და უფლება არ მქონდა. მეორე წრის წინ განაცხადში შემიყვანენ და მერე ვითამაშებ. ერთ კვირაში შეკრება გვეწყება ავსტრიაში და გუნდს შევუერთდები.

**- მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ „ლოკომოტივის" ძირითადში ადგილის დაბრუნების შანსი გეძლევათ...**

- კიევის „დინამოში" ბოლო 6 შეხვედრა ჩავატარე და სათამაშო კონდიციებს არ ვუჩივი, თავს კარგად ვგრძნობ. ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად მჭირდება, პრაქტიკაა, მხოლოდ ვარჯიში საკმარისი ვერ იქნება.

**- თამაშის თქვენეული სტილიდან გამომდინარე, კიევის „დინამო" თითქოს არ შეგეფერებოდათ...**

- 6 წელია „ლოკომოტივში" ვთამაშობ, მიჩვეული ვარ იქაურ ატმოსფეროს და, რა თქმა უნდა, ჩემთვის მოსკოვში თამაში გაცილებით ადვილია. თუმცა იმასაც ვერ ვიტყოდი, თითქოს კიევის „დინამოსთან" შეგუება გამიჭირდა.

**- კითხვა სათამაშო სტილთან შეგუებას გულისხმობდა...**

- ყველა კლუბს თავისებური სტილი აქვს. განსაკუთრებული პრობლემა არც კიევში შემქმნია. რა ვიცი... მგონი, „დინამოში" ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება არ დარჩენიათ. გუნდთან საერთო ენა ძალიან იოლად მოვნახე.

**- თქვენთან დაკავშირებით, მთავარი კითხვა მაინც ეროვნულ ნაკრებს უკავშირდება: ასათიანი ნაკრებს სჭირდება, მაგრამ არ სჭირდება კუპერს. მდგომარეობა გამოუვალია?**

- მე პირადად, პრობლემა არავისთან მაქვს. პრობლემა აქვთ მათ და თავად უნდა გამოასწორონ სიტუაცია. ყოველთვის ვამბობდი - თუ გამომიძახებენ, სიამოვნებით ჩამოვალ-მეთქი. ნაკრებში ვთამაშობდი და ვთამაშობ საქართველოსთვის და არა კუპერის ან სხვა რომელიმე მწვრთნელისთვის. ამდენად, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ცუდია, ნაკრებში ასეთი რამ რომ ხდება და ჯიუტები რომ არიან, მაგრამ როცა დამიძახებენ, ჩამოვალ. აქ მეტი კომენტარი საჭირო აღარ არის. არც არავისთან მჭირდება შერიგება და არც არავის ვემდური, თავად ყოფილან ნაწყენი და პრეტენზიებიც ჰქონიათ.

**- კუპერთან ერთად, ფეხბურთის ფედერაციასაც გულისხმობთ?**

- ფედერაცია რა შუაშია?! კუპერს ვგულისხმობ. ის არის მწვრთნელი და ცხადია, ყველა საკადრო საკითხს სწორედ მწვრთნელი წყვეტს.

**- თქვენს მიმართ კუპერი ყურადღებას ამახვილებს საქმისადმი დამოკიდებულებაზე. ასე ამბობს - ასათიანს ნაკრებში თამაში არ სურსო...**

- ეთქვა, დარჩიო და არ წავიდოდი. რეალურად, სხვაგვარად იყო საქმე. მითხრა - წადი, პრობლემა არ არისო და მეც წავედი. უარი რომ ეთქვა, არ დავრჩებოდი? მე ადამიანურად ვთხოვე, სხვა განწყობა რომ მქონოდა, საერთოდ არაფერს შევეკითხებოდი. მინდოდა, მომესმინა, რა რეაქცია ექნებოდა მწვრთნელს. კიდევ გეუბნებით - რომ ეთქვა, გვჭირდებიო, სად წავიდოდი?!

**- კარგად უნდა იცნობდეთ რუსეთში მოთამაშე ქართველებს - გოგუას, ამისულაშვილს, გვაზავას, მუჯირს... რას იტყვით იმაზე, რომ მათ მწვრთნელი საერთოდ არ იცნობს?**

- სწორედ ეს არის მწვრთნელის პრობლემა, უნდა წავიდეს და ყველა საინტერესო ფეხბურთელი საქმეში ნახოს. ჩემი აზრი კი ასეთია - არა მგონია, საქართველოს ჩემპიონატის დონე რუსეთისას აღემატებოდეს. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, აქ უამრავი ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ თუ მოთამაშეებს ნაკრებში ჩვენი ჩემპიონატიდან იძახებენ, რუსეთში მოთამაშე ქართველები ეროვნული გუნდის დონეს ვერ დააკმაყოფილებენ?! მე პირადად ძალიან მომწონს გვაზავაც, მუჯირიც, ამისულაშვილიც, გოგუაც... რას ფიქრობთ, რუსეთში ქართველს ტყუილად აიყვანდნენ?..

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონტროლო მატჩი

# ზავი წვიმაში

**ზესტაფონი-პოლონია 1:1**

1:0 იონანიძე (3), ნიკოლიჩი (35)

ზესტაფონი: მამალაძე, ლობჟანიძე, ს. თოდუა, ხიდეშელი, მაკარიანი, დაუშვილი, ბენაშვილი (46. გორგიაშვილი), ძარია (46. აფციაური), ნ. კვასხვაძე (46. გრიგალაშვილი), იონანიძე (46. დვალი), გელაშვილი.

სლოვენიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა" გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. **გია გეგუჩაძის** გუნდი პოლონეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსან „პოლონიას" დაუპირისპირდა. მატჩი პატარა ქალაქ ბელტინციში შედგა. როგორც ზესტაფონური კლუბის პრესსამსხურის ხელმძღვანელმა **სერგო ფუტკარაძემ** გვითხრა, შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა, თუმცა კურიოზულად დასრულდა...

ასევე კურიოზული იყო **იონანიძის** გოლი, რომლითაც ჩვენები დაწინაურდნენ. ამის შემდეგ მეტოქე კი გამოცოცხლდა, მაგრამ „ზესტაფონს" თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვია. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ტაიმის დასრულებამდე 10 წუთით ადრე პოლონელებმა წონასწორობა აღადგინეს.

შესვენებაზე გეგუჩაძემ ახალწვეულები - ნახევარმცველი **თორნიკე აფციაური** და თავდამსხმელი **ჯაბა დვალი** შეუშვა მოედანზე. ამის შემდეგ „ზესტაფონმა" კიდევ უფრო გააძლიერა მეტოქეზე დაწოლა, მაგრამ... კოკისპირული წვიმისა და ძლიერი ჭექა-ქუხილის გამო მატჩი მე-60 წუთზე შეწყდა. გაგიკვირდებათ და, „პოლონიას" მწვრთნელმა თავისი გუნდი მოედნიდან გაიყვანა, სტიქიის ძალიან მეშინიაო და, გასახდელს შეაფარა თავი...

**დავით ცაბაძე**



ზურაბ იონანიძე

ლეგიონი

# მიდი, ჯანო!

## 16 წლის ქართველი სპარტაკის ძირითად გუნდში

მოსკოვის „სპარტაკისა" და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი **ჯანო ანანიძე** 17 წლის ოქტომბერში გახდება. ჯანო რუსეთის „სახალხო გუნდის" დუბლშემადგენლობაში თამაშობს, მან 11 მატჩში 5 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე პასი გადააწოდა. ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში, სანაკრებო პაუზისას ჩვენებური რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად სავარჯიშოდ ძირითად გუნდში გადაიყვანეს. როგორც ჩანს, შორს აღარ არის ის დრო, როცა ქართველი მარჯვენაფლანგელი „სპარტაკის" მთავარი გუნდის მაისურას მოირგებს - გუნდის თავკაცმა **ვალერი კარპინმა** გადაწყვიტა, ის და ფორვარდი **პაველ იაკოვლევი** ძირითად გუნდში გადაიყვანოს. ჯანოს ამჟამად ავსტრიის ვიზას უფორმებენ, რადგან მან გუნდთან ერთად შეძლოს ავსტრიულ შეკრებაზე წასვლა. „სპარტაკი" ავსტრიაში ივნისის ბოლოს დაბანაკდება.



სხვათა შორის, ეს თემა ინტენსიურად ირჩევა „სპარტაკის" ფანების ფორუმზე, სადაც ლამის ერთხმად აღიარებენ მის ტალანტს, თუმცა ძალიან ბევრი გულშემატკივარი პირდაპირ ფაშისტურ გამონათქვამებს იყენებს. ფორუმიდან ირკვევა ისიც, რომ რუსული კლუბი უკვე ზრუნავს მისთვის მოქალაქეობის შეცვლაზე:

*„ჩემი აზრით, ეს ფეხბურთელი იმედის მომცემია. დუბლების თამაშის მიხედვით ის სუპერტალანტია"...*

*„ძალიან ნიჭიერია. გუშინ ულამაზესი გოლი გაიტანა, მხოლოდ კუნთები უნდა გაიმაგროს"...*

*„გოლი მართლაც კარგი იყო - კეჩინოვის სტილში. რბილი, ტექნიკური, თუ არ გადიდგულდა, 100 პროცენტით შეძლებს ძირითად გუნდში თამაშს"...*

*„მას აუცილებლად მოქალაქეობა უნდა მივცეთ, სხვანაირად შანსი არა აქვს, რადგან ძირითად გუნდში ისედაც ძალიან ბევრი ლეგიონერი გვყავს"...*

*„მოქალაქეობას ალბათ მალე მიიღებს, ამაზე იყო საუბარი „სპარტაკის" რადიოში. მისთვის ეს უფრო იოლი იქნება, რადგან დედა რუსი ჰყავს"...*

*„ბიჭი ძალიან გამოირჩევა დუბლებში სხვების ფონზე, მაგრამ მისი ჩართვა ახლავე დიდ გუნდში გაუმართლებელია - გამოვარდება ვილაც მოთამაშე და პირველივე მატჩში ფეხს მოაწყვეტს"...*

*„გული მწყდება, რომ ჩვენს დუბლებში ნახევარი კავკასოიდები არიან, ივანოვები, პეტროვები და სხვები მირჩევნია შვილებს, ძეებს და გოევებს"...*

*„რაც უნდა ტალანტი იყოს, ის ჩემთვის მაინც „ჩურკაა" და ასეთად დარჩება"...*

*„ვერც კი წარმომიდგენია: „სპარტაკი"-"რეალი" 1:0, გოლი გაიტანა ანანიძემ, რა საშინელებაა"...*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ანჟის გაციმბირება

ლიდერობა ვერ შეირგო **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ", კავკასიელები ნოვოსიბირსკში ადგილობრივ „სიბირთან" 1:2 დამარცხდნენ, არადა ბოლო 25 წუთი მეტნი იყვნენ მოედანზე. „ანჟის" სასტარტო შემადგენლობაში ითამაშეს **ედიკ საჯაიამ, კახაბერ ალადაშვილმა** და **გოჩა ხოჯავამ**. საერთოდ აღარ ჩანან გუნდში **გიორგი ნავალოვსკი** და **ზურაბ არზიანი**. მასპინძლებს 65-ე წუთზე **დენის ბუხრიაკოვი** გაუძევეს, „ანჟიმ" ერთი გოლი 85-ე წუთზე გაქვითა (**დანიშევსკი**), მაგრამ მეტი ველარ შეძლო. მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე კი სტუმრებს **ვართან მაზალოვი** გაუძევეს. ხოჯავამ ცოტა ითამაშა, 33-ე წუთზე მან ყვითელი ბარათი მიიღო, მე-40 წუთზე კი თეთრაძემ მის ნაცვლად დანიშევსკი გამოიყვანა. ამ მარცხმა „ანჟი" პირველიდან მე-3 ადგილზე ჩამოაქვეითა. 31 ქულით „ალანია" და „სიბირი" ლიდერობენ, დაღესტნელებს 30 ქულა აქვთ.

ყაზახეთში პრემიერლიგის მე-11 ტურის მატჩები გაიმართა. **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუმ" 2:0 დაამარცხა „ირტიში". მატჩის 73-ე წუთზე, 2:0-ზე ჩვენი თანამემამულე მოედნიდან გააძევეს. **ლაშა ჭელიძის** „ჟეტისუ" შინ 0:2 დამარცხდა „აკტიობესთან", ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. „ატირაუს" 15 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა, „ჟეტისუ" შემდეგ საფეხურზეა 14 ქულით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამტრედია

# იმედია, ეჭვები არ გამართლდება...

## სამტრედიას კერძო დამფუძნებელი გამოუჩნდა

რომელი კლუბი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში - დღეს ეს თემა სპეკულაციების საგანია. ფედერაციის ალმასკომმა კითხვა უპასუხოდ დატოვა და კიდევ უფრო გაამძაფრა ეჭვები, რომ კულისებში დაიწყო „ბრძოლა წესების გარეშე".

ამბობენ, თითქოს ცხინვალის „სპარტაკს" პირველი ლიგისთვის არ გაწირავენ. კლუბს აქვს ლიცენზია და როგორც გაირკვა, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის შემდეგ „სპარტაკი" სახელმწიფო კუთვნილებიდან უკვე გადასულა კერძო საკუთრებაში. ბოლო ალმასკომზე სწორედ ეს საკითხი დააყენეს ყველაზე მწვავედ - ამიერიდან უმაღლეს ლიგაში სახელმწიფო სტრუქტურების საკუთრებაში კლუბები ველარ ითამაშებენ. უეფას მკაცრი მოთხოვნა კლუბებს მხოლოდ ახლა გამოუცხადეს.

ამასთანავე, ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ზუგდიდის „ბაიასა" და მარტვილის „მერანს" უმაღლეს ლიგაში თამაშით აიმედებენ. ასეთ ვითარებაში ისმის ბუნებრივი კითხვა - რა ბედი ელის „სამტრედიას", რომელმაც უმაღლესში თამაშის უფლება წმინდა სპორტულ დაპირისპირებაში ალალად მოიპოვა? მართალია, კლუბმა დროულად ვერ მოახერხა ლიცენზირების გავლა, მაგრამ საამისოდ ყველა საჭირო დოკუმენტაცია გააჩნია.

კლუბის პრეზიდენტი **ზაზა ადეიშვილი** დარწმუნებულია, რომ „სამტრედიას" უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას დართავენ: *„პოტენციური ბიზნესპარტნიორი უკვე მოვძებნეთ. ეს კომპანია თანახმაა, „სამტრედიას" დამფუძნებელი გახდეს. მოლაპარაკებას ვამთავრებთ და 1 ივლისამდე კლუბის დამფუძნებელი აუცილებლად შეიცვლება. ფედერაციის მოთხოვნა კი სწორედ ეს იყო - ზუსტად ამ დროისთვის კლუბის მეპატრონე სახელმწიფო სტრუქტურა კერძოთი უნდა შეცვლილიყო. ამის თაობაზე სამტრედიის გამგებელ კახა უჯმაჯურიძეს ყოველდღიურად ვესაუბრები და საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. თუმცა ხელშეკრულების გაფორმებამდე დაინტერესებული კომპანიის დაკონკრეტებას მოვერიდები"*, - ამბობს ადეიშვილი.

კლუბის თავკაცი პრობლემას ლიცენზირების საკითხშიც ვერ ხედავს: *„როცა ალმასკომზე „სამტრედიას" საკითხის განხილვა დაიწყეს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ლიცენზირების კომიტეტის წევრებს ჰკითხა, რა ხდებოდა „სამტრედიასთან" დაკავშირებით? ახალკაცს მოახსენეს - კლუბი ლიცენზირების გრაფიკს კი ჩამორჩა, მაგრამ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებსო. ალმასკომის შემდეგ ახალკაცმა ხელი ჩამოგვართვა და წარმატება გვისურვა. აბსოლუტურად ყველა საბუთი მოვაწესრიგეთ, დამფინანსებელი გვყავს, გუნდი გვყავს და უმაღლესში მონაწილეობისთვის საჭირო ლიცენზია უნდა მივიღოთ".*

„სამტრედიამ" უკვე დაიწყო შეკრება, მაგრამ უმაღლესი ლიგის საგზურის დამტკიცებამდე, ახალწვეულებს კონტრაქტებს არ უფორმებენ. ისე, საინტერესოა, არა, ალმასკომზე აქამდე რატომ არ მიიღეს გადაწყვეტილება? იმედია, ეჭვები არ გამართლდება და უმაღლესი ლიგის მონაწილეებს სპორტული პრინციპით დაამტკიცებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები აზერბაიჯანში

# სიმურგის ძველები და პლუს ახალკაცი

ზაქათალის „სიმურგი" თბილისში ემზადება და უკვე ორი საკონტროლო შეხვედრაც გამართა. რუსთავის „ოლიმპთან" მატჩის შემდეგ აზერბაიჯანული კლუბის ხელმძღვანელობამ რამდენიმე გასასინჯ მოთამაშესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. შეგახსენებთ, რომ „სიმურგში" ირიცხებიან **მიხეილ მახვილაძე, კახა ჩხეტიანი, დავით ბოლქვაძე** და **ირაკლი დოლიძე**. თბილისურ შეკრებაზე კი სინჯავდნენ ბაქოს „ოლიმპიკის" ყოფილ ნახევარმცველებს - **რომან ახალკაცსა** და **რევაზ გეწაძეს**, აგრეთვე, რუთავის „ოლიმპისა" და ბოლნისის „სიონის" თავდამსხმელებს - **გია მეგრელაძესა** და **რევაზ გოცირიძეს**. საინტერესოა, რომელ მათგანთან აპირებენ აზერბაიჯანელები კონტრაქტის გაფორმებას?

*„ცალსახაა, რომ ბოლქვაძეს, ჩხეტიანს, მახვილაძესა და დოლიძეს კონტრაქტებს გავუგრძელებთ. ისინი ჩვენი გუნდის ბირთვს წარმოადგენენ. რაც შეეხებათ გასინჯვაზე მყოფ მოთამაშეებს, დავტოვებთ რომან ახალკაცს. მან რუსთაველებთან შეხვედრაში დაამტკიცა, რომ საჭირო ფეხბურთელია. 18 ივნისამდე ზედმეტი ხალხისგან გავთავისუფლდებით და საჭირო მოთამაშეთა ვინაობასაც გავარკვევთ. ოთხმა-ხუთმა კაცმა „ოლიმპთან" მატჩის შემდეგ უკვე დაგვტოვა და ფორვარდებზე მერე ვიფიქრებთ. მეგრელაძის, გოცირიძისა და გეწაძის საკითხი კი ჯერ არ გადაწყვეტილა. თუმცა ამ კუთხით პრობლემა ნაწილობრივ უკვე მოვაგვარეთ, ძალიან მოგვეწონა ბულგარელი თავდამსხმელი პეტროვი - კარგი ფეხბურთელია, ნამდვილი სპორტსმენი. დარწმუნებული ვარ, ბოლქვაძესთან ერთად ის კარგ წყვილს შექმნის"*, - გვითხრა „სიმურგის" პრეზიდენტმა **ზაურ მამედოვმა**.

**მერაბ მამულაშვილი**

ქაბუქთა ლიგა

### 91-წლიანები. XXIX ტური

| | |
|---|---|
| სიონი-ლოკომოტივი | 2:4 |
| ბორჯომი-მესხეთი | 2:0 |
| გაგრა-ზესტაფონი | 1:3 |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:3 |
| სპარტაკი-ოლიმპი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 32 | 28 | 2 | 2 | 105-23 | 86 |
| 2. გაგრა | 32 | 21 | 2 | 9 | 98-55 | 65 |
| 3. მგლები | 31 | 20 | 3 | 8 | 81-42 | 63 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 32 | 19 | 5 | 8 | 49-25 | 62 |
| 5. ზესტაფონი | 31 | 15 | 5 | 11 | 71-43 | 50 |
| 6. სპარტაკი | 31 | 13 | 6 | 12 | 50-38 | 45 |
| 7. ნაკრები-16 | 33 | 14 | 2 | 17 | 69-58 | 44 |
| 8. ლოკომოტივი | 31 | 12 | 3 | 16 | 57-71 | 39 |
| 9. ბორჯომი | 33 | 11 | 4 | 18 | 49-79 | 37 |
| 10. სიონი | 32 | 8 | 3 | 21 | 43-90 | 27 |
| 11. ოლიმპი | 31 | 7 | 5 | 19 | 61-84 | 26 |
| 12. მესხეთი | 31 | 0 | 2 | 29 | 15-142 | 2 |

### 93-წლიანები. XXIX ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სიონი | 2:1 |
| მესხეთი-ბორჯომი | 0:3 |
| ზესტაფონი-გაგრა | 0:2 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 1:1 |
| ამერი-მგლები | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 32 | 28 | 3 | 1 | 115-9 | 87 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 31 | 20 | 7 | 4 | 64-29 | 67 |
| 3. ამერი | 31 | 18 | 3 | 10 | 65-41 | 57 |
| 4. ზესტაფონი | 31 | 16 | 4 | 11 | 50-36 | 52 |
| 5. ლოკომოტივი | 31 | 16 | 3 | 12 | 64-31 | 51 |
| 6. მგლები | 31 | 15 | 6 | 10 | 74-39 | 51 |
| 7. ბორჯომი | 32 | 10 | 8 | 14 | 35-60 | 38 |
| 8. სპარტაკი | 31 | 10 | 7 | 14 | 32-42 | 37 |
| 9. გაგრა | 31 | 9 | 10 | 12 | 40-39 | 37 |
| 10. ოლიმპი | 31 | 7 | 9 | 15 | 33-63 | 30 |
| 11. სიონი | 31 | 3 | 3 | 25 | 17-82 | 12 |
| 12. მესხეთი | 31 | 2 | 3 | 26 | 12-130 | 9 |

### 95-წლიანები. XXIX ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სიონი | 3:1 |
| მესხეთი-ბორჯომი | 1:2 |
| ზესტაფონი-გაგრა | 1:0 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 5:2 |
| ამერი-მგლები | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 31 | 26 | 3 | 2 | 76-13 | 81 |
| 2. გაგრა | 31 | 19 | 6 | 6 | 52-14 | 63 |
| 3. ზესტაფონი | 31 | 16 | 9 | 6 | 58-34 | 57 |
| 4. ოლიმპი | 31 | 17 | 5 | 9 | 52-37 | 56 |
| 5. მგლები | 31 | 16 | 5 | 10 | 44-28 | 53 |
| 6. დინამო | 32 | 13 | 12 | 7 | 40-33 | 51 |
| 7. ბორჯომი | 32 | 13 | 5 | 14 | 32-33 | 44 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 32 | 12 | 5 | 14 | 37-40 | 41 |
| 9. სიონი | 31 | 8 | 5 | 18 | 36-54 | 29 |
| 10. ამერი | 31 | 7 | 5 | 19 | 22-53 | 26 |
| 11. სპარტაკი | 31 | 4 | 7 | 20 | 20-56 | 19 |
| 12. მესხეთი | 31 | 0 | 5 | 26 | 5-79 | 5 |

ახალი პროფილი

# დეკანოსიძე მინიფეხბურთში?



რუსთავის „ოლიმპიდან" რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვეს, მათ შორის, 27 წლის ნახევარმცველი **გიორგი დეკანოსიძე**. გიორგის საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია. მეორებუნდესლიგური „ფიურტიდან" ჩამოსვლის შემდეგ დეკანოსიძემ „ამერში" საკმაოდ კარგი ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში ორ მატჩზე მეტი არ ჩაუტარებია, ბოლოს კი რუსთავის „ოლიმპში" სათადარიგო ფეხბურთელი გახდა.

ახლა იქიდანაც გაუშვეს, რაც ორმხრივი შეთანხმებით მოხდარა. ამის კვალობაზე გვითხრეს, თითქოს, გიორგი დიდი ფეხბურთის თამაშს ამთავრებს და ფუტზალში გადადის. ცხადია, დავინტერესდით და თავად დეკანოსიძეს დავუკავშირდით. მან დაგვიდასტურა, რომ ფუტზალელებთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ ჯერ არაფერი გადამიწყვეტიაო...

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოური ფეხბურთი

ბარსელონა


ვიქტორ ვალდესი

# ვალდესი ფეხებზე დაიკიდეს

## ბეგირისტაინმა მეკარის მენეჯერთან მოლაპარაკებები შეწყვიტა

**ვიქტორ ვალდესისა** და „ბარსელონას"ურთიერთობა საპნის ოპერას დაემსგავსა. ჯერ კიდევ გასული სეზონის დაწყების წინ კატალონიური გრანდის უმაღლესი ხელისუფალი პირები ღიად და დაუფარავად აცხადებდნენ, რომ „ბარსას" მესვეურები გოლკიპერის თამაშით უკიდურესად უკმაყოფილონი იყვნენ და მის გასხვისებაზე სერიოზულად ფიქრობდნენ. ვალდესით უკმაყოფილება სეზონის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა. ამ უკმაყოფილებამ „ატლეტიკოსთან" „ვისენტე კალდერონზე" ნაგებული მატჩის შემდეგ პიკს მიაღწია. მაშინ მას ყველა აკრიტიკებდა ვისაც ამ თემაზე ლაპარაკი არ ეზარებოდა. საზოგადოება ერთხმად აღნიშნავდა, რომ ვალდესი „ბარსას" ყველაზე სუსტი ფეხბურთელია. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ამაზე მის მიერ არასტაბილურად ჩატარებული შეხვედრებიც ნათლად მეტყველებს. ვალდესის ბრიყვული შეცდომების გამო გუნდს არაერთი პრინციპული ქულა დაუკარგავს. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ **ჩიკი ბეგირისტაინი** ძლიერი მეკარის შეძენას ცდილობდა, მაგრამ გენერალურმა დირექტორმა იანვარში ამ მიმართულებით წარმატებას ვერ მიაღწია. არადა, ბეგირისტაინს არაჩვეულებრივი იდეები ჰქონდა. ის ერთდროულად „იუვენტუსთან" და „ჩელსისთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

საბოლოოდ სენიორ ჩიკიმ ვერც **ჯიჯი ბუფონი** გადაიბირა და ვერც **პეტრ ჩეხი**. ამის შემდეგ მეკარის შეძენაზე საუბარი კარგა ხნით ჩაკვდა. საპნის ოპერის სცენარი იმაში მდგომარეობს, რომ სეზონის მიწურულს ვიქტორით უკიდურესად უკმაყოფილო ხალხი მის ღირსებასა და მიღწევებზე ალაპარაკდა. რომში ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოგების შემდეგ **ჟოან ლაპორტამ** ხმამაღლა და სიამაყით განაცხადა „ბარსელონას" მსოფლიოში საუკეთესო მეკარე გვყავსო. ამით გათამამებულმა ვალდესმა არანაკლები სიამაყითა და თავმომწონებით თქვა ჩემს გუნდთან კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით არანაირ პრობლემას არ ველოდებიო....

თუმცა საპნის ოპერა რისი საპნის ოპერა იქნებოდა სიტუაცია კიდევ ერთხელ რომ არ ჩახლართულიყო და ყველაფერი თავდაყირა არ დამდგარიყო. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად „ბარსელონას" დირექტორატმა ვიქტორთან ხელშეკრულების გახანგრძლივებასთან დაკავშირებული მოლაპარაკება შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ იმ მოლაპარაკებას „ბარსას" გენერალური დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი და ფეხბურთელის მენეჯერი **ხინეს კარბახალი** აწარმოებდნენ.

წარუმატებელი შეხვედრიდან გამოსულმა ბეგირისტაინმა საზოგადოებას განუცხადა, რომ მოლაპარაკება გაურკვეველი ვადით შეწყდა. აღსანიშნავია, რომ ვალდესს კატალონიურ გრანდთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა 2010 წლის 30 ივნისს ეწურება. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი არ გახანგრძლივდება, „ბარსა" ვიქტორს ზუსტად ერთი წლის შემდეგ სრულიად უფასოდ დაკარგავს. ამის თავიდან ასაცილებლად კატალონიელებს ორი გზა აქვთ, ან თანამშრომლობის ვადა გაზარდონ, ან მეკარე 31 აგვისტომდე გაყიდონ. როგორც ჩანს, პირველი ვარიანტი გამოირიცხა, გამოდის, ბეგირისტაინმა მისი გაყიდვა უნდა სცადოს.

ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კატალონიელებს „ფიორენტინას" მეკარესთან, **სებასტიან ფრეისთან** თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდათ. თუ „ლა ბანგვარდიას" დავუჯერებთ, იტალიელებთან „ბარსას" ერთ-ერთმა დირექტორმა **რაულ სანლეიმ** დიდ წარმატებას მიაღწია. თითქოს, „ფიორენტინა" თანახმაა ფრეი გაყიდოს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მოლაპარაკებების სხვა დეტალები არ ხმაურდება. პრესაში არც სავარაუდო სატრანსფერო თანხა დასახელებულა.

### ჟირკოვიც ბარსაზე ოცნებობს

ამასობაში, „დიარიო სპორტში" მოულოდნელი ინფორმაცია გაჩნდა. კატალონიურმა ავტორიტეტულმა გამოცემამ მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელის **იური ჟირკოვის** ინტერვიუ გამოაქვეყნა. ჩვენი კოლეგების ასეთი არჩევანი ცოტა არ იყოს უცნაურად ჩანდა, მაგრამ ჟურნალისტის მოვალეობაა ყველა აქტუალური საკითხი გააშუქოს, თანაც ოპერატიულად და მიუკერძოებლად. ამ ინტერვიუს მომზადების საბაბი ის გახდა, რომ ჟირკოვს „ბარსელონაში" თამაშის სურვილი არ ასვენებს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კატალონიური გიგანტის ხელმძღვანელების ყურადღება მიიპყროს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით რუსი ფეხბურთელის განცხადებას გაგაცნობთ:

*„ბავშვობიდან „ბარსას" ფანი ვარ. ამ კლუბის თამაში ჩემში ენითგამოუთქმელ ემოციებს აღძრავს. კატალონიური კლუბისადმი სიმპათია არასოდეს დამიმალავს. ძალიან მინდა, რომ უახლოეს მომავალში ამ გუნდის ფეხბურთელი გავხდე. მე ყველაფერს ვაკეთებდი და მომავალშიც გავაკეთებ იმისთვის, რომ ადრე თუ გვიან „ბარსას" წევრი გავხდე. იმედი მაქვს, რომ კლუბის ხელმძღვანელები ყურადღებას მომაქცევენ და შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს მომცემენ. თანახმა ვარ, ესპანეთში სინჯებზეც კი ჩავიდე. პროფესიონალი ფეხბურთელისთვის ეს, რა თქმა უნდა, დამამცირებელია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ჩემთვის მიზანი ყოველგვარ საშუალებას ამართლებს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ძალიან მიხარია, რომ ჩემი ინტერვიუ იმ გაზეთში დაიბეჭდება, რომელსაც „ბარსას" ხელმძღვანელები ყოველ დღე კითხულობენ".*

დაგვეთანხმებით, ჟირკოვს ძალიან ამბიციური ოცნება აქვს, თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ევრო 2008-ზე იურიმ ევროპული კლუბების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მას რამდენიმე საინტერესო წინადადებაც ჰქონდა, მაგრამ ცსკა-ს ხელმძღვანელობამ მაშინ მისი გაყიდვა არ ისურვა. ძნელი სათქმელია, რუსის გულახდილი განცხადება კატალონიელებს ტრანსფერის გაჩარხვის სურვილს რამდენად ალუძრავს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ევროპის ჩემპიონატი. U21

# მარკუს ბერგი ყველა გუნდს სჯობს

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატების ხუთგზის გამარჯვებული იტალია იძულებულია ქულით დაკმაყოფილდეს - ჰელსინგბორგში A ჯგუფის მატჩში სერბეთის წინააღმდეგ „აძურინი" ბოლოს მარცხსაც გადაურჩა - გოიკო კაჩარის „მაკრატელამ" მათი კარის ძელი შეაზანზარა. პირველი ტურის გმირი კი უდავოდ ჰოლანდიური „გრონინგენისა" და შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი მარკუს ბერგია, რომელსაც ჯერჯერობით ყველა დანარჩენ გუნდზე მეტი გოლი აქვს აქტივში.**

| შვედეთი-ბელარუსი | 5:1 |
| --- | --- |

**შვედეთი (4-4-2):** დალინი - ლუსტიგი, ბიარსმირი, ბენგტსონი, იოჰანსონი - ელმი, სვენსონი (89. ლანდგრენი), ვერნბლოომი, ბაირამი (71. მოლინსი) - ბერგი, ტოივონენი (84. ჰარბუცი).

**ბელარუსი (4-2-3-1):** ჩესნოვსკი - შიტოვი, ვერხოვცოვი, მარტინოვიჩი, ოსიპოვიჩი - ვოლოდკო, კისლიაკი - აფანასიევი (53. ჩუხლეი), კრივეცი (78. იურჩენკო), კოველი - კომაროვსკი (53. პუტილო).

**გოლები:** 0:1 კისლიაკი (33), 1:1 მარტინოვიჩი (34 ს.კ.), 2:1 ბერგი (38), 3:1 ბერგი (44), 4:1 ბერგი (81), 5:1 სვენსონი (89)

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მასპინძელ შვედეთს მალმიოს „ნიუ სტედიუმზე" შესაშური სტარტი გამოუვიდა - ბელარუსი 5:1 გაანადგურა, რაც დიდწილად **მარკუს ბერგის** დამსახურებაა, ფორვარდმა ჰეთ-თრიქი შეასრულა. ალბათ სლავთა შუახაზელ **სერგეი კისლიაკს** ერჩივნა შორი მანძილიდან ანგარიში არ გაეხსნა 33-ე წუთზე, რადგან ამან მასპინძელთა შეტევები გაათმაგა, გოლის გაშვებიდან 60 წამში **რასმუს ელმის** მოწადინებით ანგარიში გაათანაბრდა, ხოლო შესვენებამდე ბერგმა დუბლი შეასრულა და ცხადი გახადა, რომ ბელარუსი მატჩის შემომტრიალებელი ველარ იყო. მეორე ტაიმში სლავებს კიდევ ორჯერ მოუწიათ **პაველ ჩესნოვსკის** კარის ბადიდან ბურთის გამოტანა.

მატჩის წინ პესიმისტები ამბობდნენ, რომ შვედეთს ორი პრობლემა ჰქონდა დასაძლევი, გადაჭედილი სტადიონის ფაქტორი და საშეჯიბრო პრაქტიკის უქონლობა. შვედები ტურნირზე ავტომატურად დაუშვეს, ამ გუნდს კი 2006 წლის ოქტომბრის შემდეგ ოფიციალური მატჩი არ უთამაშია. მართალია, ისინი თავიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას, მაგრამ პირველ ნახევარ საათში მხოლოდ ერთი მომენტი შექმნეს. შემდეგ კი იყო კისლიაკის გასროლა 30 მეტრიდან...

მასპინძლებმა 10 წუთში სამი გოლი გაიტანეს, ჯერ ელმის დარტყმას **ალექსანდრ მარტინოვიჩის** თავური რიკოშეტი მოჰყვა, თუკი ეს გოლი უფრო შვედთა იღბალს დაბრალდა, ბერგის გოლი დიდებული გამოდგა, მან მეკარე და სამი მცველი დაჯაბნა. მოკლედ, „გრონინგენის" ფორვარდმა იმ ეპიზოდში და მთლიანად მატჩშიც საუცხოოდ ითამაშა.

**იორგენ ლენარტსონი** (შვედეთის მწვრთნელი): *„შედეგით ძალიან კმაყოფილები ვართ. ვიცოდით, რომ ბელარუსს კარგი გუნდი ჰყავდა და მას შეგნებულად დავუთმეთ მოედნის ცენტრი. გადამწყვეტი საპასუხო გოლი გამოდგა, რომელმაც ისეთი ენერგია შეგვმატა, რომ თამაშის ბოლომდე მოვლენების გაკონტროლება აღარ გაგვჭირვებია".*

**იური კურნენინი** (ბელარუსის მწვრთნელი): *„პირველი ნახევარი საათი თანაბარი თამაში იყო, გოლიც კი გავიტანეთ. მერე რა მოხდა, ახლაც ვერ ვხვდები. ბურთს ვაკონტროლებდით, ვუტევდით, მაგრამ ამით მხოლოდ შვედები ხეირობდნენ. ორი მატჩი კიდევ წინაა, კარგად უნდა ვითამაშოთ".*

| იტალია-სერბეთი | 0:0 |
| --- | --- |

**იტალია (4-3-3):** კონსილი - მოტა (78. პიზანო), ანდრეოლი, ბოკეტი, კრიშიტო - მარკიზიო, ჩიგარინი, დე ჩელიე - ჯოვინკო, აკვაფრესკა, ბალოტელი (67. აბატე).

**სერბეთი (4-4-1-1):** ბრკიჩი - ტომოვიჩი, ვუკოვიჩი, პეიჩინოვიჩი, პეტკოვიჩი - ტოშიჩი, ფეისა, სმილიანიჩი, სულეიმანი - მატიჩი (85. ტომიჩი) - კაჩარი.

„აძურინიმ", მიუხედავად იმისა რომ უკეთ ითამაშა, სერბეთის დამარცხება ვერ შეძლო - 0:0. იტალიელებმა 6-ჯერ შეაწუხეს **ჟელიკო ბრკიჩი**, მაშინ, როცა **ადნრეა კონსილის** სულ ორჯერ მოუხდა ოსტატობის დემონსტრირება. საერთო ჯამში, ჰელსინგბორგში სამართლიანი შედეგი დაფიქსირდა, იტალიამ პირველ ტაიმში მოპოვებული სათამაშო უპირატესობის განვითარება მეორეში ვერ შეძლო, რაშიც „დამნაშავე" უკეთ ათამაშებული მეტოქეა. **სებასტიან ჯოვინკოს** 64-ე წუთზე გატანა მართებდა, მაგრამ მან ბურთი პირდაპირ მეკარეს გაარტყა ახლო მანძილიდან - „იუვენტუსის" ტალანტმა **ლუკა ჩიგარინის** შორეული პასი მიიღო, მას მხოლოდ გოლკიპერილა უშლიდა ხელს, ჯოვინკომ, მოულოდნელად, სუსტად და უფანტაზიოდ დაარტყა, რამაც **კაზირაგი** ლამის გააცოფა. ბოლო 20 წუთში კაზირაგიმ გუნდი 4-4-2 სქემაზე გადააწყო. სერბებს კი ბოლოს მოგებაც შეეძლოთ - კონსილიმ **ნენად ტომოვიჩს** ახლო მანძილიდან აულო (73-ე წუთი), მეორე შემთხვევაში კი მას ძელი შეეშველა, ამჯერად კარში გოიკო კაჩარი ურტყამდა (74-ე წუთი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ჰეთთრიკოსანი მარკუს ბერგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ამბები

# პრემიერლიგური ცარცის წრე


გლენ ჯონსონი

დარწმუნებული ხართ, რომ „ლივერპულმა“ „პორტსმუთის“ მცველი, **გლენ ჯონსონი** 19 მილიონ ფუნტად უკვე იყიდა? პრინციპში, იყიდა, როგორ არა, მაგრამ, მოდი მაინც თავი დავიზღვიოთ და მთლად გადაჭრით ნურაფერს ვიტყვით - ინგლისური გაზეთებიც სწორედ ამას გვირჩევენ. კი, მხარეები თითქოს ყველაფერზე შეთანხმდნენ და დღეს ჯონსონმა ლივერპულში სამედიცინო შემოწმებაც უნდა გაიაროს, მაგრამ ხომ იცით, „ჩელსის“ და „მანჩესტერ სიტის“ არ სძინავთ. მოკლედ, ჯერ ხელმოწერილი კონტრაქტი დაგვანახვონ და მერე...

არადა, მერსისაიდელთა თავკაც **რაფა ბენიტესისთვის** ინგლისის ნაკრების 24 წლის მცველის შეძენა მისწრება იქნებოდა. ამ გაგანია ეკონომიკურ კრიზისში, რომელიც „ლივერპულსაც“ შეეხო, კაცმა არ იცის, რა იქნება.

ისე, თანხა, რომელსაც „ლივერპული“ ჯონსონში იხდის, საინტერესოა, ვინაიდან ორი წლის წინ „პომპეიმ“ ამ ფეხბურთელში „ჩელსის“ 4 მილიონი გადაუხადა. დღეს, როგორც მოგახსენეთ, „ჩელსის“ თავისი ძველი კაცის დაბრუნება სურს, „მანჩესტერ სიტი“ კი ფეხბურთელის მოხიბვლას კვირაში 100 ათასი ფუნტით ცდილობს.

ცნობისათვის, გასულ იანვარს გლენ ჯონსონმა „პორტსმუთთან“ ახალი, 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

**ილია ბაბუნაშვილი**

# ზარის ძალა


კარლოს ტევესი

**კარლო ანჩელოტიმ** კარლოს ტევესს ბუენოს აირესში დაურეკა და „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „ჩელსიში“ გადასვლა სთხოვა. არგენტინელი ფორვარდი შვებულებას სამშობლოში ატარებს. როგორც ამბობენ, ანჩელოტის ხმის გაგონებაზე ტევესს გაოცებისგან ლამის ყბა ჩამოვარდნია. მეტიც, მანჩესტერელთა ფორვარდი ლონდონელთა ახალი თავკაცისადმი განსაკუთრებული პატივით გამსჭვალულა, რადგან ფეხბურთელების გადასაბირებლად დიდი მწვრთნელები პირადად, როგორც წესი, არ რეკავენ. შედეგად, ტევესის მსურველ კლუბთა შორის ფავორიტი უკვე „ჩელსია“ და არა „მანჩესტერ სიტი“.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა მყისვე გამოძებნეს არგენტინელი თავდამსხმელის საქმეში ჩახედული ახლობელი, რომელმაც ეს ყველაფერი დაადასტურა: *„კარლოსი ანჩელოტის ზარმა ძალიან გააოცა, მაგრამ თავმოყვარეობაც ძალიან დაუკმაყოფილა. ამ ერთი ზარით იტალიელმა მწვრთნელმა დიდი საქმე გააკეთა“.*

როგორც გითხარით, ტევესი ბოლო სანაკრებო თამაშების შემდეგ შინ ისვენებდა, მისი მობილურის ნომერი კი ანჩელოტის არგენტინის ეროვნული გუნდისა და „მილანის“ ყოფილმა თავდამსხმელმა, **ერნან კრესპომ** მისცა. მეტიც, ანჩელოტიმ კრესპოს ტევესთან დარეკვა და „ჩელსიში“ გადასვლაზე საუბარი მისგან დამოუკიდებლადაც სთხოვა. კრესპომ ყოფილ ბოსს თხოვნა შეუსრულა, ინგლისის ჩემპიონს დაურეკა და აუხსნა თუ როგორ შეუძლია კარლო ანჩელოტის ფეხბურთელის ბედისა და მდგომარეობის შეცვლა.

ასე და ამგვარად, დასავლეთლონდონელებმა ახლა 25 წლის თავდამსხმელის აგენტს, **კია ჯურაბჩიანს** უნდა მიმართონ და, სავარაუდოდ, 26 მილიონი ფუნტი გადაუხადონ - ბრაზილიელი ბიზნესმენი არგენტინელ თავდამსხმელში სწორედ ამ თანხას ითხოვს.

**ილია ბაბუნაშვილი**

ახალი მწვრთნელი

# მარტინესი და 500 ათასი

„უიგან ატლეტიკს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს - ესპანელი **რობერტო მარტინესი** სამწლიან კონტრაქტს დათანხმდა. „ვიგანი“ და მარტინესი პრინციპულად აქამდეც ყაბულს იყვნენ თანამშრომლობაზე, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებას ხელს ორი ერთმანეთთან გადახლართული საკითხი უშლიდა. ერთი ის, რომ ვიგანელები 35 წლის სპეციალისტის წინა გუნდთან, „სუონსისთან“, საკომპენსაციო თანხაზე ვერ თანხმდებოდნენ და მეორეც, მარტინესი თავისი თანაშემწეების საკითხს აგვარებდა.


რობერტო მარტინესი

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ იყო ეს ორი საკითხი გადახლართული. საქმე ის გახლავთ, რომ „უიგანმა“ „სუონსის“ მარტინესის კომპენსაციად 2 მილიონი ფუნტი შესთავაზა და ამ თანხაზე გუნდებმა, თითქოს, ხელი ხელსაც დაჰკრეს, მაგრამ მერე გაირკვა, რომ მყიდველები 2 მილიონში მწვრთნელის თანაშემწეებსაც ტევდნენ, გამყიდველები კი მათში ცალკე 500 ათასის ალებას ანგარიშობდნენ - მოგეხსენებათ, უცხოელი მწვრთნელები თანამემამულე ასისტენტების ჯგუფით გადადიან ხოლმე გუნდიდან გუნდში. საბოლოოდ, მხარეები რალაცაზე შეთანხმდნენ და ის, რაც ერთი კვირის წინ უნდა მომხდარიყო, გუშინ მოხდა.

ცნობისათვის, რობერტო მარტინესს ფეხბურთელობისას ორივე გუნდში აქვს ნათამაშევი. „სუონსიში“ იგი 2003-2006 წლებში აგორებდა ბურთს, „უიგანში“ კი 1995-2001-ში. საინტერესოა ისიც, რომ **ტონი მოუბრეისთან** შეთანხმებამდე მარტინესის დაბევებას გლაზგოს „სელტიკიც“ ცდილობდა. შეგახსენებთ, გასულ სეზონში „უიგანი“ პრემიერლიგაში მე-11 ადგილზე გავიდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

დაბრუნება


დიდი სიყვარულის ერთი კადრი: ლუკას პოდოლსკი და კიოლნის ფანები

# პრინცი შინ დაბრუნდა

## პოდოლსკიმ მიუნხენი გულდაწყვეტილმა დატოვა და დაიძახა: მე დავბრუნდები!

**მიუნხენის „ბაიერნში“ გატარებული სამი წლის შემდეგ, გერმანიის ნაკრების ჭირვეული თავდამსხმელი ლუკას პოდოლსკი მშობლიურ კლუბში, „კიოლნში“ ბრუნდება. წესით, „პოლდი“ მიუნხენური გრანდის ვარსკვლავი უნდა გამხდარიყო და დიდი ფეხბურთი ეთამაშა, მაგრამ იმედები ვერ გაამართლა. ლუკასმა „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ დაიმკვიდრა ადგილი - მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ნაკრებში რეგულარულად თამაშობდა და ბუნდესგუნდის მაისურით გოლებიც გაჰქონდა. პოდოლსკი „ბაიერნს“ ვერ მოერგო. ახლა კი, ნაბიჯი უკან: პოლდი ისევ „კიოლნშია“.**

„პრინცი პოლდი“ მას კიოლნელმა გულშემატკივრებმა შეარქვეს - ცხადია, იმის გამო, რომ „თხების“ ლიდერი და ბომბარდირი იყო. „ბაიერნში“ გადასვლამდე მან „კიოლნში“ სამი სეზონი გაატარა და ამ გუნდთან ერთად, პირველ და მეორე ბუნდესლიგებს შორის მოგზაურობდა. 2004 წელს პოდოლსკიმ „კიოლნის“ მაისურით ბუნდესლიგაში 19 მატჩი ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა, მაგრამ გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდა. მომდევნო სეზონში კი, ლუკასი „თხებს“ 24 გოლით შეეწია და ფაქტობრივად, მარტომ დააბრუნა გუნდი ელიტაში. 2005/2006 წლების სეზონში კი, პოლდიმ 12 გოლი გაიტანა და 9 საგოლე პასი გააკეთა, რის შემდეგაც მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანეს, სადაც ტურნირის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე გახდა.

დღეს ლუკასი 24 წლისაა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ კარიერაში რამეს მიაღწია, ყველაფერი „კიოლნის“ დამსახურებაა. 2006 წლის მუნდიალის შემდეგ, მას მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელები დაუკავშირდნენ და ლუკასმაც გადადგა ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაედგა და რომელზეც ვერც ერთი გერმანელი ფეხბურთელი უარს ვერ იტყოდა - მან „კიოლნი“ დატოვა და მიუნხენს მიაშურა. „ბაიერნში“ პოდოლსკის 71 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე მხოლოდ 15 გოლია. არადა, გერმანიის ნაკრებში უკვე 64 შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული, „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში კი ადგილი ვერა და ვერ დაიმკვიდრა. მიუხედავად ამისა, პოლდი ამბობს, „ბაიერნში“ გადასვლას არ ვნანობ და არც არასდროს ვინანებო, რადგან მისთვის რეკორდმაისტერში გატარებული სამი წელი, სხვა თუ არაფერი, დიდი გამოცდილებაა.

გასული სეზონის მიწურულს მან „ბაიერნის“ შემადგენლობაში გაიბრწყინასავით, რაც **იუპ ჰაინკესის** დამსახურებაა - მწვრთნელისა, რომელმაც **იურგენ კლინსმანი** ბოლო ტურებში შეცვალა და რომელიც პოდოლსკის ენდო. ამ უკანასკნელმაც ნდობა გაამართლა და დაამტკიცა, რომ ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც მწვრთნელის მხრიდან ნდობა სჭირდება. ბოლო ხუთ ტურში ჰაინკესი მას სასტარტო შემადგენლობაში ამწესებდა: ლუკასმაც ორი გოლი გაიტანა და ხუთი საგოლე გადაცემა გააკეთა. რაც სამი წლის განმავლობაში ვიტანჯე, ამ სეზონის ბოლო ტურებში ავინაზღაურეო, ამბობს პოლდი.

ბოლო ტურის მატჩის შემდეგ, პოდოლსკიმ „ალიანს არენა“ ღიმილით, მაგრამ გულდაწყვეტილმა დატოვა და მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებიც აღიარებენ, რომ ძალიან ნანობენ, პოდოლსკის „კიოლნში“ დაბრუნების გამო. მასზე ხომ უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. *„ლუკასმა ბოლო კვირებში ყველას დაუმტკიცა, რომ ნამდვილად არ არის ცუდი ფეხბურთელი და რომ „ბაიერნის“ დონესაც შეესაბამება, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანია. ვფიქრობ, მისთვისაც უმჯობესია, რომ „კიოლნში“ დაბრუნდეს, იქ თავს გაცილებით უკეთ იგრძნობს,“* - თქვა ბავარიელთა ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**.

24 ივლისს „კიოლნი“ ამხანაგურ შეხვედრაში „ბაიერნს“ უმასპინძლებს და ლუკასს უკვე ახარებს ის ფაქტი, რომ ექსთანაგუნდელებს მეტოქის რანგში შეხვდება. *„ბაიერნი“ ჩემი კარიერის შავი ლაქა ნამდვილად არ არის. მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული, კერძოდ იმაზე, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვერ ვითამაშებ. ვისაც ამ ტურნირზე ერთხელ მაინც უთამაშია, დამეთანხმება, რთულია იმის გაცნობიერება, რომ ჩემპიონთა ლიგაში ველარ ითამაშებ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტურნირზე აუცილებლად დავბრუნდები,“* - ამბობს პოდოლსკი.

თუმცა „კიოლნისთვის“ ჩემპიონთა ლიგა ჯერჯერობით ტაბუდადებული თემაა. როცა ლუკასი „თხებში“ თამაშობდა, მაშინ ამ გუნდის წარმატება მეტწილად მხოლოდ ლუკასის გოლებზე იყო დამოკიდებული, ახლა კი მას გვერდში ისეთი თავდამსხმელი ჰყავს, როგორიცაა **მილოვოე ნოვაკოვიჩი**, რომელიც გასულ სეზონში „კიოლნის“ კაპიტანი იყო. ნოვაკოვიჩისა და პოდოლსკის სახით, „კიოლნს“ ახლა ორი მაღალი კლასის თავდამსხმელი ჰყავს, რომელთაგანაც ნოვაკოვიჩი პირველი, შემსრულებელი გოლეადორია, პოლდი კი მეორე, მუშა ფორვარდი. საინტერესოა, რამდენად ჰარმონიული იქნება ნოვასა და პოლდის დუეტი.

ფაქტია ისიც, რომ „პრინცი პოლდის“ დაბრუნებამ „კიოლნში“ უდიდესი ეიფორია გამოიწვია. მომავალი სეზონის აბონემენტების დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია, რაც ცალსახად ლუკას პოდოლსკის დამსახურებაა...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბები

## რანგნიკმა ბას შტუტგარტი აუკრძალა

ადრეც გაცნობეთ, რომ „შტუტგარტს" „ჰოფენჰაიმის" თავდამსხმელ **დემბა ბას** გადაბირება უნდა და ფეხბურთელმაც არაერთხელ აღნიშნა, „შტუტგარტში" წასვლა მინდაო. „სოფლური" კლუბის შეფებმაც არაერთხელ თქვეს, ბას გაყიდვას არ ვაპირებთო, მაგრამ ფეხბურთელი არ ცხრება და ყველა ინტერვიუში გაიძახის, „შტუტგარტი" ჩემთვის იდეალური გუნდიაო.

*„დემბა ბას ტელეფონით ვესაუბრე და ავუხსენი, რომ თუ ჩვენთან კონტრაქტის გაგრძელება უნდა, ნებისმიერ დროს მზად ვართ, დაველაპარაკოთ. სხვა ნებისმიერ თემაზე კი საუბარი აკრძალულია! 29 ივნისს მომავალი სეზონისთვის მზადებას ვიწყებთ და ბაც ჩვენთან ერთად მოემზადება. სხვა გუნდში გადასვლას ვუკრძალავ!"* - განუცხადა „ჰოფენჰაიმის" მთავარმა მწვრთნელმა **რალფ რანგნიკმა** „შტუტგარტერ ცაითუნგს".

## ნიკო კოვაჩი მწვრთნელი გახდა

ხორვატიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი და კაპიტანი **ნიკო კოვაჩი** მწვრთნელი გახდა. ხორვატმა მომავალი სეზონისთვის ავსტრიული „რედ ბულის" მეორე გუნდი ჩაიბარა. მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილმა ფეხბურთელმა აქტიური სპორტული კარიერა მაისში დაასრულა და ხორვატიაში სამწვრთნელო ლიცენზია აიღო.

## ოკუბო ვოლფსბურგს ტოვებს, მოვა პეტრიჩი?

27 წლის თავდამსხმელი **იოშიტო ოკუბო** „ვოლფსბურგში" იანვარში გადავიდა და გერმანიის ჩემპიონი გახდა. „მგლებს" მისი შეძენა 2 მილიონი ევრო დაუჯდათ. ბუნდესლიგის მეორე წრეში ოკუბომ „ვოლფსბურგის" რიგებში მხოლოდ 9 მატჩში მიიღო მონაწილეობა, გოლი არ გაუტანია და ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. „მგლების" ახალი მწვრთნელისა და მენეჯერის, **არმინ ფეეს** გადაწყვეტილებით, ოკუბო „ვოლფსბურგს" დატოვებს.

ამასობაში „მგლები" კვლავ იბრძვიან იმისათვის, რომ „ჰამბურგის" ხორვატი თავდამსხმელი **მლადენ პეტრიჩი** გადაიბირონ. მართალია, ჩრდილოგერმანულმა კლუბმა გერმანიის ჩემპიონს უარი შეუთვალა, მაგრამ „ვოლფსბურგი" არ ნებდება და ფეხბურთელიც ამბობს, ვფიქრობ, „ჰამბურგს" ჩემი გაყიდვა უნდაო.

## მათეუსს მთხოვნელი გამოუჩნდა: არმინია

ბილეფელდის „არმინიამ" სეზონის მიწურულს მთავარი მწვრთნელი **მიხაელ ფრონტცეკი** პოსტიდან გაათავისუფლა და ბოლო ტურის წინ გუნდი **იორგ ბერგერმა** ჩაიბარა, მაგრამ ვერც ამ უკანასკნელმა შეძლო გუნდის გადარჩენა - „არმინია" მეორე ბუნდესლიგაში გავარდა. „ბილდის" ინფორმაციით, ბილეფელდური კლუბის შეფები მზად არიან, გუნდი **ლოთარ მათეუსს** ჩააბარონ. გერმანიის ნაკრების რეკორდსმენთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

## მიუნხენ 1860: გამოსავალი კრიზისიდან

**მათე ლვინიანიძის** გუნდის, „მიუნხენ 1860"-ის ხელმძღვანელებმა წლიური აბონემენტის ფასი 5 პროცენტით გააძვირეს, მაგრამ ამავე დროს, გულშემატკივრებს დაჰპირდნენ, რომ თუ გუნდი მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში მეცხრეზე დაბალ ადგილს დაიკავებს, აბონემენტის თითოეულ მფლობელს გადახდილი თანხის 5 პროცენტს, ანუ ნამატს, სეზონის ბოლოს უკან დაუბრუნებენ.

## ჰამბურგი კაჩარით დაინტერესდა

„ბერლინერ ცაითუნგის" ცნობით, „ჰამბურგს" „ჰერტას" პერსპექტიული ნახევარმცველის, **გოიკო კაჩარის** გადაბირება სურს. სერბი ფეხბურთელი ახლა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ასპარეზობს. კაჩარი „ჰერტაში" 2008 წლის იანვარში „ვოივოდინადან" გადაბარგდა და ბერლინელებს მისი ტრანსფერი 3 მილიონი ევრო დაუჯდათ. ხსენებული გამოცემის ცნობით, ბერლინელებმა „ჰამბურგს" 22 წლის კაჩარში 10 მილიონი მოსთხოვეს.




ინტერვიუ

კარლ-ჰაინც რუმენიგე

# რიბერი ბაიერნში უნდა დარჩეს!

## რუმენიგეს ზიდანი არ აინტერესებს, მისთვის მთავარი პერესის სიტყვაა



კარლ-ჰაინც რუმენიგე 2002 წლიდან ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტია

**მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელებს სანერვიულო არ ელევათ. გუნდის ლიდერი და უმთავრესი ვარსკვლავი ფრანკ რიბერი რეკორდმაისტერიდან წასვლაზე სერიოზულად ფიქრობს და ცხადია, მთხოვნელებიც არ აკლია. ყველაზე მეტს მადრიდის „რეალი" აქტიურობს და სხვადასხვა გამოცემის ცნობით, ფრანგი დრიბლიორის გადაბირება „ბარსელონას" და „მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურთ. არადა, „ბაიერნს" რიბერის გაშვება არაფრის დიდებით არ უნდა. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე რიბერის მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ გულახდილად საუბრობს და ასახელებს იმ გუნდებს, რომლებმაც ფრანგი ვარსკვლავის გადაბირების სურვილი გამოხატეს. რუმენიგე სხვა არაერთ საინტერესო საკითხსაც ეხება.**

**- ჰერ რუმენიგე, გულახდილად გვითხარით, რა თანხის სანაცვლოდ შეელევა „ბაიერნი" ფრანკ რიბერის? რამდენი მილიონი უნდა გადაიხადოს ამა თუ იმ გუნდმა იმისათვის, რომ რიბერის გაყიდვაზე დაგითანხმოთ?**

- სიმართლე გითხრათ, ძალიან ვამაყობთ იმით, რომ გვყავს ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და კრისტიანო რონალდოსა და კაკას ტრანსფერების შემდეგ, ყველაზე მოთხოვნადი მოთამაშეა. არ არსებობს თანხა, რომელიც რიბერის შეგვიცვლის.

**- გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ზინედინ ზიდანი მიუნხენში იმყოფებოდა. ზიზუ დარწმუნებულია, რომ რიბერი კარიერას „რეალში" გააგრძელებს...**

- ეს სიცრუეა. მადრიდელები რიბერის შეძენით მართლაც არიან დაინტერესებულები, მაგრამ ზიდანი მიუნხენში არ ყოფილა. ჩვენ ფლორენტინო პერესის ნდობით აღჭურვილი პირი დაგვიკავშირდა და გვკითხა, ხართ თუ არა მზად იმისათვის, რომ რიბერი გაყიდოთ, ფული პრობლემა არ არისო. უარი შევუთვალეთ და ვუთხარით, რომ რიბერი არ იყიდება. ეს იყო და ეს. დანარჩენზე პერესმა თვითონ ისაუბრა, როცა თქვა, რომ ჩვენს პოზიციას პატივს სცემს.

**- შემოგთავაზათ თუ არა პერესმა კონკრეტული თანხა?**

- არა, პერესს ფულზე არაფერი დაუკონკრეტებია. მაგრამ არსებობენ კლუბები, რომლებმაც უკვე მოგვმართეს კონკრეტული წინადადებებით.

**- რომელ კლუბებზეა ლაპარაკი და რამდენი შემოგთავაზეს?**

- „რეალზე" გაცილებით ადრე დაგვიკავშირდნენ და კონკრეტული წინადადებებით მოგვმართეს „ჩელსიმ", „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ბარსელონამ". ჩვენთვის აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა ის, რომ რიბერის გადაბირება ძალიან ბევრ გრანდს უნდა. მათ დელიკატური უარი შევუთვალეთ. ყველაფერი ჩვენს ხელთაა, რადგან რიბერის „ბაიერნთან" კონტრაქტი აკავშირებს. შემოთავაზებული თანხების დაკონკრეტებას კი ვფიქრობ, აზრი არ აქვს.

**- ის მაინც გვითხარით, მაქსიმალური შემოთავაზება რამდენი მილიონი იყო?**

- თანხებზე კონკრეტული საუბარი არ მსურს, რადგან ეს „ბაიერნის" ინტერესებში არ შედის. ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ, რიბერის ფასი რომ აუწიონო. ყველა ფიქრობს, რომ რაღაც თანხის შემოთავაზების შემთხვევაში, ფრანკს დავთმობთ. მზად ვარ, კიდევ ერთხელ გავიმეორო: ჩვენ გვინდა, რომ რიბერი „ბაიერნში" დარჩეს!

**- თავის დროზე, რეკორდმაისტერმა რიბერი 25 მილიონ ევროდ შეიძინა. ახლა კი შეგიძლიათ, რომ 45 მილიონი ევროს ოდენობის მოგება ნახოთ. განა ჭკვიანური არ იქნება, რომ გაყიდოთ?**

- თუ ამ საკითხს მხოლოდ ბიზნესის კუთხით შევხედავთ, ცხადია, აზრიანი იქნებოდა ის, რომ რიბერის გაყიდვაზე ვიფიქროთ. ფეხბურთი ბიზნესიცაა, მაგრამ მხოლოდ ბიზნესი არ არის და ამ ყველაფერს ემოციური კუთხითაც უნდა შევხედოთ. ფრანკ რიბერი ჩვენ ზუსტად ორი წლის წინ ვიყიდეთ, ოღონდ არა იმისთვის, რომ ამ ფეხბურთელით ფული გაგვეკეთებინა, არამედ იმ მიზნით, რომ „ბაიერნის" კლასი ამაღლებულიყო. შესაბამისად, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ რიბერი ჩვენთან დარჩეს.

**- არადა, რიბერის აგენტი ყველაფერს აკეთებს, რომ მან გუნდი გამოიცვალოს...**

- არ ვიცი, რას ფიქრობს რიბერის მრჩეველი, ერთი რამ ცხადია: თვითონ ფრანკმაც და მისმა აგენტმაც შესანიშნავად იციან, რასაც ვფიქრობთ ჩვენ ამ შესანიშნავი ფეხბურთელის მომავალთან დაკავშირებით. და როცა ზიდანი ამბობს, რიბერისთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებ და დარწმუნებული ვარ, ჩვენთან გადმოვაო, ამაზე მხოლოდ მეღიმება. ფიფას წესების მიხედვით, ეს აკრძალულია და გამოდის, ზიდანი კანონს არღვევს! არც ერთ კლუბს არ აქვს უფლება, ფეხბურთელთან მოლაპარაკებები მისი გუნდის გვერდის ავლით აწარმოოს. მაგრამ ახლა ამ თემით სპეკულირებას არ ვაპირებ, ნამდვილად არ მინდა, რომ ცირკი შევქმნათ. ჩემთვის ყველაზე მთავარი პერესია. ფლორენტინოს კი ჩვენი მოსაზრებები კარგად მოეხსენება.

**- ფაქტია, რომ რიბერი არ ამბობს, „ბაიერნში" დარჩენა მინდაო. მართალია, არც იმას ამბობს, მივდივარო, მაგრამ ფაქტია, რომ არც მიუნხენურ გრანდს უცხადებს ერთგულებას. აგენტები და სხვადასხვა პიროვნებები კი მილიონებს სთავაზობენ და თავგზა აუბნიეს. ჩვენ კი ვიცით, რომ რიბერი ძალიან დამყოლი და სხვებზე დამოკიდებული პიროვნებაა. როგორ ფიქრობთ, უნდა „ბაიერნში" დარჩენა?**

- ერთი რამ ფაქტია: ფეხბურთელმა პატივი უნდა სცეს კონტრაქტს, რომელიც გუნდთან გააფორმა. მას ჩვენთან ხელშეკრულება 2011 წლამდე აკავშირებს. რიბერი ახლა შვებულებაშია, ისვენებს. მერე კი დაბრუნდება და ძალიან გვინდა, მომდევნო სეზონშიც „ბაიერნის" მაისურით იდრიბლიოროს.

**- შევიტყვეთ, რომ ლუის ვან გაალს გამთამაშებლად ვესლი სნეიდერი სურს. ეს უკანასკნელი კი „რეალში" თამაშობს. იქნებ გაცვლაზე დათანხმდეთ?**

- ვან გაალთან საკადრო პოლიტიკის შესახებ არაერთხელ ვისაუბრეთ და ის ყოველთვის ამბობდა, ფრანკ რიბერი არაჩვეულებრივი ფეხბურთელიაო. ლუისს რიბერის შენარჩუნება უნდა და არა მგონია, სნეიდერს ამჯობინოს.

**- „რეალმა" „მანჩესტერ იუნაიტედს" კრისტიანო რონალდოს სანაცვლოდ 94 მილიონი ევრო გადაუხადა. ამ ტრანსფერს როგორ შეაფასებდით?**

- ყველაფერი ის, რაც დღეს მსოფლიო ფეხბურთში ხდება, ძალიან მანერვიულებს. პირველ რიგში კაკასა და რონალდოს ტრანსფერებს ვგულისხმობ. გერმანიაში მოქმედი საფეხბურთო კანონების შესაბამისად, ასეთი ტრანსფერების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, ესპანეთში კი ყველაფერი სხვანაირად ხდება. სხვათა შორის, უკვე ვესაუბრე მიშელ პლატინის და ჩვენ შევთანხმდით, რომ მისაღებია ახალი კანონი, რომელსაც ფინანსური ფეარპლეი უნდა ეწოდოს. რაციონალურობა უპირველეს ყოვლისა - ასეთია ჩემი იდეის დევიზი. დაუშვებელია ის, რომ ამა თუ იმ გუნდმა ერთ ფეხბურთელში ასეთი დიდი თანხა გადაიხადოს. 94 მილიონი, პლუს წლიური ხელფასი 11.5 მილიონი - ჩემი აზრით, ეს უკვე აბსურდია!

**- კარგით, რიბერის თემა ამით ამოვწუროთ. რომელი ფეხბურთელების შეძენას გეგმავს „ბაიერნი" კიდევ? ბოსინგვას ყიდულობთ?**

- ფაქტია, რომ დაცვის მარჯვენა ფლანგზე ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვჭირდება. ბოსინგვა ერთ-ერთი კანდიდატია.

**- „შალკეს" მეკარე მანუელ ნოიერს თავი დაანებეთ?**

- გელზენკირხენული კლუბიდან საბოლოო პასუხს ჯერაც ველოდებით. „შალკეს" ნოიერის საკითხი ჯერ არ გადაუწყვეტია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან გუნდის ახალი მენეჯერი და მწვრთნელი ფელიქს მაგათი შვებულებაშია. როცა ფელიქსი შვებულებიდან დაბრუნდება, კიდევ ერთხელ გავაქტიურდებით. მართალია, ამბობენ, არ ვყიდითო, მაგრამ მე მჯერა, რომ ამ თემაზე საბოლოო სიტყვა ჯერ კიდევ არ არის ნათქვამი.

**- ჩვენი ინფორმაციით, „შალკეს" ნოიერის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო და მიხაელ რენზინგი შესთავაზეთ...**

- „შალკეს" ბოსებთან რამდენიმე შეხვედრა გვქონდა, მაგრამ დამერწმუნეთ, სატრანსფერო თანხაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ჩვენ მათ უბრალოდ ვკითხეთ, ფიქრობენ თუ არა ნოიერის გასხვისებაზე.

**- და თუ არ მოგყიდეს?**

- თუ ნოიერს ვერ შევიძენთ, როგორც ული ჰიონესმაც თქვა, მომავალ სეზონს იმ მეკარეებით შევხვდებით, რომლებიც ახლაც გვყავს - მიხაელ რენზინგითა და ჰანს-იორგ ბუტით.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## რეალი: 25 მილიონი და ორი ჰოლანდიელი რიბერის სანაცვლოდ?

ესპანური გამოცემა „ასის" ცნობით, **ფრანკ რიბერი** მხოლოდ „რეალში" გადასვლაზე ფიქრობს. ფრანგი დრიბლიორის აგენტ **ალან მილიაჩოს** განცხადებით, რიბერისთვის საკითხი ასე დგას: „მადრიდი ან არაფერი!"

მეორე ესპანური გამოცემა „მარკა" კი იტყობინება, რომ **ფლორენტინო პერესი** მზადაა, მიუნხენურ კლუბს 25 მილიონ ევროსთან ერთად, **ვესლი სნეიდერი** და **რაფაელ ვან დერ ვაარტი** შესთავაზოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციათა თასი. პირველი ტურის შემდეგ

# როსის ამერიკული ოცნება

## იტალია კმაყოფილია



ამ დღეებში, იტალიურ პრესაში მთელი ყურადღება ეროვნული ნაკრებისკენ გახლავთ მიმართული. სკუადრა აძურამ კონფედერაციათა თასზე პირველი შეხვედრა გამართა და როგორც იცით, ამერიკის ეროვნული გუნდი 3:1 დაამარცხა. აპენინებზე, **მარჩელო ლიპის** გუნდის თამაში მთლიანობაში დადებითად შეაფასეს, ჟურნალისტთა ნაწილი კი არც ქება-დიდებას მოერიდა. თუმცა, იყო გარკვეული ხარვეზებიც, რომლის აღმოფხვრა აუცილებელია და ამაზე მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მაესტრომაც ისაუბრა.

რაში მოისუსტებს აძურა? - ასეთ კითხვას სვამს „გაძეტა დელო სპორტი“ და თვითონვე პასუხობს - უპირველეს ყოვლისა, მოძრაობაში. იტალიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები, ბურთით და უბურთოთ, ნელა გადაადგილდებიან მოედანზე, რაც მეტოქეს საშუალებას აძლევს, დაცვითი რუბიკონები რამდენჯერმე გადააწყოს. გავიხსენოთ ამერიკის ნაკრებთან გამართული პირველი ტაიმი და ინერტული აძურელები. მთელი 45 წუთის განმავლობაში, ხეირიანად ერთხელაც არ დაურტყამთ მეტოქის კარის მიმართულებით. რადიკალურად განსხვავდებოდა მეორე ნახევარი, რომელმაც ლიპის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

თამაში გარდატეხა **ჯუზეპე როსის** მოედანზე შესვლამ შეიტანა, ფეხბურთელის, რომელიც სწორედაც თავისი სისწრაფით და სხარტი მოძრაობით გამოირჩევა. ბუნებრივია, ამ სისხარტეს თან ახლავს ტექნიკა და დაყენებული დარტყმა. როსიმ ამერიკას დაახლოებით ისეთივე გოლი გაუტანა, როგორიც ორიოდე კვირის წინ, ამხანაგურ შეხვედრაში ჩრდილოეთ ირლანდიის უმთავრეს გუნდს. თვითონვე აართვა ბურთი მეტოქეს, სწრაფად დაიძრა მეტოქის საჯარიმოსკენ და უძლიერესი დარტყმით ბურთი ცხრიანში გაახვია. როსიმ შემდეგ დუბლიც შეასრულა, მის გოლებს შორის კი თავი **დანიელე დე როსიმ** გამოიჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი იტალიამ კაცნაკლულ მეტოქესთან მოახერხა, აპენინური პრესა მაინც კმაყოფილი დარჩა. აძურამ ლიპის გუნდებისთვის დამახასიათებელი მტკიცე ხასიათი გამოავლინა და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ საჭირო მომენტში მობილიზება და გამარჯვება შეუძლია. იტალიის ნაკრებმა მეორე ნახევარში მასირებულად შეუტია მეტოქეს და სამი ბურთი სრულიად დამსახურებულად გაიტანა.

„კორიერე დელო სპორტი“ იტალიის ნაკრების თამაშს დადებითად აფასებს და აძურას კონფედერაციის თასის ფავორიტად მიიჩნევს. ბრაზილიელების არცთუ დამაჯერებელი ასპარეზობის შემხედვარე, აძურას საჩემპიონო შანსებზე უფრო მეტი ოპტიმიზმით შეიძლება საუბარი, - წერს ავტორიტეტული გამოცემა და დასძენს, რომ შეხვედრის უდავო გმირი ჯუზეპე როსი გახლდავთ. საერთოდ, ეს ფეხბურთელი გაზეთების გუშინდელი ნომრების პირველ გვერდებზეა გამოტანილი და მისი კომენტარიც უხვად ქვეყნდება. აი, რა განაცხადა შეხვედრის შემდეგ როსიმ:

*„გუნდს ახალი სისხლი სჭირდებოდა და ლიპიმ მოედანზე ჩემი შეშვება გადაწყვიტა. ვგრძნობდი, რომ შემეძლო ნაკრებს დავხმარებოდი და გამომივიდა კიდეც. ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ და ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ. ამ გამარჯვებამ საკუთარი თავის რწმენა შემგვმატა და ვფიქრობ, რომ კონფედერაციის მოგების საკმაოდ კარგი შანსები გვაქვს. დიდი მადლობა ჩემს თანაგუნდელებს, რომლებმაც ასევე ყველაფერი გააკეთეს თამაშის შემოსატრიალებლად. ბედნიერი ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებში ფეხს ვიკიდებ. ამერიკასთან თამაში ამ მხრივ ფუნდამენტური იქნება და გპირდებით, თავს არც მომავალში დავზოგავ“.*

როსიმ ერთი მეტად საინტერესო ფაქტიც გაამხილა, რომელზეც თვითონ მოგითხრობთ: *„სამი წლის წინ, როდესაც ჯერ კიდევ 18 წლის ვიყავი, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი მომეცა. ამერიკის ნაკრების მწვრთნელი, ბრუს არენა დამიკავშირდა და ნაკრებთან ერთად გერმანიის მუნდიალზე გამგზავრება შემომთავაზა. სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ არენას შეთავაზებაზე დათანხმება არც კი მიფიქრია. ჩემი ოცნება ყოველთვის იტალიის ნაკრებში თამაში იყო და ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ოცნება ამიხდებოდა. საინტერესო დამთხვევაა, ოფიციალურ შეხვედრაში პირველი გოლები ამერიკის ნაკრების კარში გავიტანე“.*

მოკლედ, როსი გმირია და მას ყველა აქებს, თუმცა „სკუადრა აძურაში“ ისეთი ფეხბურთელებიც მოიძებნენ, რომლებიც მკაცრად გააკრიტიკეს. მაგალითად, **ლუკა ტონი**, რომელსაც ბოლო დროს პრესა ისედაც აღარ წყალობს. ლუკა კლუბში მუდამ წარმატებით გამოდის, მაგრამ ეროვნულ გუნდში თითქოს დანავსულია. მაშინ, როცა „ბაიერნში“ შეუძლია არაფრისგან გამოჭედოს გოლი, ეროვნულში ურეალურეს შანსებს ანიავებს. ასე მოხდა ამერიკასთანაც, როდესაც მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ფორვარდმა ბურთი პირდაპირ **ჰოვარდს** გაარტყა. ლუკა მეორე ნახევარში შევიდა მოედანზე, თუმცა შეხვედრის წინ ღიად განაცხადა, რომ სასტარტოში მოხვედრის დიდი იმედი ჰქონდა. „ტუტოსპორტის“ ჟურნალისტი, ტონის ამბიციების მოთოკვისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ ის დღეს არ იმსახურებს ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობას.

ვერ გაიბრწყინეს **ალბერტო ჯილარდინომ** და **ვინჩენცომ იაკვინტამ**, თუმცა ამ უკანასკნელმა დიდი სამუშაო გასწია და ხშირად უკანახაზელებსაც ეხმარებოდა. აი, ჯილარდინო კი ვერაფრით წარმოჩნდა და სავარაუდოდ, ეგვიპტესთან ძირითად შემადგენლობაში ვეღარ მოხვდება. და ვინ ჩაანაცვლებს „ფიორენტინას“ შემტევს? - ან როსი, ანაც **ფაბიო კვალიარელა**. ვილიარეალელმა ბრწყინვალე ასპარეზობით სასტარტოში მოხვედრა დაიმსახურა, მაგრამ ლიპიმ შესაძლოა ის კვლავაც მეორე ტაიმისთვის შემოინახოს და საჭირო მომენტში ჩართოს თამაშში. ასეთ შემთხვევაში, ძირითად თერთმეტეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვს კვალიარელას, ვინც ახალ ზელანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ორი საგოლე პასი გააკეთა და თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. მოკლედ, არჩევანი ლიპის დიდი აქვს და ისღა დარჩენია, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. შემდეგი შეხვედრა იტალიის ნაკრებს აფრიკის ჩემპიონ ეგვიპტესთან უწევს.

**ლაშა ნიკლაური**

მოსალოდნელი ტრანსფერი



ფრანკო ძუკულინი

# ბრძოლა მარადონას საყვარელი ტალანტისთვის

## სად გააგრძელებს კარიერას ფრანკო ძუკულინი?

18 წლის არგენტინელი ტალანტი **ფრანკო ძუკულინი** აველიანედის „რასინგში“ თამაშობს და არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **დიეგო მარადონას** ერთ-ერთი უსაყვარლესი ტალანტია. შესაბამისად, ძუკულინის გადასაბირებლად უკვე რამდენიმე ევროპული კლუბი იბრძვის. ყველაზე მეტად კი გერმანული გუნდები, „ჰოფენჰაიმი“ და ბრემენის „ვერდერი“ აქტიურობენ.

არგენტინული გამოცემა „დარიო პოპულარის“ ცნობით, „ვერდერმა“ და „ჰოფენჰაიმმა“ ძუკულინის კლუბს კონკრეტული წინადადებებით მიმართეს და როგორც ხსენებული გამოცემა წერს, „რასინგს“ „ვერდერი“ „ჰოფენჰაიმზე“ მეტს სთავაზობს. ამასთან, ბრემენელებს ფრანკოს ძმის, 17 წლის **ბრუნოს** გადაბირებაც უნდათ. თუმცა გერმანული გამოცემა „ბილდის“ ინფორმაციით კი, „ჰოფენჰაიმს“ „ვერდერზე“ უკეთესი შანსი აქვს, რადგან სოფლელები ფეხბურთელს გაცილებით მაღალ ხელფასს სთავაზობენ. „ჰოფეს“ მილიარდერი მფლობელი **დიტმარ ჰოპი** დარწმუნებულია, რომ ამ დღეებში მისი ხელქვეითები ძუკულინის ტრანსფერს სრულყოფენ.

და მაინც: ვინ არის ეს ძუკულინი? მოვუსმინოთ მარადონას: *„ფრანკო ერთ-ერთი საუკეთესო ტალანტია მათ შორის, ვინც ოდესმე მინახავს. დარწმუნებული ვარ, რომ ის 2010 წლის მუნდიალზეც გამოჩნდება და გაიბრწყინებს. ოღონდ, ახლა მთავარია, რომ რომელიმე ევროპულ ტოპ-ლიგაში გადავიდეს და პროგრესი იქ განაგრძოს, რადგან ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი. ფაქტია, რომ მას აქვს პოტენციალი, გახდეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი“!* აღსანიშნავია, რომ მარადონამ პანამასთან 3:1-ზე მოგებულ მატჩში ძუკულინი არგენტინის პირველ გუნდში ათამაშა.

„ჰოფენჰაიმისთვის“ ძუკულინი რიგით მეორე ახალწვეული იქნება. როგორც იცით, „სოფლელებმა“ უკვე გაიფორმეს 22 წლის ბრაზილიელი **მაიკოსუელი**, რომლის სანაცვლოდაც, რიო დე ჟანეიროს „ბოტაფოგოს“ 4.5 მილიონი ევრო გადაუხადეს (5-წლიანი კონტრაქტი). „ვერდერმა“ კი, **დიეგოს** წასვლის შემდეგ, მხოლოდ ერთი მოთამაშე გადაიბირა, კერძოდ, 21 წლის ბოლივიელი ფორვარდი **მარსელო მორენო**. ეს უკანასკნელი „მუსიკოსებმა“ დონეცკის „შახტარისგან“ ერთი წლით ინათხოვრეს. „ვერდერი“ ახლა მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ 20 წლის ტალანტის, **მარკო მარინის** ტრანსფერის სრულყოფას ცდილობს. გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხილი ფლეიმეიქერი „ვერდერის“ ხელმძღვანელებს ყველაფერზე შეუთანხმდა. ახლა კლუბები არკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# არსენალმა ჰიტცლშპერგერს დაუმიზნა

დიდი შანსია, რომ **მარიო გომესის** შემდეგ, „შტუტგარტი“ კიდევ ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს. შვაბური კლუბისა და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველ **თომას ჰიტცლშპერგერს** კუნძულზე ეპატიჟებიან. როგორც ინგლისური „სანი“ იტყობინება, ჰიტცლშპერგერით ლონდონის „არსენალის“ თავკაცი **არსენ ვენგერი** დაინტერესდა. მეტიც: ჩვენი ინგლისელი კოლეგები იტყობინებიან, რომ ვენგერი უკვე დაუკავშირდა და ესაუბრა „შტუტგარტის“ გენერალურ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს**.

ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, „მეთოფეები“ მზად არიან, „შტუტგარტს“ 27 წლის საყრდენ ნახევარმცველში 6 მილიონი ევრო გადაუხადონ. უძლიერესი დარტყმის პატრონ ჰიტცლშპერგერს „შტუტგარტთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ თუ ტრანსფერი განხორციელდა, ჰიტცლშპერგერს პრემიერლიგასთან შეგუებისთვის დიდი დრო არ დასჭირდება, რადგან ის უკვე თამაშობდა ინგლისში - 2000-დან 2005 წლამდე თომასი „ასტონ ვილას“ ღირსებას იცავდა.



თომას ჰიტცლშპერგერი ისევ პრემიერლიგაში?

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ათი ყველაზე...


მაიკლ ოუენი


ჩაბი ალონსო

# იგი წავა და სხვა მოვა?

„მანჩესტერ სიტიმ" ახალი სატრანსფერო სეზონი „ასტონ ვილას" ვარსკვლავ გარეთ ბერიში 12 მილიონი ფუნტის გადახდით დაიწყო. პრემიერლიგაში მეათე ადგილზე გასული ეს კლუბი პირველ რიგში იმიტომ ვახსენეთ, რომ, ჯერ ერთი, ხსენებული ბაზრის კარის გაღება და მისი გააქტიურება ერთი იყო და მეორეც, არაბი მეპატრონეების წყალობით ისეთ თანხებს ფლობს, რომ ფეხბურთელებით ვაჭრობაზე საუბრისას გვერდს უბრალოდ ვერ აუვლი. მაგრამ, პრემიერლიგაში მარტო „სიტი" ხომ არ არის? ინგლისის მორიგი პირველობის დაწყებამდე ამ ქვეყნის მასმედია, ეჭვი არ არის, კიდევ ბევრჯერ აჭრელდება სატრანსფერო ცნობებით, თუმცა ისიც საინტერესოა, ეს ცნობები ვის შეეხება და ვის არა. ნეტავ, რომელი გამორჩეული ფეხბურთელი გამოიცვლის გუნდს?

გაზეთმა „სანმა" გუნდის სავარაუდო გამომცვლელთა ათეული დაასახელა, ჩვენ კი შეგვიძლია ეს ათეული ჩავინიშნოთ და სექტემბერი რომ დადგება ტაბლოიდს „შეცდომები" დავუთვალოთ. მაშ ასე, „სანის" ათეული:

### 10. როკე სანტა კრუსი

გასულ სეზონში სანტა კრუსმა „ბლექბერნიდან" წასვლის სურვილი მეტი რომ არ შეიძლება ისე მკაფიოდ გამოთქვა. მას არ დაუმალავს, რომ ყოფილ მწვრთნელთან, **მარკ ჰიუზთან** „მანჩესტერ სიტიში" სურდა გადასვლა. მაგრამ, „როვერსი" პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა და კლუბის ხელმძღვანელებმა პარაგვაელი თავდამსხმელი არ გაუშვეს. მწვრთნელი, **სემ ალარდაისი** მას მომავალ სეზონშიც სიამოვნებით დაიტოვებდა, მაგრამ საეჭვოა, „მანჩესტერ სიტისა" და „ტოტენჰემს" გადაელობოს.

### 9. ტიტუს ბრემბლი

ბრემბლი სპეციფიკური ფეხბურთელია, შესაძლოა განსაკუთრებით ცნობილთა კატეგორიაშიც ნაძალადევად არის შეყვანილი, მაგრამ „სანდერლენდის" ახალ თავკაცს **სტივ ბრუსს** ძალიან მოსწონს და ამ ზაფხულს მისი ტრანსფერის ამბავი რომ შევიტყოთ, არ უნდა გაგვიკვირდეს. თუ გახსოვთ, „უიგანის" მწვრთნელად დანიშნეს თუ არა, ბრუსმა პირველ რიგში სწორედ ეს ტლანქი მცველი იყიდა.

### 8. ჩაბი ალონსო

ეს ლივერპულელი ბრძოლვნაზეა. ერთი წლის წინ მის სახელს „იუვენტუსს" უკავშირებდნენ, დღეს კი ვინ აღარ ცდილობს ესპანელის შეძენას. მადრიდის „რეალით" დაწყებული „მანჩესტერ სიტით" დამთავრებული, ყველა კარზე უკაკუნებს. ძალიან მონდომებულია **კარლო ანჩელოტის** „ჩელსიც", თუმცა, ესპანელმა თავის პირით განაცხადა თუ „ლივერპულიდან" სადმე წავალ ეს პრემიერლიგის გუნდი არ იქნებაო, ამიტომ, სავარაუდოდ, მისი ახალი ბინა ისევ იტალიაში უნდა ვეძებოთ.

### 7. ჟოლიონ ლესკოტი

აბა, თუ მიხვდებით, ვინ აპირებს მრავალმხრივი ლესკოტის შეძენას? რასაკვირველია, მიხვდით - გუნდი, რომელიც ამ წერილის ლამის ყველა აბზაცში ვახსენეთ, „მანჩესტერ სიტი". ინგლისელი მცველი ბურთთან უცხოდ არ არის, დაცვაში ყველა პოზიციაზე ვარგა და წინ თუ წავა, არც გოლის გატანაზე იტყვის უარს. „ევერტონი" ამ ფეხბურთელს იოლად, არ დათმობს, მაგრამ ფულის ამბავია და ვინ იცის...

### 6. ეშლი იანგი

იანგი „ასტონ ვილაში" **მარტინ ონილის** ერთ-ერთი ვარსკვლავთაგანი გახლდათ და რაა გასაკვირი, რომ უწინარესად სწორედ ონილმა იცის, რომ - მისნაირ ფეხბურთელს „ჩელსი" ეძებს. როგორც ამბობენ, იანგს სამი დიდი პლუსი აქვს, სწრაფია, ნიჭიერი და ინგლისელი. თუ „ჩელსიმ" 20 მილიონი ფუნტი არ დაინანა, მომავალ სეზონში მას ლონდონელთა ლურჯ ფორმაში ვიხილავთ.


ეშლი იანგი

### 5. ჟო ბარტონი

პრემიერლიგიდან გავარდნილი „ნიუკასლ იუნაიტედი" თავად შეეცდება ცნობილი „ცუდი ბიჭის" გაყიდვას და ამ ტრანსფერით ფულის შოვნას. და ვითომ ჩხუბისთავობა ტრანსფერს ხელს შეუშლის? არავითარ შემთხვევაში. ბარტონს მყიდველები მაინც მრავლად ჰყავს. ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, „პორტსმუთი" გახლავთ.

### 4. მაიკლ ოუენი

მართალია, ოუენი ძველებურად ველარ კაშკაშებს, მაგრამ გოლის გატანა რომ იცის, რად უნდა ლაპარაკი. მის კარიერაში „ნიუკასლ იუნაიტედის" პერიოდი, ბუნებრივია, წარსულს ჩაჰბარდა, ასე რომ, ახლა, „ევერტონი" ან „ასტონ ვილა" ექიმის გამოწერილი წამალივით იქნება. მთავარია ჯანმრთელობამ არ უღალატოს და რეგულარულად ითამაშოს, თორემ ვინც მას იყიდის, მოგებული დარჩება.

### 3. ანტონიო ვალენსია

როდესაც სტივ ბრუსმა სამწვრთნელო დაფა და ფიგურები ჩანთაში ჩაალაგა და „ვიგანის" კარი გამოიხურა, სიტყვა დააგდო, ამ ბიჭის შემნარჩუნებლები თქვენ არ ხართო და მართლაც, ვალენსიას გადაბირებას დღეს „რეალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ცდილობენ.

### 2. გლენ ჯონსონი

როდესაც ჯონსონმა „ჩელსი" დატოვა და „პორტსმუთში" გადავიდა, მიაჩნდა, რომ უკან დაიხია, რათა გამოქანდეს და მსოფლიოს თავისი ნამდვილი ძალა დაანახვოს. და მართლაც, მარჯვენა მცველი ისე დაიხვეწა, რომ დღეს ინგლისის ნაკრებში მყარად აქვს ადგილი დაბევებული. „პორტსმუთი", რასაკვირველია, მას სიამოვნებით შეინარჩუნებდა, მაგრამ კარზე „ლივერპული" და ზემოხსენებული „ჩელსი" უკაკუნებენ. ისე, „ლურჯთა" ბანაკში დაბრუნება კრიტიკოსებზე შურის საძიებლად ჩინებული იქნებოდა.

### 1. კარლოს ტევესი

სადაც უნდა წავიდეს ტევესი, თამაშში მთელ გულს ჩააქსოვს და გუნდსაც დიდად გამოადგება. მაგრამ, ჯერ, არგენტინელი მაინც ელოდება „მანჩესტერ იუნაიტედს". ინგლისის ჩემპიონმა იქნებ, ბოლოს და ბოლოს, მოახერხოს და მუდმივმოქმედი კონტრაქტი გაუფორმოს. თუ არა და, „სიტი" და მისი ჯანი. მაგრამ, „ლივერპული"? „სახენაიარევზე" მერსისაიდელებსაც ხომ აქვთ თვალი დადგმული? არ არის გამორიცხული, თავისი წილი „რეალმაც" სცადოს, თუ, რასაკვირველია, რონალდოს ამბის შემდეგ მანჩესტერელებთან კიდევ მიესვლება.

გამოძიება

# პიემპონგსანტიც ესწრებოდა...

ყველაფერს ძალიან ცუდმა ელფერმა გადაჰკრა - „პორტსმუთის" ამბავზე მოგახსენებთ. ის, რომ პრემიერლიგის ცხრილში მე-14 ადგილზე გასული კლუბი არაბმა ბიზნესმენმა, **სულეიმან ალ-ფაჰიმმა** იყიდა, ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება. კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ინგლისში ეჭვი გაჩნდა - ეს ვაჭრობა მთლად წმინდა წყლისა არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, კერძოდ, რა? გუშინ ვწერდით, რომ შესაძლოა ალ-ფაჰიმის ფირმა ირიბად „მანჩესტერ სიტის" მეპატრონის, **შეიხ მანსურისა** იყოს და თუ ეს დამტკიცდება, გამოდის, რომ უფალი შეიხი პრემიერლიგაში ორი კლუბის ყოლას ლამობდა. მოგახსენეთ ისიც, რომ „პორტსმუთთან" დაკავშირებულ 60-მილიონიან გარიგებაში რალაცნაირად პრემიერლიგის თავმჯდომარე, **სერ დეივ რიჩარდსია** გარეული, დღეს კი ახალი ამბავი გაირკვა: „პომპეის" შეძენა დოქტორ ალ-ფაჰიმისთვის ყბადაღებულ ადამიანს, ტაილანდის ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და „მანჩესტერ სიტის" ყოფილ მეპატრონეს **თაქსინ შინავატრას** ურჩევია. ალ-ფაჰიმი ჩემი ახლო მეგობარია და კლუბის შეძენის გზები მე ვასწავლეო - თავისი პირით თქვა ათას კორუფციულ სკანდალში გამოვლილმა შინავატრამ.

ტაილანდელის ეს განცხადება სერ რიჩარდსს ბუნებრივია ემცხეთა, მაგრამ სხვა გზაც აღარ დარჩა და აღიარა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ ის და ალ-ფაჰიმი მართლაც შეხვდნენ ერთმანეთს და რაც მთავარია, ამ შეხვედრას მესამე პირი, შინავატრას მარჯვენა ხელი, **პაიროჯ პიემპონგსანტიც** ესწრებოდა.

რატომ გახეთქა ბატონმა შინავატრამ ახალი ბომბი? იმიტომ, რომ მავანთ ეჭვი გაუჩნდათ, „პორტსმუთის" ყიდვაში ესეც ხომ არ არის გარეულიო და ამის შესახებ პირდაპირ ჰკითხეს. ყოფილმა პრემიერმა ყიდვაში მონაწილეობის ამბავი უარყო, მაგრამ ბრძანა: *„დოქტორი ალ-ფაჰიმი ის ბიზნესმენია, რომელსაც მე დიდ პატივს ვცემ. მე და ის რამდენჯერმე შევხვედრივართ ერთმანეთს, საქმეზეც გვილაპარაკია და შემიძლია გითხრათ, რომ ის ჩემი ახლო მეგობარია. ამ წლის დასაწყისში მან მითხრა, რომ პრემიერლიგაში ფულის დაბანდებას აპირებს, მე კი რალაც-რალაცები ვურჩიე და გზა დავულოცე. ისიც მართალია, რომ ჩემი გარემოცვიდან ზოგიერთმა ადამიანმა დოქტორ სულეიმანს გზის გაკვალვაშიც შეუწყო ხელი. ან კი, რატომ არ უნდა მომხდარიყო ასე? მე ინგლისის საფეხბურთო სამყაროში ხალხს ვიცნობ და ერთის მეორესთან დაკავშირება შემიძლია".*

პრემიერლიგა კი გამოძიებას აგრძელებს. თუ გაირკვევა, რომ შინავატრა ცრუობს და მას „პორტსმუთის" ყიდვაში ფულით აქვს მონაწილეობა მიღებული, წილს გაუუქმებენ, რადგან პრემიერლიგას აქვს კანონი „შესაფერისი ადამიანების" შესახებ და ამ კანონის მიხედვით თაილითს მოლვაწეობა ეკრძალება.

თუ მიაქციეთ ყურადღება, რომ სერ დეივ რიჩარდსი შესაძლოა სწორედ იმ ორგანიზაციამ გამოიძიროს, ამხილოს და, ალბათ, დასაჯოს, რომლის ხელმძღვანელიც თავად არის?

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ახალი მწვრთნელი

# დაბრუნდება ლაციო ელიტაში?

მითქმა-მოთქმას წერტილი დაესვა და **დავიდე ბალარდინი** ოფიციალურად დაინიშნა „ლაციოს“ მთავარ მწვრთნელად და გუშინ, ახალი პოსტის ჩაბარების შემდეგ, პირველი პრესკონფერენცია გამართა. „პალერმოს“ ექსთავკაცმა „ბიანკოჩელესტეს“ მესვეურებს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა, შემდეგ კი სამომავლო გეგმებზე ისაუბრა:

„მიხარია, რომ ასეთი სახელოვანი გუნდი ჩავიბარე. „ლაციო“ აუცილებლად უნდა იყოს იტალიური საკლუბო ფეხბურთის ელიტაში და სულ მალე, ეს ასეც იქნება. გუნდში არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელია და მათთან ერთად დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შესაძლებელია. რას ვიტყვი მარიო სარატეზე? - ძალიან ნიჭიერი და იმედის მომცემი მოთამაშეა, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდა. ბევრი აქვს სასწავლი და სამუშაო. გუნდში არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებისგანაც კარგი მაგალითის აღება შეუძლია. მაგალითად, ტომაზო როკი, ვინც თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და ფეხბურთის ყველა ნიუანსი კარგად იცის. რა მიზნებს დავისახავთ მომავალ სეზონში? - ამაზე საუბარი დღეს ნამდვილად გამიჭირდება, რადგან ბევრი რამე სატრანსფერო პოლიტიკაზეა დამოკიდებული. გააჩნია, თუ რამდენიმე მაღალკვალიფიციურ ფეხბურთელს გადავიბირებთ, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის ვიბრძოლებთ. თუ ეს ვერ მოვახერხეთ, მაშინ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება იქნება ჩვენი მიზანი. ფაქტია ის, რომ მეათე ადგილი, რომელზეც გუნდი ანგასრულებულ სეზონში გავიდა, ჩემთვის მიუღებელი იქნება“.

**ლაშა ნიკლაური**



დავიდე ბალარდინი

კაპიტანი

# ტოტის ახალი კონტრაქტი გაუმზადეს

**ფრანჩესკო ტოტიმ** სეზონის განმავლობაში არაერთხელ დაიჩივლა, რომ „რომას“ მესვეურები მისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას აგვიანებდნენ. და აი, მაშინ, როცა „პუპონე“ შვებულებას საბერძნეთში ატარებს, „ჯალოროსის“ ხელმძღვანელებმა მისთვის ახალი ხელშეკრულება გაამზადეს.

თუ „კორიერე დელო სპორტს“ დავუჯერებთ, კონტრაქტი 2014 წლამდეა გათვლილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ტოტიმ შესაძლოა „რომაში“ 39 წლამდე იასპარეზოს. სიტყვა შესაძლოა შემთხვევით არ გვითქვამს - საქმე იმაშია, რომ ფინანსური კუთხით, ახალი ხელშეკრულება მოქმედზე გაუარესებული პირობებით არის შედგენილი, რაც ტოტის შესაძლოა ძალიან არ მოეწონოს. თავის დროზე, ფრანჩესკომ თავად განაცხადა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, ხელფასის შემცირებაზე თანახმა იყო, მაგრამ შემდეგ, ამ საკითხზე საუბრით თავი აღარ მოუკლავს. თანაც, ახალი ხელშეკრულების მიხედვით, მისი ჯამაგირი მთელი 20%-ით არის შემცირებული. აქვე, გამცნობთ, რომ „პუპონე“, მოქმედი კონტრაქტის მიხევით წელიწადში ექვს მილიონ ევრო იღებს. ყველაფერი ალბათ 2 ივლისს გადაწყდება, ამ დღეს ტოტი „რომას“ მესვეურებს შეხვდება.

**ლაშა ნიკლაური**




ფრანჩესკო ტოტი

ბეტისი



# ხალხი დე ლოპერას წინააღმდეგ

## ანდალუსიური კლუბის მფლობელის წასვლის მოთხოვნით ქუჩაში 40 ათასი ადამიანი გავიდა

ფეხბურთი ემოციასა და სიხარულს რომ არ იწვევდეს, ეს სპორტი არ იარსებებდა და დიდი ხნის წინ მოკვდებოდა. ფეხბურთი მილიარდობით გულშემატკივარს მხოლოდ იმიტომ უყვარს, რომ ესთეტიკურ სიამოვნებას იღებს და გამარჯვებებით ბედნიერებას გრძნობს. ხოლო როცა წარუმატებლობა სისტემატურ ხასიათს იძენს და შენი საყვარელი გუნდი უძლიერესთა ლიგიდან ვარდება ბუნებრივად გიჩნდება უკმაყოფილების გრძნობა, მაგრამ თუ ყველა ხედავს, რომ ამ წარუმატებლობის მიზეზი არაკვალიფიციური მმართველობაა, ფანებს პროტესტი ებადებათ და უკმაყოფილებას სხვადასხვა ხერხით გამოხატავენ. უმეტეს შემთხვევებში ფეხბურთის გულშემატკივრები უკმაყოფილებას ჩხუბითა და ძალადობით იკმაყოფილებენ, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც.

ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი სევილიაში დაფიქსირდა. „ბეტისის“ პრიმერა დივიზიონიდან გავარდნამ უამრავი გულშემატკივარი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. დიდი ტრადიციების მქონე კლუბის ინჩასებმა „ვალიადოლიდთან“ მორიგი ქულების გაფლანგვისა და ლა ლიგიდან გავარდნის გამო ნიანგის ცრემლები ღვარეს. ხალხმა „ბეტისის“ სეგუნდაში დაქვეითება მართლა საშინლად განიცადა. იმ ფატალური დღის შემდეგ ნახევარ თვეზე მეტი გავიდა. ყველას ეგონა, რომ ცეცხლოვან ანდალუსიელებს ვნებები გაუნელდათ და ბედს შეეგუენ, მაგრამ ეს დასკვნა ნაადრევი და საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა. ქომაგების აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ კლუბის ყველა უბედურება მისი მფლობელის, მულტიმილიონერის **ხოსე მანუელ რუის დე ლოპერას** უმეცრების, უნიჭობის, არაკვალიფიციურობისა და მაფიოზობის ბრალია.

ინჩასების აზრით, სენიორ დე ლოპერამ არასწორი პოლიტიკის წყალობით „ბეტისი“ კატასტროფამდე მიიყვანა. უკმაყოფილების გამოსახატავად და ბატონი ხოსე მანუელის გუნდიდან წასვლის მოსათხოვნად ანდალუსიის ქუჩებში დაახლოებით 40 ათასი კაცი გამოვიდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს პოლიტიკური მანიფესტაცია არ გახლდათ, საზოგადოება მსვლელობის ხალხმრავლობით შოკირებული დარჩა. აღმოჩნდა, რომ დე ლოპერას წასვლას „ბეტისის“ დიდი ოჯახის პრაქტიკულად ყველა წევრი ემხრობა. აღსანიშნავია, რომ კლუბი სენიორ ხოსე მანუელის კერძო საკუთრებაა. „ბარსელონას“, „რეალისა“ და კიდევ მრავალი კლუბის მსგავსად, „ბეტისს“ სოსიოები არ მართავენ. შესაბამისად გუნდის მფლობელისთვის იმპიჩმენტის გამოცხადების მექანიზმიც არ არსებობს.

ამიტომ, გულშემატკივრებს მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა აქვთ და ამ გზას, არც მეტი არც ნაკლები, საპროტესტო მანიფესტაციები ჰქვია. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით „ბეტისის“ გულშემატკივართა კლუბის ერთ-ერთი წარმომადგენლის **სანტოს მელენდესის** განცხადებას გაგაცნობთ:

„ჩვენ „ბეტისის“ გულშემატკივრები ვართ და არა ხოსე მანუელ რუის დე ლოპერასი. ამ კაცმა გუნდი კატასტროფამდე მიიყვანა. განგაშის ზარები ძალიან დიდი ხნის წინ შემოვკარით, მაგრამ ამაოდ. დე ლოპერამ ფართო საზოგადოების მოთხოვნა ყურად არ იღო და ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა. შედეგად, „ბეტისი“ სეგუნდა დივიზიონში აღმოჩნდა. თუ დე ლოპერა გუნდიდან არ წავა, სეგუნდაც სანატრელი გაგვიხდება. სასწრაფო ცვლილებები და გარდაქმნები გვჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენ, გულშემატკივრებს არანაირი იურიდიული ბერკეტი არ გაგვაჩნია, რომლის ამოქმედებაც კლუბის მფლობელის შეცვლის საშუალებას მოგვცემდა. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ საუკეთესო გამოსავალი „ბეტისის“ გაყიდვა იქნება. მრავალათასიანი მანიფესტაცია სწორედ ამას მოითხოვს. დე ლოპერა უნდა ვაიძულოთ, რომ კლუბი რომელიმე წარმატებულ ბიზნესმენს მიჰყიდოს, ჯოჯოხეთიდან გაგვათავისუფლოს. იმედია, ის კარგად დაფიქრდება და ისევ და ისევ „ბეტისის“ ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენს მოთხოვნას გაიზიარებს“.

როგორც ჩანს, მრავალათასიანმა მანიფესტაციამ სენიორ ხუან მანუელ რუის დე ლოპერაზე დიდი გავლენა იქონია და მან იმავე საღამოს საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. საზოგადოებას მან საინტერესო რამ უთხრა:

„გულშემატკივრების მესმის, მაგრამ მათ შეფასებებს არ ვიზიარებ. „ბეტისისთვის“ კარგის მეტი არაფერი გამიკეთებია. სამწუხაროდ, ფეხბურთი მათემატიკა არ არის და ლოგიკას არ ექვემდებარება. ეს თამაშია, თამაში, რომელიც შეიძლება, წააგო. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მზად ვარ, გულშემატკივრების მოთხოვნა გავიზიარო და გუნდის აქციები გასაყიდად გავიტანო. გულწრფელად გეუბნებით, „ბეტისი“ ჩემი გულია, მაგრამ რადგან ინჩასებს ჩემი დანახვაც არ უნდათ, მზად ვარ, საკუთარი გული ამოვიგლიჯო და გავყიდო. ვაღიარებ, ქუჩაში ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა. ყოველწლიურად დაახლოებით 42 ათას აბონემენტს ვყიდით. 40 ათასი კაცის მანიფესტაციაში მონაწილეობა კი იმას ნიშნავს, რომ ინჩასების პრაქტიკულად 100 პროცენტი ჩემს წასვლას ითხოვს. რადგან ასეა საქმე, მაშინ თანახმა ვარ, „ბეტისის“ შეძენით დაინტერესებული კომპანიებისა თუ ბიზნესმენების წინადადებები მოვისმინო. თუ საინტერესო პროექტს წარმოადგენენ და დამარწმუნებენ, რომ გუნდისთვის ჩემზე მეტს გააკეთებენ და მის წარმატებულ მომავალს უზრუნველყოფენ, აქციებს იმავე დღეს გავყიდი“.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, „ბეტისის“ შეძენის სურვილი ანდალუსიაში მოღვაწე მულტიმილიონერ ბიზნესმენთა ჯგუფმა უკვე გამოთქვა. ხალხი სიხარულით ცას ეწია, მაგრამ სევილიის რადიოს ერთ-ერთმა კორესპონდენტმა დაადგინა, რომ ამ ბიზნესმენთა ჯგუფში დე ლოპერას უახლოესი სამი მეგობარი ირიცხება. ჩვენი კოლეგა ამტკიცებს, რომ ყველაზე მეტ ფულს ისინი ფლობენ. რადიოს კორესპონდენტს ეჭვი გაუჩნდა, ღრმად პატივცემული ხოსე მანუელი მორიგ მაქინაციას ხომ არ გვიმზადებს, ისე არ მოხდეს, ხალხის თვალის ასახვევად აქციები გაყიდოს, მაგრამ კლუბის ფაქტობრივ მფლობელად დარჩესო. ამ ეჭვს „ბეტისის“ მფლობელის წარმომადგენელმა **მიგელ მარტინესმა** აბსურდი უწოდა. სენიორ მარტინესის თქმით, არ არსებობს მეგობარი, რომელსაც მილიონებს ანდობ, ქონებას გადაუფორმებ და შიში არ გაგიჩნდება, გაცურებული არ დარჩეო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

# მიშელ პლატინი
# ცხოვრება, როგორც მატჩი






(გაგრძელება)

## იუვენტუსი სამუდამოდ...

ხუთშაბათი, 1985 წლის 30 მაისი. დაახლოებით ღამის ორ საათზე მაინც ვახერხებ **კრისტელთან** დარეკვას. მე ვნახე ის, ჩემი მშობლები და ჩვენი საერთო მეგობრები სასტუმროში. ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელები არიან. მაგრამ კრისტელი შეწუხებულია. მის დამშვიდებას ვცდილობ.

შუადღეზე ჩვენი თვითმფრინავი ტურინში ეშვება. კლუბის პრეზიდენტ **ჯანპიერო ბონიპერტისთან** ერთად, იტალიის ტელევიზიისკენ მივემართებით, რათა კიდევ ერთხელ ვნახოთ იმ საშინელი მკვლელობის ფირი. დღეს დილით, ბრიუსელიდან გამოფრენამდე უკვე ვიხილე სასტუმროში ეს კადრები. ძნელია სიტყვებით გამოხატო ის საშინელება, რომელიც ამ ფირის ნახვის შემდეგ დამეუფლა. ეს იმაზე უარესი ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა. ჩამონგრეული კედელი, ზემოდან წამოსული ბრბო, მიწაზე მოფენილ სხეულებზე მოსიარულე ადამიანები... დალუპული გულშემატკივრების გაშავებული სახეები. ეს ადამიანები ათასობით კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდნენ ინგლისელი ხულიგნებისგან, რომლებიც აქ მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ ჩხუბი აეტეხათ... არ მავიწყდება პატარა ბიჭის, **ანდრეას** სახე, რომელიც სტადიონზე მამასთან ერთად მივიდა. მან პირველ რიგებამდე მიაღწია და მავთულის ბადეს მიეკრა, რათა მომავალი საფეხბურთო მატჩის ერთი წამი არ გამოეტოვებინა. ამაზე ის მთელი თვე ოცნებობდა. ყველაფერი მის თავზე დაიძრა. **ანდრეას კაზურა** უკვე ველარასოდეს აღნიშნავს თავის მე-11 დაბადების დღეს...

სულ 38 ადამიანი დაიღუპა. 31 იტალიელი, ოთხი ბელგიელი, ორი ფრანგი და ერთი ინგლისელი. იტალიელი გულშემატკივრების კუბოები სამხედრო აეროდრომ „მელსბროკის" ანგარში გადაასვენეს, რომელიც სახელდახელოდ ეკლესიად გადააკეთეს. მეფის ძმა - პრინცი **ალბერტ ლიეჟელი** თავის მეუღლესთან, პრინცესა **პაოლასთან** ერთად მივიდა იქ, რათა უკანასკნელი პატივი მიაგოს დაღუპულებს. იტალიური წარმოშობის პრინცესა ცრემლებს ვერ იკავებს. იტალიის დროშებგადაფარებული კუბოები სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით ჩაიტანეს იტალიაში, თითქოს ისინი ბრძოლის ველზე სამხედრო მოქმედების დროს დაღუპული ჯარისკაცები იყვნენ...

„ეიზელის" სტადიონის კოშმარი დღემდე თან მდევს. ეს გარდაცვლილები... დაჭრილები, რომლებიც ვილვორდის ჰოსპიტალში მოვინახულე... კრიტიკის საშინელ ქარ-ცეცხლში გამატარეს. დღემდე მესმის ის ბოროტი ფრაზები: *„ვინ მოისურვებს ოდესმე ჩვენი გამარჯვების გახსენებას?"*

ვინ? მე მგონი, ძალიან ბევრი.

უნდა გავიხსენოთ ჩვენი გამარჯვება, ის მუდმივად უნდა იყოს ჩვენს გონებაში. არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რათა აღარ მოხდეს ისეთი კატასტროფები, რომელიც მრავლად ახსოვს ფეხბურთის ისტორიას...

1964 წლის 23 მაისი, ლიმა (პერუ): 320 გარდაცვლილი და 1000 დაჭრილი ოლიმპიადის შესარჩევი მატჩის დროს, რომელშიც პერუ და არგენტინა ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთმა არჩათვლილმა გოლმა ტრიბუნებზე უდიდესი არეულობა და ხანძარი გამოიწვია.

1967 წლის 17 სექტემბერი, ქაისერი (თურქეთი): 40 დაღუპული და 600 დაჭრილი. საკამათო გოლმა ჩხუბის პროვოცირება მოახდინა და „ქაისერისა" და „შივასის" გულშემატკივრებმა ერთმანეთის წინააღმდეგ დანები გამოიყენეს.

1968 წლის 23 ივნისი, ბუენოს აირესი (არგენტინა): 80 მოკლული და 150 დაჭრილი. „რივერ პლეიტისა" და „ბოკა ხუნიორსის" მატჩის დროს, გულშემატკივრებმა სიხარულისგან კოცონები დაანთეს. პუბლიკას ეგონა, რომ ხანძარი დაიწყო. სტადიონის გასასვლელებში პანიკა ატყდა და ერთ-ერთ კართან ჭყლეტა მოხდა.

1969 წლის 25 ივნისი, ქირიჰალა (თურქეთი): 10 დაღუპული, 102 დაჭრილი. ამჯერად გულშემატკივრებმა ერთმანეთს პისტოლეტებიდან გაუხსნეს ცეცხლი.

1969 წლის 25 დეკემბერი, ბუკაუ (ზაირი): 27 დაღუპული და 52 დაჭრილი. პრეზიდენტ **მობუტუს** სტადიონზე მისვლის მომენტში მისი კარი გაიღო და ხალხმა ჭყლეტა მოაწყო, რომელშიც 27 ადამიანი დაიღუპა.

1971 წლის 2 იანვარი, გლაზგო (შოტლანდია): 66 დაღუპული და 108 დაჭრილი. დერბი „სელტიკსა" და „გლაზგო რეინჯერსს" შორის. ბოლო წუთზე გატანილი გოლის შემდეგ, სტადიონის გასასვლელებთან მყოფმა ხალხმა ტრიბუნებზე დაბრუნება გადაწყვიტა და მათ უკან მყოფი ადამიანები გადათელა.

1974 წლის 11 თებერვალი, ქაირო (ეგვიპტე): 48 დაღუპული და 47 დაჭრილი. ადგილობრივ „ზამალეკსა" და პრალის „დუკლას" შორის შეხვედრის ხილვა 80 ათასმა მაყურებელმა მოინდომა, მაგრამ სტადიონი მხოლოდ 40 ათას კაცს იტევდა. შედეგად, ტრიბუნის ქვედა კედელმა მაყურებლების დაწოლას ვერ გაუძლო და ჩამოინგრა - ზუსტად ისე, როგორც „ეიზელის" სტადიონზე მოხდა.

1985 წლის 11 მაისი, ბრედფორდი (ინგლისი): 54 დაღუპული და 200 დაჭრილი „ბრედფორდისა" და „ლინკონლის" მატჩის დროს. ხულიგანი გულშემატკივრების მიერ გავრცელებული ხანძარი სწრაფად მოედო ხის ტრიბუნებს.

და აი, ახლა, 1985 წლის 29 მაისი, ბრიუსელი (ბელგია): 38 დაღუპული და 454 დაჭრილი...

დარწმუნებული ვარ, რომ მოედანზე გასვლით, ჩვენ კიდევ უფრო სასტიკი სასაკლაო ავიცილეთ თავიდან და ასობით ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინეთ.

„იუვენტუსისა" და „ლივერპულის" მატჩის შემდეგ, უეფამ ინგლისური კლუბები გაურკვეველი ვადით მოკვეთა თავისი ეგიდით გამართული ტურნირებიდან. იმ სულელებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელებს ისეთივე გულშემატკივარი ჰყავთ, როგორსაც იმსახურებენ, ვუპასუხებ, რომ არც **დალგლიშსა** და არც მის თანაგუნდელებს არ ჰყავთ ისეთი გულშემატკივარი, რომელსაც ისინი იმსახურებენ. მე ვწუხვარ ინგლისური ფეხბურთის გამო, მომწონს მისი სტილი. ახლა კი ის დაზარალდა ერთი ჯგუფი ხულიგნების სამარცხვინო საქციელის გამო, რომლებსაც ხელ-ფეხი გაუხსნა ლუდმა და ძალადობამ. ამით დავამთავრებ ჩემს კომენტარს „ეიზელის" სტადიონზე მომხდარი მოვლენების შესახებ.

ახლა, სხვადასხვა გემოვნების პუბლიკის წინაშე დიდ სტადიონებზე თამაშისას მოგვიწევს ერთი თვალის შევლებით ტრიბუნების შეფასება. განსაკუთრებით იმ ადგილებს უნდა დავაკვირდეთ, სადაც ის გულშემატკივრები არიან შეკრებილნი, რომლებმაც შედარებით იაფი ბილეთები შეიძინეს...

ამასობაში, ჩემი მესამე ტურინული სეზონი მშვიდად სრულდება. რომ არა სტადიონ „ეიზელზე" მომხდარი ის სისხლიანი ორგია, სიამაყისა და სიხარულის აბსოლუტური განცდა მექნებოდა. ისევე როგორც, 1983-84 წლების სეზონში, ამჯერადაც საუკეთესო სნაიპერი გავხდი - ისევ ყველაზე მეტი გოლი გავიტანე იტალიის ჩემპიონატში.

ჩემ შესახებ შეუძლიათ თქვან, რომ განსაკუთრებული დოსიე მაქვს: 1978 წელს, „ნანსის" შემადგენლობაში საფრანგეთის თასს დავეუფლე. 1981 წელს საფრანგეთის ჩემპიონი გავხდი „სენტ ეტიენის" რიგებში. 1983 წელს იტალიის თასი მოვიგე „იუვენტუსის" მაისურით. 1984 წელს იტალიის ჩემპიონატისა და თასების თასის მოგება მოვახერხე, აღარაფერს ვამბობ ამავე სეზონში „სამფეროვნებთან" ერთად მოპოვებულ ევროპის ჩემპიონის ტიტულზე. 1985 წელს „იუვენტუსის" შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასსა და საკონტინენტთაშორისო თასს დავეუფლე...

იწყება ჩემი მეოთხე სეზონი „იუვენტუსში". „მაკლერები" 4 მილიარდ ფრანკად მაფასებენ. 16 სექტემბერს ვაცხადებ, რომ მომავალი სეზონი ბოლო არ იქნება ჩემს კარიერაში. მაგრამ ფეხბურთიდან წასვლის კონკრეტულ თარიღსაც არ ვასახელებ. ფეხბურთელები კარიერის ბოლოს არა თამაშისგან, არამედ ასკეტური და რეგლამენტირებული ცხოვრების წესისგან იღლებიან. მე უკვე დავიღალე წინასწარ დაგეგმილი მგზავრობებისა და ერთფეროვნად შედგენილი მენიუს გამო, სადაც აუცილებლად უნდა შედიოდეს ბიფშტექსი პიურეთი. დავიღალე წვიმაში ვარჯიშებით... მაგრამ იმის გამო, რომ ფეხბურთის თამაშით გამოწვეული სიამოვნება არ ქრება, მეც მორჩილად ვიღებ ყველანაირ შეზღუდვას.

ამ სეზონს ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ბოლო სეზონი, რომელსაც „იუვენტუსის" შემადგენლობაში ვატარებ. შესაბამისად, გახსნილად ცხადდება 1986-87 წლების სეზონისთვის პლატინიზე ნადირობა. სავარაუდოდ, სწორედ ეს იქნება ჩემი ბოლო წელი დიდ ფეხბურთში. ამის გათვალისწინებით, სწრაფად არის საჭირო გადაწყვეტილების მიღება, რათა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე სრულიად თავისუფლად, ზედმეტი ფიქრების გარეშე ვითამაშო.

გოლი ყველგან გოლია. იტალიური პრესა და ტიფოზები მხოლოდ ამის შესახებ ფიქრობენ! დადგა ოქტომბერი და მე კი ჯერ ერთი გოლიც არ გამიტანია ჩემპიონატში. „შავ-თეთრები" ჩურჩულს იწყებენ. ჩემპიონატის დაწყებიდან ხუთი ტური გავიდა, საუკეთესო სნაიპერის პირადი ანგარიში კი ჯერაც ცარიელია.

მილანის „ინტერს" წინ მიუძღვის **რუმენიგე**, რომელმაც უკვე ხუთი გოლის გატანა მოასწრო. *„პლატინი მხოლოდ თავისი მოკრძალებით ბრწყინავს მოედანზე"*, - ხუმრობა, რომელიც **ჯოვანი ანიელის** ეკუთვნის. მან ეს სიტყვები წინა კვირას, „ატალანტასთან" მატჩის ბოლოს წარმოთქვა. ჟურნალისტებმა სასწრაფოდ აიტაცეს ეს ფრაზა, მაგრამ ჩემი თამაშის შესახებ მათი კომენტარები ნაკლებად ეფექტური იყო.

ქარიშხალი წყლიან ჭიქაში. მე კი უფრო მეტად ის მაინტერესებს, რატომ ვერ ვახერხებ გოლის გატანას. პასუხი ცხადია: იმიტომ, რომ „იუვენტუსმა" თამაშის სტილი შეცვალა. ჩემ წინ, ფორვარდის პოზიციაზე **ლაუდრუპი** და **სერენა** თამაშობენ. **პაოლო როსისგან** განსხვავებით, მათ არ ეშინიათ ბრძოლაში ჩაბმა. რაც შეეხება **მაუროს**, ის იოლად უჯერებს თავის შეტევით ტემპერამენტს და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიდის წინ. ასეთი შემტევი ფეხბურთელების გვერდით, რომლებიც ყოველთვის ჩასაფრებულები არიან მეტოქის კარიდან 16 მეტრის რადიუსში, სულ უფრო და უფრო მიჭირს დასარტყმელ პოზიციაზე გასვლა და გოლის გატანა. „იუვენტუსის" ახალი იმიჯი მომწონს. „ბებერი სინიორა" გარდაიქმნა, უკეთესი გახდა როსის, **ბონეკისა** და **ტარდელის** წასვლის შემდეგ, რომელთა ხელოვნებამ დაღმა სვლა იწყო. „ბებერ სინიორას" ლაუდრუპის, სერენას, მაუროსა და **მანფრედონის** სახით ახალი სისხლი გადაუსხეს. მე ახლა თავდასხმის ცენტრში რეგულატორის როლის შესრულება დამევალა. არა უშავს, თუ გოლების გატანას ვერ მოვახერხებ! ამას ჩემ მაგივრად სხვები გააკეთებენ. და ვინ იცის, იქნებ დროდადრო მაინც ვისარგებლო ბოძებული შანსით. ყოველ შემთხვევაში, რაც უნდა ილაპარაკონ, ჩაძირულების შველა თავად ჩაძირულთა საქმეა.

„ტორინოსთან" მატჩში, ბრაზილიელი **ჟუნიორის** წინააღმდეგ თამაშისას გოლის გატანას ვახერხებ. ანიელი ტაშს მიკრავს. „ბარის" კარში სამი გოლის გატანა შევძელი. ჩემი პირველი ჰეთ-თრიკის „შავ-თეთრების" შემადგენლობაში. ანიელი სიხარულისგან მეცხრე ცაზეა. სულაც არ აპირებს ჩემს წინაშე ბოდიშის მოხდას. ის თავის სიმპათიას სხვანაირად გამოხატავს - „ფერარის" ახალ მოდელს მჩუქნის, რომლის სანომრე ნიშანზე ორი ასოა გამოსახული - MO (Modello ottimo - საუკეთესო მოდელი). მეფური საჩუქარია.

იტალიური პრესისთვის მე კვლავინდებურად საუკეთესო ფეხბურთელი ვარ მსოფლიოში, მაგრამ კვალში მიდგას **მარადონა**, რომელმაც იტალიაში ნამდვილი აღმაფრენა განიცადა.

„იუვენტუსის" შემადგენლობაში ახალი გამარჯვებების მიღწევა მინდა. აგრეთვე დიდი სურვილი მაქვს, საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრო, რათა იქ ის ტიტული მოვიპოვო, რომელიც ჩემს მდიდარ კოლექციას აკლია და რომელიც ფეხბურთის მეფე **პელესთან** დამაახლოებს. ეს არის მსოფლიოს თასი. ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, თუ იქ ჰეთ-თრიკს შევასრულებდი, როგორც ეს „ბარისთან" შეხვედრაში გამომივიდა.

დეკემბერში ვრცელდება ჭორები ჩემგან „იუვენტუსის" სასწრაფოდ დატოვების შესახებ. ჟენევის „სერვეტის" პრეზიდენტთან **დიდიე ტორნარესთან** შეხვედრით, დენთის კასრთან ანთებული ასანთი მივიტანე. იტალიურ გაზეთებში მაშინვე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მე არჩევანი უნდა გავაკეთო: ან გავემგზავრო შვეიცარიულ კლუბში სათამაშოდ ან ბუცები ლურსმანზე დავკიდო. ვკითხულობ ამ სიტყვებს და გულიანად ვხარხარებ. მე ხომ ჯერ არ ჩამიბარებია ჩემი ტურინული ბინა? დიახ, „სერვეტი" ჩემი ტრანსფერისთვის 22 მილიონ ფრანგულ ფრანკს იხდის, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ბონიპერტი და თავად ანიელი ჩამოვიდნენ პარიზში, რათა საკუთარი თვალით ენახათ ჩემი მონაწილეობით საფრანგეთისა და იუგოსლავიის ნაკრებთა შეხვედრა. ალბათ, ისინი „იუვენტუსში" ჩემი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ფიქრობენ.

მაინც სად გააგრძელებს კარიერას მიშელ პლატინი 1986-87 წლების სეზონში, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ? ისევ ის კლუბები სახელდება, რომლებსაც ადრე პრესაში მოიხსენიებდნენ: „ნაპოლი", „ბარსელონა", „ტოტენჰემი", „არსენალი", „სერვეტი" და... „იუვენტუსი". და ყველაფერი თავიდან იწყება.



*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალხტომა

# ჯუღელის ბრინჯაო



სალომე ჯუღელი

გერმანიის ქალაქ ვალდკრაიბურგში წყალმხტომელთა 26-ე საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ახალგაზრდებს შორის. პირველობისთვის მასპინძლებთან ერთად კანადის, შვეიცარიის, პოლონეთის, ჰოლანდიის, რუმინეთის, ჩეხეთისა და საქართველოს წარმომადგენლები იბრძოდნენ. ალემანთა ქვეყნიდან საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ** გვაცნობა, რომ ცხრამეტწლიანებში **სალომე ჯუღელმა** ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 243 ქულით (მისი პირადი რეკორდია) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თექვსმეტწლიან ვაჟებში ათმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში **ალექსანდრე გუჯაბიძე** მე-5 ადგილზე გავიდა, ხოლო ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში **აკაკი ივანიშვილი** მეექვსე იყო.

ვაჟა დანელია

ჭიდაობა

# მედლებს საშეჯიბრო გამოცდილება ამჯობინეს

*რუსთავში მეცამეტედ გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონ თეიმურაზ ყაზარაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 1992-1993 წლებში დაბადებული ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები გამოდიოდნენ. საპრიზო ადგილებისთვის საქართველოს, თურქეთის, ისრაელის, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 155 წარმომადგენელი იბრძოდა. ყველაზე უკეთ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა იასპარეზეს - მათ ათიდან ხუთ წონით კატეგორიაში დაიკავეს პირველი ადგილები, ორი-ორი „ოქრო“ ხვდათ მასპინძლებსა და სომხებს, ერთი - აზერბაიჯანელებს.*

- 16-17-წლიანებში ევროპის პირველობას 24-27 ივლისს სერბეთი უმასპინძლებს, - გვითხრა ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვაჟა კრავეიშვილმა**, - ნაკრების კანდიდატები რუსთავის ტურნირზე გამოვცადეთ. ზოგიერთს წონა არ დავაკლებინეთ, რადგან ჩვენთვის მთავარი ამჯერად არა მედლები, არამედ საშეჯიბრო გამოცდილების მიღება იყო. განსაკუთრებით მინდა გამოვყო **ფირუზ წულუკიძე**, რომელმაც თანატოლთა შორის საქართველოს ჩემპიონობა 54 კილოში მოიპოვა. საწვრთნელი შეკრებისას შევნიშნე, რომ მას წონის შენარჩუნება უჭირდა, ამიტომ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე 58 კილოში ვაჭიდავე - პირველი ადგილი დაიკავა. რუსთავშიც ამავე წონაში აჯობა ყველას. ევროპის პირველობაზეც 58 კილოში გამოვა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ადიგენელი **ლერი კაჭკაჭაშვილი** (63 კგ), რომელიც ამჟამად გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში (დირექტორი **ქართლოს ჭუმბურიძე**) ემზადება. მან ნახევარფინალში სუფთად დაამარცხა რუსეთის ჩემპიონი **არაფხანოვი**, ხოლო ფინალში აზერბაიჯანელ **რახიმლის** მოუგო. ამავე წონაში ცდიდა ძალებს კადეტებში შარშანდელი ევროპის პირველობის მესამე პრიზიორი **გიორგი დავითაია**, რომელმაც წინასწარი შეხვედრა წააგო აზერბაიჯანელთან და საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდა. დავითაია საქართველოს პირველობის ფინალში კაჭკაჭაშვილთან დამარცხდა, ამიტომ სერბეთში ჩვენი ნაკრების ღირსების დაცვა სწორედ ლერის მოუწევს...

**კვარცხლბეკი**

42 კგ. 1. გევორქ ლარიბიანი (სომხეთი) 2. რუბენ მინასიანი (რუსეთი), 3. ალბერტ ვარდანიანი (სომხეთი) და უფუკ ვურალი (თურქეთი).

46 კგ. 1. თურალ ჰასანზადე, 2. ელვინ ალიევი, 3. საქიმ გულიევი (სამივე - აზერბაიჯანი) და ვაზგენ ხაჩატრიანი (სომხეთი).

50 კგ. 1. როდინ სამატავი (რუსეთი), 2. ნერსიკ ხაჩატურიანი, 3. არმენ შახბაზიანი (ორივე - სომხეთი) და ამირან შავაძე (საქართველო).

54 კგ. 1. სარგის კოჩარიანი (სომხეთი), 2. ხაჯიმურატ ტანაშევი (რუსეთი), 3. ფაზილ ზამანზადე (აზერბაიჯანი) და იბრაჰიმ გელიკერი (თურქეთი).

58 კგ. 1. ფირუზ წულუკიძე (საქართველო), 2. მაგომედ ჩუხალოვი (რუსეთი) 3. კახა ვანაძე (საქართველო) და ატავაზ ვართანიანი (სომხეთი).

63 კგ. 1. ლერი კაჭკაჭაშვილი (საქართველო), 2. ბაბეკ რახიმლი (აზერბაიჯანი), 3. კოსა ისმაილი (თურქეთი) და ალიხან არაფხანოვი (რუსეთი).

69 კგ. 1. ისლამ ჩარაევი (რუსეთი), 2. ლაშა გობაძე, 3. თენგიზ ბაბილუა და დავით ჩიტაძე (სამივე - საქართველო).

76 კგ. 1. მაჰმუდ ბაშიევი (რუსეთი), 2. ლაშა შალიკაშვილი, 3. შალვა გონენაშვილი და გიორგი მდინარაძე (სამივე - საქართველო).

85 კგ. 1. იდრის ტატიევი, 2. აბდულა ალტიგიშევი (ორივე - რუსეთი) 3. დავით ჩაკვეტაძე და ბექა ქურდაძე (ორივე - საქართველო).

100 კგ. 1. ალან დრიაევი (რუსეთი), 2. გიორგი ხაბაშვილი (საქართველო), 3. ასლან ალი ნაილი (თურქეთი) და პაატა ჩიკაძე (ისრაელი).

ვაჟა დანელია

**მილოცვა**

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სათათბირო (რექტორი, პროფესორი **ამირან მექვაბიშვილი**) და სტუდენტთა დარბაზი (პრეზიდენტი **გიორგი გიუნაშვილი**) გულითადად ულოცავენ საქართველოს ჩემპიონის მაღალ ტიტულს სიმძიმეების აწევაში ამ სასწავლებლის პროფესორს **ზურაბ ჭავჭანიძეს** და II კურსის სტუდენტს **თეიმურაზ ლუტიძეს**.

ჭადრაკი

# როცა დრო ცაიტნოტისკენ უკაკუნებს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი თბილისის მერიის თასზე. გუშინ მეორე ტურის პარტიები გაიმართა. მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატთა უმრავლესობამ გათამაშების ცხრილში მეორე ქულა ჩაიწერა. სომეხმა **არმან პაშკიანმა** თანამემამულე **ალასი ინანთსი** დაამარცხა, მოსკოველმა **მიხაილ ქობალიამ ინგა ხურცილავას** სძლია, **მერაბ გაგუნაშვილმა** - ერაყელ **მოჰამედ ისმაილ ნამირს**, **მიხეილ მჭედლიშვილმა მერი არაბიძეს** მოუგო, **თორნიკე სანიკიძემ** - აზერბაიჯანელ **ტურჩან მამედიაროვას**, **ნანა ძაგნიძემ ოთარ ჯირკვალაშვილს**, **დავით ჯოჯუამ** - თურქ **დოგან რეიჩენს**, ხოლო **კონსტანტინე შანავამ დავით ნიკოლაიშვილს აჯობა**, **ლევან ფანცულაია მიხეილ ჯამაგიძეს** დაუზავდა. გულშემატკივართა და სპეციალისტთა ყურადღება ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ **ბაადურ ჯობავას** და **ალექსანდრე ყაშაშვილის** (56-ე) პარტიისკენ იყო მიპყრობილი. მეტოქეები დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ 69-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

**ბაადურ ჯობავა:** - საშას პარტიებს რომ გადავხედე, გადავწყვიტე, მისთვის სიცილიური დაცვის ნაიდორფის სოზინი შემეთავაზებინა. დებიუტში 9ნ სვლით მეტოქეს თითქოს სიურპრიზი მოვუმზადე. გრძელროქიან „დრაკონს“ ველოდი, მაგრამ ალექსანდრემ მოკლე როქით გეგმები ამირია. დაძაბული პარტია გამოდგა. ერთ მომენტში რთული პოზიციისას ყაშაშვილმა სვლაზე მთელი ოცი წუთი იფიქრა და ცაიტნოტში აღმოჩნდა, თუმცა პრაქტიკულად სწორი სვლა გააკეთა. დარჩენილ ერთ წუთში ისე ითამაშა, გავოცდი. ბლიცში ძლიერია, რაც დღეს გამოადგა. ამის მიუხედავად, თითქოს უპირატესობას ვინარჩუნებდი, მაგრამ მოულოდნელად უზუსტოდ ვითამაშე, მერვე ხაზი დავასუსტე და კინაღამ დამამათა. კიდევ კარგი, მეტოქემ ლაზიერების გაცვლის შანსი მომცა. ეტლების ენდშპილშიც შეეძლო საშას მოგება, მაგრამ სწორი გაგრძელება ვერ იპოვა და დაფაზე თეორიული ყაიმი შეიქმნა. ქულა გავიყავით. გულახდილად ვაღიარებ - ნამდვილად გამიმართლა...

**ალექსანდრე ყაშაშვილი**: - საინტერესო სვლას ვეძებდი და მოულოდნელად ცაიტნოტში აღმოვჩნდი. მე ხომ რამდენიმე წელიწადია, აქტიურ ჭადრაკს ჩამოვშორდი და მწვრთნელობა დავიწყე, ამიტომ ვარიანტების სწრაფ გათვლას გადავეჩვიე. ნერვიულ სიტუაციაში, როცა დრო ცაიტნოტისკენ უკაკუნებს და თან ბაადურ ჯობავას ეთამაშები, ძნელია ზუსტი სვლის მიგნება. ამიტომაც იყო, რომ ენდშპილში მოსაგები პოზიცია გამომრჩა. ბაადურთან ყაიმით უკმაყოფილო არ ვარ...

დღეს ჯობავა თეთრი ფიგურებით სომეხ **ტიგრან სიმონიანს** დაუპირისპირდება, ხოლო ყაშაშვილი **მერი ჟორჟოლიანს** შეხვდება. ორ-ორქულიანები კი ასე დაწყვილდნენ: **სალომე მელია - არმან პაშიკიანი, მიხაილ ქობალია - მალხაზ სულაშვილი, ივერი ჭილაძე - მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი - ლევან ბრეგაძე, თორნიკე სანიკიძე - ბაჩანა მორჩიაშვილი, ლუკა პაიჭაძე - ტიგრან კოტანიანი, სოფიო გვეტაძე - დავით შენგელია, ნანა ძაგნიძე - აკაკი შალამბერიძე, დავით ლომსაძე - დავით ჯოჯუა, კონსტანტინე შანავა - თამარ წერეთელი, გიორგი მარგველაშვილი - ინგა ჭარხალაშვილი, მაკა ფურცელაძე - ვუგარ რასულოვი, მიხეილ კეკელიძე - პარმენ გელაზონია, ზეინაბ მამედიაროვა - გიორგი ბალათუროვი, გაიოზ ნიგალიძე - სოფიკო გურამიშვილი, ზურაბ ჯავახაძე - ხვიჩა სუპატაშვილი, ლელა ჯავახიშვილი - თამაზ მგელაძე, ასიფ გასანოვი - ვალერიან გაფრინდაშვილი, დავით ბენიძე - თამაზ გუგულაშვილი, ნოდარ ცირამუა - ლევან ფანცულაია** (1,5 ქ.)

ვაჟა დანელია

წყალბურთი

## ტექნიკური შედეგები

გუშინ „ლაგუნა ვერეზე“ ახალგაზრდა წყალბურთელთა საქართველოს პირველობის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა:

1991-1992 წლებში დაბადებულნი: „ივერია 1“-“ლიგამუსი“ 7:12, „ივერია 2 - „დელფინი“ 5:4.

1993-1994 წლებში დაბადებულნი: „ლიგამუსი“-“ლაგუნა ვერე“ 5:4, „ივერია 1“-ასკ 20:2.

1995-1996 წლებში დაბადებულნი: „ლიგამუსი 3“-“ივერია“ 7:19, „ლიგამუსი 2“-ასკ 2:19.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# უიღბლო უიმბლდონი

22 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით პლანეტის ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირი უიმბლდონის ღია პირველობა გაიმართება. თუმცა „დიდი სლემის“ ეს შეჯიბრება უკვე დაიწყო, საქმეში საკვალიფიკაციო ბადეში მყოფი ჩოგბურთელები ჩაერთვნენ. დაიწყო და მაშინვე დასრულდა საქართველოს პირველი ჩოგნისთვის - 19 წლის **ანა ტატიშვილმა** (164) პირველ საკვალიფიკაციო წრეში 22-ე ნომრად განთესილ გერმანელ **იულია შრუპთან** (137) ორ სეტში დათმო - 6:7 (4), 4:6. არადა მეორე სეტში ანამ სამჯერ აართვა გერმანელს მოწოდება. ასე უიღბლოდ დასრულდა ტატიშვილისთვის პირველი ნათლობა უიმბლდონზე.


ანა ტატიშვილი

მონპელიეს (საფრანგეთი) საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი $) წყვილთა თანრიგში **სოფიო შაფათავასა** (272) და რუსი **ლესია ცურენკოს** (289) დუეტი მეოთხედფინალშია. მათ იოლად აჯობეს ფრანგებს (**ფლორენს ჰარინგს** (293) და **კონსტანს სიბელს** (762) - 6:1, 6:3. მეოთხედფინალში შაფათავა და ცურენკო მე-4 ნომრად განთესილებს, შვეიცარიელ **სტეფანია ბოფას** (309) და ამერიკელ **სტორი ტვიდი-იეტსს** (372) ხვდებიან. ერთეულთა თანრიგში შაფათავას გარდა კიდევ ერთი ქართველი თამაშობს, მაკა ჩახნაშვილი (228).

17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (840) აშშ-ში საკრამენტოს ტურნირის (15 ათასი $) ძირითად ბადეში გააღწია - მეორე საკვალიფიკაციო წრეში მან ამერიკელი **დანიელ კოზაკოვსკი** სამ წრეში დაამარცხა - 4:6, 6:1, 7:6 (3), ფინალში კი მან ებრაელ **ალმოგ მაშიაშს** მოუგო - 6:3, 6:2. ძირითადი ბადის პირველივე წრეში ქართველს განთესილი ჩოგბურთელი ეთამაშება - ტურნირის მე-8 ჩოგანი **ენდრიუ კოელიო** (ავსტრალია, 394).

ნიკოლოზ ნეფარიძე

საიუბ ჯი

მივიწყებული ხალხური თამაშობები

# ჩეხვა

ცხენოსნური სპორტის ეს სახეობა წარმოადგენს ხმლით ბრძოლისათვის მხედრის მომზადების დონის გამომჟღავნებას.

თამაშის წესი: საასპარეზო მოედანზე სიგრძეზე დადგამენ რამდენიმე მიზანს (წნელს, რგოლს, საჩხვლეტ ფიტულს და სხვა) ერთმანეთისაგან სათანადო მანძილის დაშორებით. მათი ხმლით დაზიანებისათვის ინიშნება დრო.

მოასპარეზე მხედრები ჩადგებიან მწკრივში და შიშველი ხმლით ხელში მორიგეობით ნავარდით გაურბენენ საჩეხ ნიშნებს.

ზოგი მხედარი გამოდის ორი ხმლით. იგი სადავემიშვებულ გაწვრთნილ ცხენზე ამხედრებული ორი ხელით ჩეხავს მიზნებს — მარჯვნივ და მარცხნივ.

გამარჯვებული გამოდის ის მხედარი, რომელიც უმოკლეს ვადაში სუფთად დააზიანებს დადგმულ მიზნებს.



კაპიტონ ნაჭყებიას წიგნიდან
„ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# აქაც შვედეთი, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი...

**რ**ოგორც დაგპირდით, დღეს გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცთან, დავით უსტიაშვილთან. ვიდრე მწვრთნელის ნაუბარს მოისმენდეთ, შეგახსენებთ, რომ 20-წლამდელთა B დივიზიონის ჩემპიონატი 16 ივლისს მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში დაიწყება და იმავე თვის 26-ში დასრულდება.

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჯგუფში შვედეთთან, სლოვაკეთთან, ლუქსემბურგთან და პორტუგალიასთან მოხვდა. როგორც ხედავთ, ჩვენს 20-წლამდელებს სწორედ იმ გუნდებთან მოუწევთ დაპირისპირება (პორტუგალიის გარდა), რომლებთანაც ეროვნული გუნდი ოდნავ მოგვიანებით ითამაშებს. ისევე როგორც დიდებში, 20-წლამდელებშიც B დივიზიონიდან A-ში ორი ნაკრები გადადის.**

**დავით უსტიაშვილმა შეკრება 15 ივნისს გახსნა. სადღეისოდ გუნდთან არიან ბექა წივწივაძე, ტატო ჩაჩიბაია, რიჩარდ მათიაშვილი, გიგა კვეტენაძე, ირაკლი გაბისონია, გიგი ბარბაქაძე, ზურაბ მაჭავარიანი, მალხაზ აბაიშვილი, გოგა ცეკვავა და გიორგი ნანიტაშვილი.**

**მწვრთნელის თქმით, ნაკრები ლეგიონერებით მალე შეივსება.**

- ჯერ საქართველოში მოთამაშეები შევკრიბეთ, ვიმედოვნებთ, რომ უცხოეთში მოასპარეზეები 20-25 ივნისამდე შემოგვიერთდებიან და მზადებას სრული შემადგენლობით განვაგრძობთ. 2-3 დღეში ესპანეთიდან ჩამოვა კოკა ტომარაძე. ასევე ესპანეთიდან ველით თორნიკე შენგელიასა და გიორგი შარაბიძეს, რომლებიც "ვალენსიას" ღირსებას იცავენ...

**- ნიკა მეტრეველი სერია A-ს ფინალური სერიის დასრულებას ელის...**

- მეტრეველს ველაპარაკე. იგი "მონტეპასკის" წევრია და ვიდრე იტალიის ჩემპიონატი არ დასრულდება, ვერ ჩამოვა. მას 18 ივნისის შემდეგ ველით. ასევე, მალე შემოგვიერთდებიან ნოდარ შენგელია და დავით მაისურაძე. დათო ახლა კიევშია, ხოლო ნოდარი ამერიკის ერთ-ერთ კოლეჯში გამოცდებს აბარებს და 20 ივნისისთვის გათავისუფლდება.

**- საბოლოოდ 15-16 კალათბურთელი შეიკრიბება...**

- ვარჯიშს გაფართოებული შემადგენლობით განვაგრძობთ და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების წინ 12 კაცამდე შევამცირებთ.

**- ახლა მზადებაზეც ვთქვათ.**

- ორშაბათს შევიკრიბეთ და "აკადემიას" დარბაზში ვვარჯიშობთ. 2 დღის შემდეგ ორჯერად ვარჯიშებზე გადავალთ და ფიზმომზადებასაც მივხედავთ, რაშიც სპეციალისტი ავთო ბერიძე დაგვეხმარება.

**- კადეტები და ჭაბუკები გასვლით საკონტროლო მატჩებს ატარებენ. თქვენ?**

- კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები არაერთი ქვეყანის ფედერაციას დაუკავშირდნენ, მაგრამ სპარინგ-პარტნიორების საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. იმედია, ეს საქმე დადებითად მოგვარდება და ოფიციალურ მატჩებზე უთამაშებლები არ წავალთ.

**- 2006 წელს სანიკიძე-ცინცაძის დროინდელ ახალგაზრდულ ნაკრებსაც თქვენ ხელმძღვანელობდით, საკვალიფიკაციო მატჩებზე უთამაშებლები წახვედით და ელიტის საგზური მოიპოვეთ...**

- A დივიზიონის საგზურის მოპოვებისთვის ახლაც ვიბრძოლებთ, თუმცა უკეთესი იქნება თუ მანამდე საკონტროლო მატჩებს ჩავატარებთ.

**- რამდენად რთული იქნება მიზნის მიღწევა?**

- დღეს კალათბურთს ყველა თამაშობს. თანაც B დივიზიონში ბევრი უცნობი გუნდი იქნება და წინასწარ შანსებზე ლაპარაკი ძნელია. უშუალოდ ტურნირის დაწყების შემდეგ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება, ვინ რა ძალისაა და ჩვენ რის მიღწევას უნდა ველოდეთ. თუმცა, წარმატებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენი ნაკრები იყოს სათანადოდ მომზადებული.

**- 2006 წელს ახალგაზრდული ნაკრები შეთამაშებული კოლექტივი იყო...**

- დღევანდელ 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობა შეუთამაშებელია. შეიძლება 2-3 კალათბურთელს ერთმანეთის გვერდით ასპარეზობის გამოცდილება აქვს, მაგრამ როგორც გუნდს, ერთად არ უთამაშია. შარშან შემადგენლობის ერთი ნაწილი ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდა, მეორე – ჭაბუკებში. ვეცდებით, 16 ივლისამდე ეს კომპონენტიც დავხვეწოთ და მაკედონიაში შეთამაშებულები წავიდეთ.

ლეგიონერები

# ნიკა ცქიტიშვილმა NBA გაიხსენა

## სკიტა მემფისში ვარჯიშობს

**მ**აისის ბოლოს ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა **ნიკა ცქიტიშვილთან** ინტერვიუს. სკიტამ სხვა საინტერესო ამბებთან ერთად გვითხრა, რომ ივნისში ამერიკაში მიემგზავრებოდა, სადაც "მემფის გრიზლისში" აპირებდა ვარჯიშს.

გუშინ, იქაური გაზეთების სათაურებში ნიკა ცქიტიშვილის გვარი გამოჩნდა. ამერიკელების თქმით, გამორიცხული არ არის, ცქიტო გაისად NBA-ში ვიხილოთ.

გაზეთ "მემფის კომერციალში" ნიკას შესახებ "გრიზლისის" ხელმძღვანელობა საუბრობს, ხოლო გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში ჟურნალისტი **კლარკ პეკერი** ნიკას წარსულზე ელაპარაკება. ჯერ "მემფის კომერციალის" კორესპონდენტს **როლანდ ტილერის** მოვუსმინოთ, შემდეგ ბატონ კლარკ პეკერს.

*"2002 წლის NBA-ს დრაფტის მე-5 ნომერი "მემფისის" მიერ მოწყობილ თავისუფალ აგენტთა კემპზე დიდ ყურადღებას იპყრობს".*

"გრიზლისის" გენერალური მენეჯერი **კრის უოლესი** ქართველი კალათბურთელის შესახებ ლაპარაკობს:

*„როგორ ფიქრობთ, რატომ არ უნდა დავინტერესებულიყავით ნიკა ცქიტიშვილის თამაშით? იგი შეიძლება ჩვენს გუნდს გამოადგეს".*

სკიტა ამერიკაში ოთხი გუნდის ღირსებას იცავდა – "დენვერის", "მინესოტას", "გოლდენ სტეიტისა" და ფინიქსის". 2006 წელს კი ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა...

*„NBA-ში ადრეულ ასაკში მოვხვდი. არ მქონდა თამაშის საშუალება, რაც ჩემს კარიერაზე უარყოფითად აისახა. ამიტომ სამი წლით ევროპაში წასვლა გადავწყვიტე. ვფიქრობ, ესპანეთში თამაში გავაუმჯობესე, არაერთი კომპონენტი დავხვეწე, ფიზიკურად მოვლონიერდი, მოხსნებშიც უკეთესად გამოვიყურებოდი, რაც სამომავლოდ აუცილებლად გამომადგება. ამერიკაში ჩამოსვლის პირველ წლებში ფიზიკურად სუსტი ვიყავი, პერიმეტრიდანაც კარგად ვისროდი, თუმცა ჩემი სიმაღლის კალათბურთელს ლონიერება აუცილებლად სჭირდებოდა, რათა ფარქვეშ თამამად თამაში შესძლებოდა. ევროპაში წასვლით, ვფიქრობ, ჩემი ყველა ნაკლოვანება მეტ-ნაკლებად აღმოიფხვრა.*

ნიკოლოზ ცქიტიშვილთან დაკავშირებულ სადრაფტო პერიპეტიებს "მემფისის" გენერალური მენეჯერი უოლესი ასე იხსენებს:

*- კარგად მახსოვს, ნიკა ცქიტიშვილმა იტალიურ კემპზე გაიბრწყინა და იგი "დენვერმა" დრაფტზე მე-5 ნომრად დაუფიქრებლად აიყვანა. თუმცა, სკიტას NBA-ში თამაში არ უწევდა. სათამაშო პრაქტიკის გარეშე კი ნებისმიერი კალათბურთელის პროგრესი წარმოუდგენელია. ასე და ამგვარად, ცქიტიშვილის კანდიდატურა სადღეისოდ, თავისუფალ აგენტთა ბაზარზე ჩვენთვის საინტერესოა."*

"მემფის გრიზლისის" ოფიციალურ საიტზე ვკითხულობთ:



ნიკა ცქიტიშვილი

"თავისუფალ აგენტთა კემპზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან არაერთი კალათბურთელი შეიკრიბა, რომელთა შორის საინტერესოა ნიკოლოზ ცქიტიშვილის გამოჩენა.

იგი 2002 წლის დრაფტზე "დენვერ ნაგეტსმა" მე-5 ნომრად აირჩია. დენვერელები ელოდნენ, რომ სკიტა NBA-ის ვარსკვლავ **დირკ ნოვიცკის** გზას გაივლიდა...

*- როცა 18 წლის ასაკში დრაფტზე მე-5 ნომრად გირჩევენ, ხალხს სჯერა, რომ საქმე აქვს ექსტრაკალათბურთელთან და მისგან ბევრს მოითხოვს. ეს კი ახალგაზრდა მოთამაშის ფსიქოლოგიაზე უარყოფითად მოქმედებს. დროის უკან დატრიალება რომ შემეძლოს, ეგებ ამერიკაში წამოსვლისგან თავი ერთი-ორი წლით შემეკავებინა, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავაზობდნენ დრაფტის მე-5 ნომრად არჩევას. როგორია ასეთი ცდუნებისგან თავის შეკავება? თანაც, როცა სერიოზული გუნდი აყვანას გპირებს, საკუთარი ძალის რწმენა გემატება და გგონია, რომ მართლაც ბევრი შეგიძლია.*

...მაგრამ "დენვერის" მოლოდინი ვერ გამართლდა.

*- ამერიკაში გამოუცდელი წამოვედი და არც სათამაშო პრაქტიკა მქონდა. უბრალოდ, დრაფტზე იმიტომ ამიყვანეს, რომ ნიჭიერი ბიჭი ვიყავი, მქონდა დაყენებული სროლა სამქულიანი დისტანციიდან, შემეძლო ბურთის ტარება, მქონდა ის ტექნიკა, რაც საჭიროა პერიმეტრისა და სამწამიანი ზონის მოთამაშეთათვის... თუმცა, ამ ელემენტების ერთობლივად დემონსტრირების საშუალება, სათამაშო პრაქტიკა არ გამაჩნდა.*

ცქიტიშვილმა NBA-ში ოთხი სეზონი გაატარა, 172 მატჩში საშუალოდ 2.9 ქულას, 1.8 მოხსნას, 0.7 პასს აგროვებდა. ნიკა ბოლოს "ფინიქსში" **მაიკ დანტონის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. ეს სპეციალისტი მას ამერიკაში წამოსვლამდე, "ბენეტონში" წვრთნიდა.

*- 2006 წელს, ევროპაში წასვლის წინ მაიკ დანტონიმ მირჩია, საკუთარი თამაში კიდევ უფრო დამეხვეწა და NBA-ში ამის შემდეგ დავბრუნებულიყავი. სხვა კომპონენტებთან ერთად მენტალურ საკითხებსაც მივაქციე ყურადღება და ყოველმხრივ მოვძლიერდი.*

ნიკას NBA-ში დაბრუნების იმედი აქვს და ამბობს:

*- "მემფისის" უფროსობამ იცოდა, რომ სროლა შემიძლია. ახლა კი ვუჩვენე, რომ მხოლოდ პერიმეტრის მოთამაშე არ ვარ ფარქვეშაც წარმატებით ვირჯები."*

ცნობისთვის, NBA-ს თავისუფალ აგენტთა ბაზარი 1-ელ ივლისს იხსნება.

# შერმადინი პანელინიოსში?

**გ**უშინ, ლიტვურმა გამოცემამ "ეურობასკეტმა" გაავრცელა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია, რომელიც "პანათინაიკოსის" ქართველ ცენტრ **გიორგი შერმადინს** ეხება. აი, რას წერენ ლიტველები:

*"ათენის "პანათინაიკოსის" ხელმძღვანელები გიორგი შერმადინის განათხოვრებას აპირებენ. ქართველი ცენტრის მიმართ ინტერესს არაერთი კლუბი იჩენს, რომელთა შორის დედაქალაქური "პანელინიოსი" აქტიურობს.*

*შერმადინმა ელინთა ლიგაში 4 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 12.8 წუთს თამაშობდა, 9.5 ქულასა და 4.5 მოხსნას აგროვებდა."*

ჩვენთვის რომ ვთქვათ, თუკი სათამაშო პრაქტიკა ექნება, შეიძლება გიორგისთვის "პანელინიოსში" განათხოვრება კარგი ვარიანტიც იყოს, თუმცა უკეთესი იქნება, თუ "პანათინაიკოსში" მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება. ამავე დროს ბერძნული გაზეთი "სპორტნეტი" იუწყება, რომ "პანათინაიკოსის" უფროსობას გიორგი შერმადინის საკითხი ჯერ არ გადაუწყვეტია. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



გიორგი შერმადინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი

# ნადალი პრაქტიკას გაივლის



მოახლოებული უიმბლდონის წინ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** საჩვენებელი ტურნირის თამაშს აპირებს. როგორც ცნობილია, ესპანელი ჩოგბურთელი როლან გაროსის შემდეგ მუხლის ტრავმას მკურნალობდა, რის გამოც სათამაშო პრაქტიკა აკლია. ამიტომაც, რაფამ Hurlingham Club-ში საგამოფენო მატჩებში მონაწილეობა გადაწყვიტა. მანამდე კი ნადალი კიდევ ერთხელ გაივლის სამედიცინო შემოწმებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს Hurlingham Club-ში თამაშის გადაწყვეტილებას. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, პარასკევს ნადალი შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას** შეხვდება.

*„ამ ტურნირში თამაში შემომთავაზეს, რაც ბალახის კორტებზე აკლიმატიზაციაში დამეხმარება. ჰარინგტონის კორტებზე ორჯერ მითამაშია. ჩემი ტრავმირებული მუხლებისთვის კარგი ტესტი იქნება პარასკევს ვავრინკას წინააღმდეგ მატჩი. ვგრძნობ, რომ აღდგენითი პროცესი კარგად მიმდინარეობს და წესით, ჩემს კორტზე გასვლას ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს“*, - განაცხადა „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში რაფაელ ნადალმა.

კრივი. ახალი ამბები

# მეივეზერმა მარკესთან ჩხუბი გააუქმა

### მენი პაკიაომ კი მეტოქედ მიგელ კოტო აირჩია

ამერიკელმა მოკრივე **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსმა**, რომელიც დიდხანს ითვლებოდა პლანეტის საუკეთესო მოკრივედ, უარი განაცხადა მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესთან** ჩხუბზე. ეს ბრძოლა 18 ივლისს ლას ვეგასში უნდა გამართულიყო, მაგრამ მეივეზერმა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ბარძაყის ტრავმა მიიღო და რინგზე გასვლა იუარა.

მეივეზერისა და მარკესის ბრძოლა მოგვიანებით გაიმართება, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია. როგორც ინტერნეტგამოცემა boxingscene.com ვარაუდობს, მექსიკელისა და ამერიკელის ჩხუბი 19 სექტემბერს, მექსიკის დამოუკიდებლობის დღეს შედგება.

მეივეზერმა აღიარა, რომ შეწუხებულია ბრძოლის გადადების გამო, მარკესმა კი აღნიშნა, რომ არ შეწყვეტს ვარჯიშებს და გააგრძელებს ფლოიდთან ბრძოლისთვის მოსამზადებელ შეკრებას.

32 წლის მეივეზერმა პროფესიულ რინგზე 39 ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო (25 ნოკაუტით). ის ხუთ წონით კატეგორიაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი. ფლოიდმა თავისი ბოლო ბრძოლა 2007 წლის დეკემბერში **რიკი ჰატონის** წინააღმდეგ გამართა და ბრიტანელი ნოკაუტით დაამარცხა.



ამის შემდეგ, ამერიკელმა უარი თქვა **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** განმეორებით ბრძოლაზე და კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა, თუმცა 2009 წელს პროფესიულ რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა.

■ ■ ■

ფილიპინელი მოკრივის **მენი პაკიაოს** პრომოუტერმა **ბობ არუმმა** განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა, რომელიც შაბათს პირადად ესწრებოდა WBO-ის ვერსიით (ნახევრად საშუალო წონა) საჩემპიონო ბრძოლას **მიგელ კოტოსა** და **ჯოშუა კლოტის** შორის, პუერტორიკოელ კოტოსთან ბრძოლის ორგანიზება სთხოვა. შეგახსენებთ, რომ მიგელმა ქულებით დაამარცხა განელი მოკრივე.

*„მენიმ მითხრა, რომ კოტოსთან ჩხუბი სურს და ორთაბრძოლის ორგანიზება მთხოვა. ჩემი ვარაუდით, ეს ბრძოლა 14 ნოემბერს ლას ვეგასში გაიმართება“*, - განაცხადა არუმმა.

როგორც გახსოვთ, კლოტისთან ბრძოლაში კოტომ წარბი სერიოზულად დაიზიანა, მაგრამ პრომოუტერი დარწმუნებულია, რომ ეს პუერტორიკოელს ხელს არ შეუშლის ნოემბერში კიდევ ერთხელ გავიდეს რინგზე, მით უმეტეს, რომ მიგელი დაინტერესებულია ფილიპინელ მოკრივესთან ჩხუბით. *„კოტოს ძალიან უნდოდა ეს ჩხუბი. დამიჯერეთ, სენსაციურ ბრძოლას იხილავთ“*, - ამბობს ბობ არუმი.

ჰოკეი

# კანადას ბებკოკი გაანვრთნის

კანადის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **სტივ აიზერმანმა** უახლოეს პერიოდში უნდა დაასახელოს იმ სპეციალისტის გვარი, რომელიც 2010 წელს, ვანკუვერის ოლიმპიადაზე ეროვნულ ნაკრებს უხელმძღვანელებს.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, აიზერმანი არჩევანს „დეტროიტ რედ უინგზის“ მთავარ მწვრთნელზე **მაიკ ბებკოკზე** შეაჩერებს. აიზერმანს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ბებკოკს უდიდესი გამოცდილება გააჩნია და თან ვარსკვლავური სტატუსის მქონე ჰოკეისტების დამორჩილება შეუძლია, ასეთები კი კანადის ნაკრებში მრავლად არიან.

შეგახსენებთ, რომ სამი დღის წინ, ბებკოკის „დეტროიტმა“ სტენლის თასის ფინალურ სერიაში შვიდ მატჩში წააგო „პიტსბურგ პინგვინზთან“ და ჩემპიონის ტიტული დათმო.

■ ■ ■

47 წლის ვეტერანი მცველი **კრის ჩელიოსი** არ აპირებს გაისად „დეტროიტის“ შემადგენლობაში თამაშს - იტყობინება ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდი. გასულ სეზონში ამერიკელმა ჰოკეისტმა სულ 34 მატჩი ჩაატარა, მათ შორის ექვსი - პლეი ოფში.

როგორც ვარაუდობენ, ჩელიოსი უახლოეს ხანში ოფიციალურად გამოაცხადებს კარიერის დასრულების შესახებ, არადა, ეს ჰოკეისტი ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამოსვლას აპირებდა და მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდა დაგეგმილი დიდი სპორტიდან წასვლა.

■ ■ ■

კანადის სასამართლომ მილიარდერ **ჯიმ ბალსილის** ჰოკეის ეროვნული ლიგის გაკოტრებული კლუბის - „ფინიქს კოიოტსის“ შეძენის უფლება არ მისცა. როგორც სააგენტო AP იუწყება, მოსამართლე **რედფილდ ბაუმმა** დაადგინა, რომ „კოიოტსის“ კანადის ქალაქ ჰამილტონში გადასვლა იმ ვადებში, რომელიც ბალსილის ჰქონდა შედგენილი, შეუძლებელი იქნება ამ საქმეში არსებული უამრავი სხვადასხვა ნიუანსის გამო.

კანადელ მილიარდერს 29 ივნისამდე უნდოდა გუნდის მთლიანად გამოსყიდვა და მისი კანადაში გადაყვანა. ასე რომ, კლუბი ფინიქსში დარჩება, როგორც ეს ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობას სურდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



კალათბურთი

# ვინ აირჩევს რუბიოს?

### შაკი ჩიკაგოში, ჯოშ სმიტი და სხვა ამბები...

ესპანეთის „ხუვენტუდის“ გამთამაშებლის **რიკი რუბიოს** აგენტმა **დენ ფეგანმა** ESPN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი კლიენტი ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას 2009 წლის დრაფტში. მთავარი გასარკვევი საკითხი ის არის, რომელ ნომრად იქნება არჩეული ესპანელი ვუნდერკინდი.

ცოტა ხნის წინ, 18 წლის კალათბურთელმა განაცხადა, რომ არ სურს „მემფის გრიზლისის“ შემადგენლობაში თამაში, რის შემდეგაც მეორე ნომრად ასარჩევი კალათბურთელის საკითხი დადგა დღის წესრიგში. მთელი წელი, სწორედ რუბიოს უწინასწარმეტყველებდნენ დრაფტის მეორე ნომერს.

მესამე კალათბურთელის არჩევის უფლება „ოკლაჰომა-სიტის“ აქვს, რომელიც არა რუბიოთი, არამედ სხვა მოთამაშეებით - **ჯეიმს ჰარდენითა** და **სტივენ კარით** არის დაინტერესებული. შემდეგ მოდის „საკრამენტო კინგზი“ და ესპანელს სწორედ ამ გუნდში თამაშს უწინასწარმეტყველებენ - „მეფეებს“ შემადგენლობის გასაძლიერებლად გამთამაშებელი ესაჭიროებათ, გარდა ამისა, ცნობილია ამ გუნდის გენერალური მენეჯერის **ჯეფ პეტრის** სიმპათიები უცხოელი კალათბურთელების მიმართ.

■ ■ ■

გრძელდება სატრანსფერო მითქმა-მოთქმა „ფინიქს სანზის“ ვეტერანი ცენტრის **შაკილ ო'ნილის** გარშემო. როგორც უკვე ვწერდით, ლეგენდარული კალათბურთელის გადაბირებით „კლივლენდ კავალიერზია“ დაინტერესებული, ახლა კი ასპარეზზე გამოვიდა „ჩიკაგო ბულზი“, რომელიც შაკის სანაცვლოდ ფორვარდებს **ლუოლ დენგსა** და **ტიმ ტომასს** თმობს.

ო'ნილთან კონტრაქტის ვადა 2009-10 წლების სეზონის შემდეგ იწურება და „ბულზი“ გამოთავისუფლებული თანხით **დუიენ უეიდის** შეძენას შეძლებს. ეს კალათბურთელი ჩიკაგოშია დაბადებული და „ხარების“ რიგებში თამაშის სურვილს გამოთქვამს.

■ ■ ■

ამასობაში, „ატლანტა ჰოქსის“ ხელმძღვანელობა ფორვარდ **ჯოშ სმიტის** გაცვლის შესაძლებლობას ეძებს. კლუბი რთულ ფინანსურ სიტუაციაში იმყოფება, რადგან მცველი **მაიკ ბიბი** და ფორვარდი **მერვინ უილიამსი** ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტები გახდებიან და მათთან ახალი კონტრაქტები იქნება გასაფორმებელი.

წელს, ჯოშ სმიტი საშუალოდ მატჩში 15.6 ქულას, 7.2 მოხსნას, 2.4 შედეგიან გადაცემასა და 1.6 დაფარებას აგროვებდა, თუმცა ისიც ცნობილია, რომ „ატლანტას“ ერთ-ერთ ლიდერს ურთიერთობა გაურთულდა მთავარ მწვრთნელ **მაიკ ვუდსონთან**.

■ ■ ■

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლო რეკალკატიმ** კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი იტალიის კალათბურთის ფედერაციასთან და ეროვნულ გუნდს 2010 წლის 30 სექტემბრამდე უხელმძღვანელებს.

შეგახსენებთ, რომ 60 წლის სპეციალისტის მეთაურობით იტალიის ნაკრებმა ევროპის 2003 წლის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო 2004 წელს, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიგო.

აგვისტოში იტალიის ნაკრებს დამატებითი საკვალიფიკაციო ტურნირის თამაში მოუწევს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად, რომელიც სექტემბერში პოლონეთში გაიმართება.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2009** | |
| **UNDER 21** | |
| შვედეთი-ბელარუსი | 5:1 |
| იტალია-სერბეთი | 0:0 |
| **ირლანდიის თასი** | |
| დროგედა-შემროკი | 0:3 |
| სლიგო-კორკი | 1:1, დ.დ. 2:1 |
| მონეგანი-ჩერი | 4:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჩიტა-კამაზ | 1:0 |
| ლ. ენერგია-კრასნოდარი | 2:1 |
| სკა ენერგია-ჩერნომორეცი | 2:0 |
| სიბირი-ანჟი | 2:1 |
| ურალი-გაზპრომი | 2:0 |
| მეტალურგი-ნოსტა | 0:1 |
| მვდ-ვოლგა | 0:0 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ბალტიკა | 1:0 |
| ალანია-შინიკი | 2:0 |
| სალუტი-ვიტიაზი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| იტალია-ლიტვა | 72:58 |
| თურქეთი-ბელარუსი | 70:86 |
| რუსეთი-საფრანგეთი | 66:72 |
| **ესპანეთი** | |
| **პლეი ოფი. ფინალი** | |
| ბარსელონა-ტაუგრესი | 85:67 |
| **იტალია** | |
| **პლეი ოფი. ფინალი** | |
| მილანი-მონტეპასკი | 47:82 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| ანდრეევი-დანჩევიჩი | 6:7, 2:6 |
| ლუბიჩიჩი-გუდოლი | 6:3, 7:5 |
| იუჟნი-ბენეტო | 6:4, 4:6, 4:6 |
| გარსია ლოპესი-ლუ | 6:4, 6:7, 7:6 |
| სანტორო-ჯინეპრი | 4:6, 6:4, 6:1 |
| ტიპსარევიჩი-კლეინი | 7:6, 6:1 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| ბაღდატისი-რობრედო | 7:5, 6:2 |
| ჟიკელი-ნავარო პასტორი | 4:6, 6:3, 5:7 |
| ვერდასკო-ბეკერი | 5:7, 6:7 |
| კუნიცინი-სელა | 4:6, 3:6 |
| ლოდრა-ვლიეგენი | 6:2, 6:3 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ბარტოლი-დულკო | 6:3, 6:1 |
| ვოზნიაჩკი-კლეიბანოვა | 6:3, 6:2 |
| იანკოვიჩი-ჩაკვეტაძე | 7:6, 3:6, 2:6 |
| მაკაროვა-გროტი | 7:6, 6:1 |
| ა. რადვანსკა-უ. რადვანსკა | 6:1, 6:1 |
| დუშევინა-სუგიამა | 6:7, 7:5, 6:4 |
| კუზნეცოვა-ვოზნიაკი | 0:6, 3:6 |
| ნა ლი-ბალტაჩა | 6:2, 7:5 |
| მორესმო-ზვონარევა | 6:3, 1:6, 6:3 |
| კეოიავონგი-ბამერი | 3:6, 2:6 |
| აზარენკა-მედინა გარიგესი | გადაიდო |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ვიკმაიერი-კირსტეა | 6:4, 6:3 |
| პენეტა-პერვაკი | 6:1, 6:1 |
| ტანასუგარნი-ბენეშოვა | 6:3, 6:1 |
| კრაიჩეკი-ბაროისი | 4:6, 3:6 |
| ციბულკოვა-დეში | 3:6, 6:3, 3:6 |
| საფინა-გრონეფელდი | 6:0, 6:3 |
| ა. ბონდარენკო-რიბარიკოვა | გადაიდო |

TV პროგრამა

**17 ივნისი. ოთხშაბათი**

**I არხი**

**17:50** ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ერაყი. სამხრეთ აფრიკა (LIVE).
**22:20** ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია. სამხრეთ აფრიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:40** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**08:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-რუსეთი.
**10:15** ლუიშ ფიგუს საუკეთესო მეგობრების მატჩი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-აიაქსი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჰალი.
**15:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**17:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ლიონი.
**19:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:25** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
**20:25** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვერდერი.
**22:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:30** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
**00:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბატე-იუვენტუსი.
**02:15** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-პალმეირასი (ბრაზილია) (LIVE).
**04:15** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**04:45** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-კარაკასი (ვენესუელა) (LIVE).

**EUROSPORT**

**10:30** ტრიატლონი. ავსტრია.
**11:00** პარაოლიმპიური სახეობები. მსოფლიოს თასი. მანჩესტერი. ინგლისი.
**12:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი.
**13:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ნორვეგია.
**14:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-იაპონია (LIVE).
**15:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ს. კორეა-ირანი (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-იაპონია.
**17:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ისტბურნი. ინგლისი (LIVE).
**20:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ოსტრავა. ჩეხეთი (LIVE).
**22:30** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**23:05** მულტისპორტი.
**23:10** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**23:15** გოლფი. PGA-ის ტური.
**00:10** გოლფ-კლუბი.
**00:15** აფროსნობა. Medcup. ესპანეთი.
**00:45** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:00** ევროსპორტი. ტელეჟურნალი.
**01:30** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ოსტრავა. ჩეხეთი.
**02:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-იაპონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ყველაზე სექსუალური ცოლი

ჩეხი სუპერმოდელი **ალენა სერედოვა**, რომელიც ტურინის "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მეკარის **ჯანლუიჯი ბუფონის** მეუღლე გახლავთ, ფეხბურთელების ცოლებს შორის ყველაზე სექსუალურ ქალბატონად აღიარეს. გამოკითხვა ფრანგულმა ჟურნალმა Le dessous du sport-მა ჩაატარა.

პლანეტის საუკეთესო გოლკიპერის ცოლმა 2877 ხმა მიიღო. მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის **კრისტიანო რონალდოს** ყოფილი მეგობარი **ნერეიდა გალიარდო**, პირველი სამეული კი "მარსელის" ჰოლანდიელი ლეგიონერის **ბუდევეინ ზენდენის** ცოლმა - **კლიო ზენდენმა** შეავსო.

ცოტა ხნის წინ გაცნობეთ, რომ პოპულარული ჟურნალის FHM-ის მიერ შედგენილი მსოფლიოს ყველაზე მომხიბვლელი ქალბატონების სიას სათავეში ედგა "ჩელსის" მცველი **ეშლი კოულის** მეუღლე **შერილ კოული**, რომელიც ჯგუფ Girls Aloud-ის სოლისტია. მაგრამ ამ რეიტინგში კოულმა მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, **დევიდ ბექჰემის** ცხოვრების მეგზური **ვიქტორია ბექჰემი** კი საერთოდ მეათე პოზიციაზე აღმოჩნდა.

ჟურნალ Le dessous du sport-ის საუკეთესო თექვსმეტეული ასე გამოიყურება:

1. ალენა სერედოვა
2. ნერეიდა გალიარდო
3. კლიო ზენდენი
4. ვანდა ნარა
5. შერილ კოული
6. სილვია ვან დერ ვაარტი
7. დანიელ ლოიდი
8. ევა გონსალესი
9. სარა ბრანდნერი
10. ვიქტორია ბექჰემი
11. მარია პასი
12. ვაჰიბა რიბერი
13. კოლინ რუნი
14. ნივეს ცელსიუსი
15. სუზანა ვერნერი
16. ჯანინა მარადონა

■ ■ ■

ამასობაში, ალენა სერედოვამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ისევ ფეხმძიმედაა და ბუფონების ოჯახში მეორე შვილის დაბადებას ელოდებიან.

ამასთან დაკავშირებით ჭორები ჯერ კიდევ მაისში გავრცელდა, მაგრამ ოფიციალურად ამ ამბავს დიდხანს არავინ ადასტურებდა. შეგახსენებთ, რომ წყვილს უკვე ჰყავს ერთი შვილი - **ლუის ტომასი**.

და კიდევ ერთი ამბავი, რომელიც 1998 წლის "მის ჩეხეთს" ეხება. ჟურნალისტებმა სერედოვას იტალიის ნაკრების წევრთაგან ყველაზე სექსუალური ფეხბურთელის დასახელება სთხოვეს. მათ გასაკვირად ალენამ არა თავისი ქმარი, არამედ **ფაბიო კანავარო** და **მარკო ბორიელო** დაასახელა.

*"ჩემს ჯიჯის ყოველთვის ვგულშემატკივრობ და მიხარია, როცა ის ბურთებს იჭერს, მაგრამ, როგორც ქალი, ვაღიარებ, რომ ყველაზე სექსუალური მოთამაშეები კანავარო და ბორიელო არიან"*, - ამბობს ჩეხი მოდელი.



# ანას ახალი სესია

## კურნიკოვა INSTYLE MAGAZINE-ისთვის პოზირებდა





# ლებრონის ფერარი



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge